სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/court-decisions/

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2020, №7-9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2020, №7-9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2020, №7-9

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2020, №7-9

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსუდან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:
0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 71 34;
www.supremecourt.ge

საძიებელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის დამძიმება 4; 7; 26

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობის მცდელობა 33

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ოჯახში ძალადობა 47

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წაინააღმდეგ

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთა 67

4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ძარცვა 81

ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით 96

5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ქურდული სამყაროს წევრობა 105

სისხლის სამართალის პროცესი

კერძო ნაწილი

კასაცია. საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 134

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 11^1,151-ე მუხლით 139

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 126^1 მუხლით 152; 160

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და საქმის ხელმეორედ განსახილველად გაგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის 176

განაჩენში ცვლილების შეტანა და პირის უდანაშაულოდ ცნობა ქურდობის ბრალდების ნაწილში 187

სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

სასჯელის დამძიმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№70ა3-20 2 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში, კონტრტერორისტულ ცენტრში, საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და დაზვერვის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ გიორგი ხაჩიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით ა. ნ., – დაბადებული 1. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2019 წლის ივლისში, ზუსტი დრო დაუდგენელია, აზერბაიჯანის მოქალაქე ა. ნ-მ უკანონოდ გადმოკვეთა გ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ვ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი და აზერბაიჯანიდან გადმოვიდა საქართველოში.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ა. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა – 5 000 ლარი, სა-

ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა გიორგი ხაჩიძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ა. ნ-ისათვის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა პროკურორ გიორგი ხაჩიძის სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – პროკურორი გიორგი ხაჩიძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის დამამძიმებელი გარემოება, რომ ა. ნ. მიემალა გამოძიებას და არ ცხადდებოდა სასამართლოში, მან მსჯავრდებულს განუსაზღვრა ისეთი სასჯელი, რომლის აღსრულება ვერ მოხდება, ვინაიდან ის უცხო ქვეყნის მოქალაქეა და საქართველოში არ გააჩნია არანაირი უძრავი ქონება. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას და ა. ნ-ისათვის ისეთი სახის სასჯელის განსაზღვრას, რომელიც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოცემულ საქმეში წარმოდგენილია მხარეთა მიერ გამოკვლევის გარეშე მიღებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ა. ნ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, კერძოდ: ბრალდებულ ა. ნ-ისა და მოწმე გ. მ-ის გამოკითხვის ოქმებით, დათვალიერების ოქმით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ინფორმაციით სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად დასტურდება ა. ნ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. ნ-ისათვის განსაზღვრულ სასჯელს, საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სას-

ჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის – ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური, ინდივიდუალური, ჩადენილი ქმედების სიმძიმის ადეკვატური და პროპორციული.

4. მსჯავრდებულ ა. ნ-ისათვის საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხული ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე ვადით.

5. სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს მოცემული საქმის გარემოებები და მსჯავრდებულის პიროვნება; ასევე, ის გარემოება, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოკითხვის ოქმში დანაშაულის აღიარება, ნასამართლობის არქონა და დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა უდავოდ ცნობა არ არის საკმარისი მსჯავრდებულ ა. ნ-ისათვის სასჯელის სახედ ჯარიმის განსაზღვრისათვის და მიაჩნია, რომ, დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით (მიემალა გამოძიებას და არ ცხადდებოდა სასამართლოში), მსჯავრდებულს სასჯელის სახედ უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა, რაც ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნების რეალურად შესრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ გიორგი ხაჩიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყო-

ფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ა. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულ ა. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;

5. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ა. ნ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 26 ნოემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დამძიმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№2ა3-20 3 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დათო ცირეკიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 დეკემბრის განაჩენით:

მ. ს., დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით და დაეკისრა ჯარი-

მა – 5000 ლარი;

თ. ნ., ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

ი. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი; მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო 375-ე მუხლით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2013 წლის 7 აგვისტოდან იმავე წლის 13 სექტემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა და საბოლოოდ ი. გ-ეს განესაზღვრა ჯარიმა – 3100 ლარი. მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება;

ი. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი; მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, ხოლო 375-ე მუხლით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 13 სექტემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა და საბოლოოდ ი. შ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 2850 ლარი. მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება;

ა. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი, რაც ამავე კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით) გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა და საბოლოოდ ა. ბ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 4550 ლარი. მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება;

გ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი, რაც ამავე კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით) გათვალისწინებით, შეუმსუბუქდა და საბოლოოდ გ. კ-ეს განესაზღვრა ჯარიმა – 4550 ლარი. მასვე 1 წლით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება.

2. განაჩენის მიხედვით:

2.1. მ. ს-ეს მსჯავრი დაედო დანაშაულის დაფარვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 30 ოქტომბრის №... პ/შ ბრძანებით მ. ს. დაინიშნა სად-ის №... ნახევრად ღია ტიპის დაწესებულების დ-ად.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №... დაწესებულებიდან №1... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ- კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის – ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ."), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.").

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-ემ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის" ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ- კორპუსის მ- სართულზე მდებარე №... საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.") და თ. გ-ესთან (მეტსახელად „რ.") ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №1... დაწესებულების მ- კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ი. გ-ის, ი. შ-ის, გ. კ-სა და ა. ბ-ისათ-

ვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№3.. საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ... კორპუსის მ. სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები: ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., თ. გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №... საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც ი. შ-მა, ი. გ-ემ, გ. კ-ემ და ა. ბ-მა ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარი დანაშაულის დეტალები ცნობილი გახდა სად-ის №1... დაწესებულების დ. მ. ს-ისათვის, რომელმაც დაწესებულების სხვა თანამშრომლებთან – დ-ის მ-ე ი. გ-ესა და უსაფრთხოების სამსახურის ინსპექტორებთან – ი. შ-სა და თ. ნ-ასთან შეთანხმებით, განიზრახა, გამოძიება დაეყენებინა არასწორ კვალზე და დანაშაულის დაფარვის გზით, ლ. კ-ზე მოძალადე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლებისათვის აეცილებინა მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

მიზნის მისაღწევად, მ. ს-ის უშუალო მითითებით, ი. შ-მა დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელთან შეთანხმებით, 2013 წლის 12 მაისს შეადგინა ყალბი ოქმი, რომლის მიხედვით, ლ. კ-მ დაზიანება მიიღო მეორე სართულის კიბიდან გადმოვარდნის შედეგად. ამასთან, მ. ს-ესთან შეთანხმებით, დანაშულის დაფარვის განზრახვით, ი. გ-ემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დ... გამომძიებელს ტელეფონით შეატყობინა ლ. კ-ს სხეულის დაზიანების შესახებ და განმარტა, რომ ლ. კ-მ დაზიანებები კიბეზე დაგორების შედეგად მიიღო;

2.2. თ. ნ-ას მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების (ამჟამად სად-ის №1... დაწესებულება) დ-ის 2009 წლის 20 მაისის ბრძანებით თ. ნ. დაინიშნა ამავე დაწესებულების უ-ად.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №... დაწესებულებიდან №1... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ... კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის უ... ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ.“), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.“).

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №1... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-მ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ. კორპუსის მ. სართულზე მდებარე №3... საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.“) და თ. გ-ესთან (მეტსახელად „რ.“) ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №1... დაწესებულების მ... კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ა. ბ-ის, ი. გ-ის, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№... საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ... კორპუსის მ... სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები:

ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., თ. გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №... საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც ი. შ-მა, ი. გ-ემ, ა. ბ-მა და გ. კ-ემ ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარი დანაშაულის დეტალები ცნობილი გახდა სად-ის №1... დაწესებულების დ. მ. ს-ისათვის. დაწესებულების დ-ის მ. ი. გ-ემ და მ. ს-ემ ერთობლივად განიზრახეს, გამოძიება დაეყენებინათ არასწორ კვალზე და დანაშაულის დაფარვის გზით, ლ. კ-ზე მოძალადე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლებისათვის აეცილებინათ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

მიზნის მისაღწევად, მ. ს-ის უშუალო მითითებით, ი. შ-მა თ. ნ-ასთან შეთანხმებით, 2013 წლის 12 მაისს შეადგინა ყალბი ოქმი, რომლის მიხედვით, ლ. კ-მ დაზიანება მიიღო მეორე სართულის კიბიდან გადმოვარდნის შედეგად. ამასთან, მ. ს-ესთან შეთანხმებით, დანაშაულის დაფარვის განზრახვით, ი. გ-ემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დ... გამომძიებელს ტელეფონით შეატყობინა ლ. კ-ს სხეულის დაზიანების შესახებ და განმარტა, რომ ლ. კ-მ დაზიანებები კიბეზე დაგორების შედეგად მიიღო.

აღნიშნულის შემდეგ, 2013 წლის 13 მაისს, დაახლოებით 01:30 საათზე, სად-ის №1... დაწესებულებაში, დაზიანების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით მისულ გამომძიებელს თ. ნ-ამ და ი. შ-ა, ლ. კ-ს მიმართ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, შეთანხმებისამებრ, განზრახ არასწორად მიუთითეს ლ. კ-ს სხეულის დაზიანების ადგილი, კერძოდ – განუცხადეს, რომ მსჯავრდებულმა დაზიანებები მიიღო მეორე სართულის კიბიდან დაგორების შედეგად. ამასთან, ხელმოწერით დაადასტურეს საგამოძიებო მოქმედების ოქმი;

2.3. ი. გ-ეს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილე-

ბის ბოროტად გამოყენებასა და დანაშაულის დაფარვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით ი. გ. დაინიშნა სად-ის №... დაწესებულების დ-ის მ-ედ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №9... ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დებულების მე-2 მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ერთ-ერთი ამოცანაა დაწესებულებაში მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვა და მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №... დაწესებულებიდან №... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ. კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის უ... ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ.“), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.“).

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-ემ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ. კორპუსის მ. სართულზე მდებარე №. საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.“) და თ. გ-ესთან (მეტსახელად „რ.“) ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ი. გ-ის, ი. შ-ის, გ. კ-ისა და ა. ბ-ისათვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად

ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№... საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ. კორპუსის მ. სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები: ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., . გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №. საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც ი. გ-ემ, ი. შ-მა, გ. კ-მ და ა. ბ-მა ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარი დანაშაულის დეტალები ცნობილი გახდა სად-ის №1... დაწესებულების დ. მ. ს-ისათვის. დაწესებულების დ-ის მ. ი. გ-ემ და მ. ს-ემ ერთობლივად განიზრახეს, გამოძიება დაეყენებინათ არასწორ კვალზე და დანაშაულის დაფარვის გზით, ლ. კ-ზე მოძალადე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლებისათვის აეცილებინათ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

მიზნის მისაღწევად, მ. ს-ის უშუალო მითითებით, ი. შ-მა თ. ნ-ასთან შეთანხმებით, 2013 წლის 12 მაისს შეადგინა ყალბი ოქმი, რომლის მიხედვით, ლ. კ-მ დაზიანება მიიღო მეორე სართულის კიბიდან გადმოვარდნის შედეგად. ამასთან, მ. ს-ესთან შეთანხმებით, დანაშაულის დაფარვის განზრახვით, ი. გ-ემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დ... გამომძიებელს ტელეფონით შეატყობინა ლ. კ-ს სხეულის დაზიანების შესახებ და განმარტა, რომ ლ. კ-მ დაზიანებები კიბეზე დაგორების შედეგად მიიღო;

2.4. ი. შ-ს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების დ-

ის 2012 წლის 9 ნოემბრის ბრძანებით ი. შ. დაინიშნა ამავე დაწესებულების უ...ად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №... ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დებულების მე-6 მუხლის მიხედვით, ი. შ-ს, როგორც დაწესებულების უ...ს, სხვა დანარჩენთან ერთად, ევალებოდა დაწესებულების მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მომხდარი დანაშაულის გამოვლენა-აღკვეთა და დანაშაულის მზადების სტადიაში აცილება.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №... დაწესებულებიდან №... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ... კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის უ... ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ.“), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.“).

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-ემ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ... კორპუსის მ... სართულზე მდებარე №... საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.“) და თ. გ-სთან (მეტსახელად „რ.“) ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ა. ბ-ის, ი. გ-ის, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ.

„კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№3... საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ... კორპუსის მ... სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები: ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., თ. გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №... საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც ა. ბ-მა, ი. გ-ემ, ი. შ-მა და გ. კ-ემ ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მომხდარი დანაშაულის დეტალები ცნობილი გახდა სად-ის №... დაწესებულების დ. მ. ს-ისათვის. დაწესებულების დ-ის მ. ი. გ-ემ და მ. ს-ემ ერთობლივად განიზრახეს, გამოძიება დაეყენებინათ არასწორ კვალზე და დანაშაულის დაფარვის გზით, ლ. კ-ზე მოძალადე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პატიმრებისა და დაწესებულების თანამშრომლებისათვის აეცილებინათ მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

მიზნის მისაღწევად, მ. ს-ის უშუალო მითითებით, ი. შ-მა თ. ნ-ასთან შეთანხმებით, 2013 წლის 12 მაისს შეადგინა ყალბი ოქმი, რომლის მიხედვით, ლ. კ-მ დაზიანება მიიღო მეორე სართულის კიბიდან გადმოვარდნის შედეგად. ამასთან, მ. ს-ესთან შეთანხმებით, დანაშაულის დაფარვის განზრახვით, ი. გ-ემ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დ... გამომძიებელს ტელეფონით შეატყობინა ლ. კ-ს სხეულის დაზიანების შესახებ და განმარტა, რომ ლ. კ-მ დაზიანებები კიბეზე დაგორების შედეგად მიიღო.

აღნიშნულის შემდეგ, 2013 წლის 13 მაისს, დაახლოებით 01:30 საათზე, სად-ის №... დაწესებულებაში, დაზიანების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით მისულ გამომძიებელს თ. ნ-ამ და ი. შ-მა, ლ. კ-ს მიმართ განხორციელებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის და-

ფარვის მიზნით, შეთანხმებისამებრ, განზრახ არასწორად მიუთითეს ლ. კ-ს სხეულის დაზიანების ადგილი, კერძოდ – განუცხადეს, რომ მსჯავრდებულმა დაზიანებები მიიღო მეორე სართულის კიბიდან დაგორების შედეგად. ამასთან, ხელმოწერით დაადასტურეს საგამოძიებო მოქმედების ოქმი;

2.5. ა. ბ-ს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების დ-ის 2012 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით ა. ბ. დაინიშნა ამავე დაწესებულების ს-ის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს.

2013 წლის 12 მაისს, 10:00 საათიდან მომდევნო დღის 10:00 საათამდე, ა. ბ. განწესდა სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსის მ... სართულზე. მას ევალებოდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №... ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დებულებების მოთხოვნების დაცვა.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №... დაწესებულებიდან №... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ... კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის უ. ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ.“), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.“).

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-ემ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ... კორპუსის მ... სართულზე მდებარე №... საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.“) და თ. გ-ესთან (მეტსახელად „რ.“) ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ა. ბ-ის, ი. გ-ის, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№... საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ... კორპუსის მ... სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები: ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., თ. გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №... საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც ა. ბ-მა, ი. გ-ემ, ი. შ-მა და გ. კ-ემ ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა;

2.6. გ. კ-ეს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №... დაწესებულების დ-ის 2012 წლის 18 დეკემბრის ბრძანებით გ. კ. დაინიშნა ამავე დაწესებულების ს-ის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს.

2013 წლის 12 მაისს, 10:00 საათიდან მომდევნი დღის 10:00 საათამდე, გ. კ. განწესდა სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსის მ... სართულზე. მას ევალებოდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის №... ბრძანებით დამტკიცებული თავისუფლების აღკვეთის დებულებების მოთხოვნების დაცვა.

2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, სად-ის №...

დაწესებულებიდან №... დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად გადაყვანილ მსჯავრდებულ ლ. კ-ს მ... კორპუსში განთავსებისას შელაპარაკება მოუხდა ამავე კორპუსის უ... ი. შ-თან. შელაპარაკებაში ჩაერთო ამავე კორპუსში განთავსებული კრიმინალური ავტორიტეტი – მსჯავრდებული შ. ს. (მეტსახელად „ბ.“), რომელიც თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-სთან სიტუაციის გარკვევას, რაც მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, კერძოდ: ლ. კ-მ ძალადობის საპასუხოდ ხელი დაარტყა შ. ს-ეს. კონფლიქტში ასევე ჩაერთო კრიმინალური ავტორიტეტი გ. შ. (მეტსახელად „გ.“).

მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა დაწესებულების თანამშრომლებისათვის, რომლებმაც უგულებელყვეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ნაცვლად მომხდარის სამართლებრივი შეფასებისა, რეაგირება არ მოახდინეს.

სად-ის №1... დაწესებულების თანამშრომლების ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – შ. ს-ემ და გ. შ-მა ე.წ. „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ხელის დარტყმის გამო, რაც კრიმინალურ სამყაროში დამკვიდრებული წესების მიხედვით მკაცრად ისჯება, ლ. კ. ძალის გამოყენებით წაიყვანეს მ... კორპუსის მ... სართულზე მდებარე №... საკანში, სადაც სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებთან – ს. დ-თან, გ. უ-სა (მეტსახელად „გ.“) და თ. გ-ესთან (მეტსახელად „რ.“) ერთად სცემეს მას.

კრიმინალური ავტორიტეტების მიერ ლ. კ-სათვის ე.წ. საქმის გასარჩევად და მასზე ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით გადაყვანის შესახებ ცნობილი იყო სად-ის №... დაწესებულების მ... კორპუსში მყოფი თანამშრომლების: ა. ბ-ის, ი. გ-ის, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ევალებოდათ მსჯავრდებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, ე.წ. „კრიმინალურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად.

№3 საკანში ცემიდან რამდენიმე წუთში, მ... კორპუსის მ... სართულზე მყოფ ლ. კ-სთან მივიდნენ კრიმინალური ავტორიტეტები: ლ. კ., გ. შ., შ. ს., ს. დ., გ. უ., თ. გ. და ნ. ბ. (მეტსახელად „რ.“) და იგი გაიხმეს №... საკანში, სადაც იმავე მიზეზით – „კრიმინალური ავტორიტეტისათვის“ ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალით სცემეს მას.

ამ შემთხვევაშიც გ. კ-ემ, ი. გ-ემ, ა. ბ-მა და ი. შ-მა ე.წ. „კრიმინა-

ლურ ავტორიტეტებთან“ ურთიერთობის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად და მათი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, არაფერი იღონეს ლ. კ-სა და სხვა პატიმრებს შორის დაწყებული და განვითარებული კონფლიქტის აღსაკვეთად, რითაც მოძალადე პატიმრებს საშუალება მიეცათ, დაუწერელი კრიმინალური წესების დარღვევისათვის ეცემათ ლ. კ.. ძალადობის შედეგად მძიმედ დაშავებული ლ. კ. სამედიცინო დაწესებულებაში სასწრაფო დახმარების მიერ გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს:

- დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ქეთევან თალაკვაძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულების – მ. ს-ის, ი. გ-ის, ა. ბ-ის, თ. ნ-ას, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის უფრო მკაცრი – თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელების განსაზღვრა;
- მსჯავრდებულ მ. ს-ის ადვოკატმა დ. ს-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მ. ს-ის გამართლება;
- მსჯავრდებულმა ი. გ-ემ და მისმა ადვოკატმა კ. გ-ემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ი. გ-ის გამართლება;
- მსჯავრდებულმა გ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა გამართლება;
- მსჯავრდებულ ა. ბ-ის ადვოკატმა ი. ა-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ა. ბ-ის გამართლება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განაჩენით ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 16 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს:

- დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსმა პროკურორმა დათო ცირეკიძემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და მსჯავრდებულების – მ. ს-ის, ი-ი გ-ის, ა-ე ბ-ის, თ. ნ-ას, ი. შ-ისა და გ. კ-ისათვის უფრო მკაცრი – თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელების განსაზღვრას;
- მსჯავრდებულ მ. ს-ის ადვოკატმა დ. ს-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მ. ს-ის გამართლებას;

- მსჯავრდებულმა ი. გ-მ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას;
- მსჯავრდებულმა ა. ბ-მ და მისმა ადვოკატმა ი. ა-ემ, რომლებიც ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ა. ბ-ის გამართლებას.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 2 ივლისის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ მ. ს-ის ადვოკატ დ. ს.ის, მსჯავრდებულ ი. გ-ის, მსჯავრდებულ ა. ბ-ისა და მისი ადვოკატის – ი. ა-ის საკასაციო საჩივრები, ხოლო დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დათო ცირეკიძის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად და ამ საჩივრის ნაწილში დაინიშნა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე 2020 წლის 3 ივლისს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დათო ცირეკიძის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ პროკურორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულების – მ. ს-ის, თ. ნ-ას, ი. გ-ის, ი. შ-ის, ა. ბ-ისა და გ. კ-ის მიერ გასაჩივრებული განაჩენით მათთვის მსჯავრად შერაცხული დანაშაულების ჩადენა, რაზეც დეტალურ მსჯელობას პალატა არ მიიჩნევს საჭიროდ, ვინაიდან სრულად ეთანხმება და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს.

3. რაც შეეხება პროკურორის საკასაციო საჩივარს, რომლითაც ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლასა და მსჯავრდებულების – მ. ს-ის, ი. გ-ის, ა. ბ-ის, თ. ნ-ს, ი. შ-ისა და გ. კ.-ისათვის უფრო მკაცრი – თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული სასჯელების განსაზღვრას, საკასაციო პალატამ საქმის მასალების შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ პროკურორის მოთხოვნა საფუძვლიანია, საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს მსჯავრდებულთა საუარესო ცვლილება, ვინაიდან მათ მიმართ შეფარდებული სასჯელები ლმობიერია, არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულების სიმძიმეს და ვერ უზრუნველ-

ყოფს კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევას, კერძოდ:

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ხოლო ამავე კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

6. ამდენად, სასამართლო იზიარებს პროკურორის მოთხოვნას, მათ შორის არგუმენტს, რომ მსჯავრდებულებს როგორც საჯარო მოხელეებს, უფრო მეტი ვალდებულება ჰქონდათ და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, რაც პირდაპირ უკავშირდება სასჯელის სამართლიანობას, ინდივიდუალურად აფასებს მოცემული საქმის გარემოებებსა და მსჯავრდებულთა პიროვნებებს, ასევე იმ გარემოებათა გათვალისწინებით, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს, პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულებს – მ. ს-ეს, თ. ნ-ას, ი. გ-ს, ი, შ-ს, ა. ბ-სა და გ. კ-ს მათთვის მსჯავრად შერაცხული დანაშაულების ჩადენისათვის სასჯელის სახით უნდა შეეფარდოთ თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად.

7. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული განაჩენით მ. ს-ს, თ. ნ-ს, ი. გ-ესა და ი. შ-ს მსჯავრი დაედოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებდა მათ მიერ დანაშაულების ჩადენის დროს და სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 4 ივლისის კანონის შესაბამისად, ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედე-

ბას, ნორმატიული თვალსაზრისით, აწესრიგებს ამავე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის ამჟამად მოქმედი რედაქცია სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

9. მართალია, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მუხლის ახალი რედაქციით დანაშაულის კატეგორია არ იცვლება, მაგრამ, ვინაიდან მაქსიმალური სასჯელი არის უფრო მცირე და ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული მსჯავრდებულების მიმართ უნდა გავრცელდეს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 4 ივლისის კანონის მოქმედება და მათთვის განსაზღვრული სანქცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ახალ კანონთან, კერძოდ: მსჯავრდებულების – მ. ს-ის, თ. ნ-ას, ი. გ-ისა და ი. შ-ის ქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 375-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია).

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დათო ცირეკიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვლოს მსჯავრდებულთა საუარესოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე, 308-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დათო ცირეკიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემ-

დეგი ცვლილება:

2.1. მსჯავრდებულ მ. ს.-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 375-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია);

მ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ მ. ს-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;

2.2. მსჯავრდებულ თ. ნ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 375-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია);

თ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ თ. ნ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

2.3. ი. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ი. გ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ ი. გ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 375-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია);

ი. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქას მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი)

თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ი. გ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ ი. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 7 აგვისტოდან იმავე წლის 13 სექტემბრის ჩათვლით;

2.4. ი. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ი. შ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ ი. შ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლიდან (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 375-ე მუხლის პირველ ნაწილზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია);

ი. შ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის პირველი ნაწილით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქას მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ი შ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ი შ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ ი. შ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 13 სექტემბრის ჩათვლით;

2.5. ა. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ა. ბ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ ა. ბ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013

წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

2.6. გ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ გ. კ-ს 1 (ერთი) წლით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება;

მსჯავრდებულ გ. კ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 2 აგვისტოდან იმავე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 ნოემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დამძიმება

განაჩენი
საქართველოს სახელით

№52აპ-20 16 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა არონიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენი გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა არონიამ, რომელიც ითხოვს განაჩენის შეცვლას, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“

ქვეპუნქტებით უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას – სასჯელთა სრულად შეკრებას. კასატორის მითითებით, კ. ნ-სთვის შეფარდებული სასჯელი უსამართლოა, ვინაიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და მის პიროვნებას; სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა დანაშაულის მოტივი, დამნაშავის ყოფაქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელიც არ მიისწრაფვის, შეურიგდეს დაზარალებულებს და ასევე, უგულებელყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები – დანაშაულის რეციდივი და ოჯახური დანაშაულის ჩადენა.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენით კ. ნ., – დაბადებული 19... წლის 17 ოქტომბერს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 400 საათით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3[1], მე-12 და მე-13 ნაწილების საფუძველზე, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ოქტომბრის განაჩენითა და აღმოსავლეთ საქართველოს მე-2 ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის №02/18/მ/პ/ზ-021 გადაწყვეტილებით განსაზღვრული შინაპატიმრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და კ. ნ-ს განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ, განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 400 საათით.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ. ნ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ორი პირის მიმართ, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2018 წლის 7 ნოემბერს, დილის საათებში, ..., თავიანთ საცხოვრებელ სახლში, ოჯახური კონფლიქტის დროს, კ. ნ-მ მეუღლესთან – ე. თ. და შვილთან – მ. ნ-სთან ერთად ფიზიკურად იძალადა დაზე – ნ. ნ-სა და დისშვილზე – ქ.- ე., რომლებთან ერთადაც ეწევა ერთიან საოჯახო მეურნეობას, კერძოდ: ნ. ნ-ს თმა მოქაჩა, მარჯვენა ხელის მუშტი რამდენჯერმე ძლიერად დაარტყა თავში და ზურ-

გზე, მუცელში ჩაარტყა ფეხი, რის გამოც ნ. ნ. წაიქცა, ხოლო წაქცეულს სახეზე, ტუჩებთან, ერთხელ გაარტყა ხელი. კ. ნ-ს ქმედებებით ნ. ნ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ხმაურზე ოთახში შემოვიდა ნ. ნ-ს შვილი – ქ. ე., რა დროსაც კ. ნ-მ ნ. ნ-ს ჩაარტყა მუშტი თავში და ფეხი – მუცელში, რის შედეგადაც დაზარალებულმა კვლავ განიცადა ფიზიკური ტკივილი. კ. ნ-მ გასაშველებლად მისულ ნ. ნ-ს შვილს – ქ. ე-ს მოქაჩა თმა, ორივე ხელის მუშტი დაახლოებით ათჯერ ძლიერად ჩაარტყა თავსა და კისრის არეში, ხოლო ცხვირზე, მუცელსა და მარცხენა მუხლზე ორ-ორჯერ დაარტყა ფეხი და მუხლი, რის შედეგადაც ქ. ე-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. კ. ნ-ს, ე. თ. და მ. ნ-ს ძალადობის შედეგად ნ. ნ-მ და ქ. ე-მ მიიღეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები, ჯანმრთელობის მოუშლელად.

4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა არონიამ, რომელიც ითხოვდა განაჩენის შეცვლას სასჯელის დამძიმების კუთხით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოცემულ საქმეში წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ კ. ნ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ კ. ნ-სათვის განსაზღვრულ სასჯელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის

დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

4. მსჯავრდებულ კ. ნ-სთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით შერაცხული ქმედება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

5. საკასაციო პალატამ ინდივიდუალურად შეაფასა მოცემული საქმის გარემოებები და მსჯავრდებულის პიროვნება; ასევე, ის გარემოება, თუ კონკრეტული სახისა და ზომის სასჯელის შერჩევა, რამდენად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა – 400 საათით – არ შეესაბამება კ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას. შეფარდებული სასჯელი არის ზედმეტად ლმობიერი და არ წარმოადგენს მსჯავრდებულზე ზემოქმედების იმ ფორმას, რომელსაც შეუძლია, უზრუნველყოს სასჯელის მიზნების რეალურად განხორციელება შემდეგ გარემოებათა გამო:

6. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სასჯელის დასაბუთების ნაწილში არის ზოგადი და მოტივაციაში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა გარემოებები გაითვალისწინა სასამართლომ კ. ნ-სთვის სასჯელის სახისა და ზომის შერჩევისას.

7. საკასაციო პალატამ აუცილებლად მიიჩნია, ინდივიდუალურად შეეფასებინა, ერთი მხრივ, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი,

ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულის პიროვნება, რის საფუძველზეც განსაზღვრავს, რომელი სასჯელის სახე და ზომა უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია: მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ კ. ნ-ს ქმედებაში გამოკვეთილია ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება – ჯგუფურად და ორი პირის მიმართ დანაშაულის ჩადენა და, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი უნდა დაინიშნოს იდეალური ერთობლიობით, მაკვალიფიცირებელ გარემოებათა კუმულაცია ცალსახად წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მის საშიშროებას მნიშვნელოვნად ზრდის.

9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ასევე პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი დამამძიმებელი გარემოება – მსჯავრდებულის წარსული ნასამართლობა, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით კ. ნ. ნასამართლევია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელად განსაზღვრული ჰქონდა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის დარჩენილი ნაწილი – 3 წლით, 10 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა აღმოსავლეთ საქართველოს მე-2 ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით შეეცვალა შინაპატიმრობით. კ. ნ-მ ოჯახური ძალადობა ჩაიდინა სწორედ შინაპატიმრობის მოხდისას. პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელის შერჩევისას, პიროვნების დახასიათების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია სწორედ მისი კრიმინალური წარსული და მიაჩნია, რომ ნასამართლობისა და მით უფრო, შინაპატიმრობით შეცვლილი თავისუფლების აღკვეთის მოხდისას განზრახი დანაშაულის ჩადენა დიდწილად ამცირებს დამნაშავის მიმართ მომავალში მსუბუქი სასჯელის გამოყენების შანსს. მოცემულ შემთხვევაში ცალსახაა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გამოჩენილმა ლმობიერებამ ვერ უზრუნველყო სასჯელის მიზანი და წაახალისა კ. ნ., ჩაედინა ახალი განზრახი დანაშაული.

10. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა სხვა არაფერია, თუ არა დაზარალებულების სამართლიანი დაკმაყოფილება მსჯავრდებულისათვის ადეკვატური, სამართლიანი სასჯელის განსაზღვრით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ. ნ. არ მიისწრაფვის შეურიგდეს დაზარალებულებს, რომელ-

თა პოზიცია მსჯავრდებულის მიმართ სასჯელთან მიმართებით არის მკაცრი. რაც შეეხება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას, როგორც პალატამ უკვე აღნიშნა, მსჯავრდებულმა განზრახი ოჯახური დანაშაული ჩაიდინა შინაპატიმრობის მოხდის დროს, რომლითაც შეეცვალა თავისუფლების აღკვეთა და მოცემულ შემთხვევაში ისეთი მსუბუქი სასჯელის გამოყენება, როგორიც არის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ვერ გამორიცხავს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს და ვერ იქნება დამაფიქრებელი მსჯავრდებულისთვის, გააცნობიეროს თავისი ქმედების ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალიწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ნ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენებით, სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს.

12. საკასაციო პალატას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ კ. ნ-ს საბოლოო სასჯელი განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესის გამოყენებით, რა დროსაც ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ უნდა მიემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან – 2 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ კ. ნ-ს უნდა განესაზღვროს 3 წლით, 10 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა არო-

ნიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. კ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3[1], მე-12 და მე-13 ნაწილების საფუძველზე გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ოქტომბრის განაჩენითა და აღმოსავლეთ საქართველოს მე-2 ადგილობრივი საბჭოს 2018 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით განსაზღვრული შინაპატიმრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივ მიემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელიდან – 2 წლით, 4 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და კ. ნ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 წლით, 10 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა;

4. კ. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№213ა3-20 28 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ჭურღულიასა და მსჯავრდებულ მ. ა-ს ადვოკატ დ. ხ-ს საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს: თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თინათინ ჭურღულიამ და მსჯავრდებულ მ. ა-ს ადვოკატმა დ. ხ-მ.

2. ბრალდების მხარის პოზიციით: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი არის უკანონო და უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება მ. ა-ს მიერ ნ. კ-ს განზრახ მკვლელობის მცდელობა. როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ ნ. კ-ს დაზიანებები სწორედ მ. ა-მ მიაყენა, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის ქმედება გადააკვალიფიცირა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე, ვინაიდან მის ქმედებაში მკვლელობის განზრახვა გამორიცხა. ბრალდების მხარის მოსაზრებით, დანაშაულის მოტივი და მიყენებული დაზიანებების სიმძიმე, რაოდენობა და ლოკალიზაცია ცხადყოფს მსჯავრდებულის ქმედებაში პირდაპირი

განზრახვის არსებობას; დაზარალებულისათვის მიყენებული 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობიდან 2 სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება გულმკერდის მარჯვენა ნახევარშია, რაც, მათი ლოკალიზაციისა და ხარისხის გათვალისწინებით, პირდაპირ მიუთითებს მკვლელობის განზრახვაზე; სააპელაციო სასამართლომ მკვლელობის განზრახვა გამორიცხა, რადგან დაზარალებულს გონება არ დაუკარგავს და მსჯავრდებულს არ გაუგრძელებია მისთვის დაზიანებების მიყენება, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დაზარალებულს უკვე მიყენებული ჰქონდა 12 ჭრილობა, მათ შორის 2 – სიცოცხლისათვის სახიფათო; სასამართლომ ასევე ივარაუდა, რომ მსჯავრდებული დაზარალებულს დაზიანებებს აყენებდა მოზომილად, რაც, მიყენებული ჭრილობების რაოდენობისა და სიმძიმის გათვალისწინებით, არის გამორიცხული.

3. დაცვის მხარის პოზიციით: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი არის უკანონო და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ა-მ დაზიანებები მიაყენა ნ. კ-ს, მოპოვებულია კანონის დარღვევით; პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა მსჯავრდება დააფუძნეს მ. ა-ს მამის – თ. ა-სა და მეუღლის – ნ. ე-ს მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასა და მოწმე ა. ფ-ს ჩვენებას, თუმცა არც ერთი ზემოაღნიშნული პირი არ ყოფილა ფაქტის თვითმხილველი და მათგან მიღებული ინფორმაცია არის – ირიბი; თ. ა-მ და ნ. ე-მ ისარგებლეს მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით – არ მისცეს მათი ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენებები და სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისას გამოეყენებინა ამ პირთა მიმართ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებული მასალები, რომელთა ავთენტურობა ასევე იყო საეჭვო.

4. მ. ა-ს, – დაბადებულს 19... წლის 20 დეკემბერს, – ბრალი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2018 წლის 31 აგვისტოს, დაახლოებით 17:40 საათზე, ... კორპუსის ეზოში, მ. ა-სა და ნ. კ-ს შორის მომხდარი ჩხუბის დროს, მ. ა-მ, განზრახ მოკვლის მიზნით, თორმეტჯერ დაარტყა დანა ნ. კ-ს, რომელიც სასწრაფო დახმარებამ დაუყოვნებლივ გადაიყვანა საავადმყოფოში და ჩატარებული ოპერაციული მკურნალობის შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

5. მ. ა-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამარ-

თლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 მაისის განაჩენით მ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ა-ს ადვოკატმა დ. ხ-მ, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენის მოთხოვნით.

8. ბრალდების მხარე სააპელაციო შესაგებლით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 27 მაისი განაჩენში შევიდა ცვლილება:

მ. ა-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

მ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ა-ს ადვოკატ დ. ხ-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ჭურღულიას საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №.. დასკვნით დადგენილია და მხარეებს შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 2018 წლის 31 აგვისტოს ნ. კ-ს სხეულზე აღენიშნებოდა 12 ნაკვეთნაჩხვლეტი (სისხლმდენი) ჭრილობა: ორი ჭრილობა – გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, წინა აქსილარულ ხაზზე, მე-6-მე-7 ნეკნების დონეზე, მათგან ერთი შემავალი მარჯვენა პლევრის და მუცლის ღრუში – ნეკნთაშუა არტერიის, დიაფრაგმის და ღვიძლის დაზიანებით. სამი ჭრილობა – მუცლის მიდამოში, მეზოგასტრიუმში, მარცხნივ, მამილარულ ხაზზე ჭიპის დონეზე (ჭრილობიდან ევენტერირებული წვრილი ნაწლავის მარყუჟით, ერთ-ერთი ჩანაწერის თანახმად, ნაწლავის მარყუჟი ევენტერირებული იყო მუცლის წინა მარჯვენა კედელზე არსებული ჭრილობიდან), მუცლის ზედა კვადრატში, მარჯვნივ, მიმართულ ხაზზე და მეზოგასტრიუმის დონეზე წინა აქსილარულ ხაზზე – მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა აზიანებდა მლივ ნაწლავს, ასევე, ჭრილობა – მარცხენა წინამხრის დისტალურ მესამედში, გამჭოლი ჭრილობა – მარჯვენა მტევნის პალმარულ ზედაპირზე (II თითის და ხელის გულის მიდამოში), ორი ჭრილობა -მარჯვენა წვივზე ლატერალურად – ზემო და ქვემო მესამედებში, ჭრილობა – მარჯვენა ბარძაყის ლატერალურ ზედაპირზე ქვემო მესამედში და ჭრილობა – მარცხენა ბარძაყის შუა მესამედში. უკანა დაზიანებები (ჭრილობები) განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს – 2018 წლის 31 აგვისტოს. მარჯვენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები, იზოლირებულად აღებულნი, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს, ხოლო დანარჩენი (პლევრისა და მუცლის ღრუში არაშემავალი და კიდურებზე არსებული) ჭრილობები, იზოლირებულად აღებულნი, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

2. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის თანახმად, სასამართლოში წარმოდგენილია შეთანხმებული, საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ 2018 წლის 31 აგვისტოს ... ეზოში, მ. ა-სა და ნ. კ-ს შორის მომხდარი ჩხუბის დროს, მ. ა-მ მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედებით 12 ჭრილობა მიაყენა ნ. კ-ს, მათ შორის: 2 ჭრილობა – გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, 3 ჭრილობა – მუცლის მიდამოში, ასევე ჭრილობა – მარცხენა წინამხრის არეში, გამჭოლი ჭრილობა – მარჯვენა მტევანზე, 2 ჭრილობა – მარჯვენა წვივზე, თითო ჭრი-

ლობა – მარჯვენა და მარცხენა ბარძაყის არეში, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო პალატა გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტებს, რომ თითქოსდა, მ. ა-ს ბრალეულობა ემყარება მხოლოდ ირიბ ჩვენებებს, რომელთა საფუძველზე შეუძლებელია სასამართლომ უტყუარად დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამიჯნოს, რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენს ირიბს და შემდეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

4. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ შესაძლებელია, პირდაპირი მტკიცებულება, მათ შორის პირდაპირი ჩვენებაც, ასახავდეს მომხდარ ფაქტს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ერთ, თუმცა მნიშვნელოვან მონაკვეთს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება №626აპ-17 საქმეზე, პუნქტი 34). ამდენად, მოცემულ საქმეში შემთხვევის ადგილზე გამოკვეთილია დაპირისპირების სხვადასხვა ეპიზოდი, რომლებიც დაკავშირებულია ერთმანეთთან და ფაქტობრივად ერთი მეორის გაგრძელებაა; დადასტურებულია, რომ მ. ა-სა და ნ. კ-ს შორის ჩხუბს ჰქონდა კონკრეტული წინაპირობა – მსჯავრდებულის მამასა და დაზარალებულს შორის დაპირისპირება; გარკვეულია, რომ მსჯავრდებულის სისხლიანი ტანსაცმელი ამოღებულია სხვა პირის ბინიდან; მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმყოფებოდა თავისი ნათესავის სახლში და ამ, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების ირგვლივ მოწმეები დიდწილად აღწერენ იმ ფაქტებსა და გარემოებებს, რაც თავად მოისმინეს ან დაინახეს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მტკიცების საგნის დასადგენად (რომელშიც მოიაზრება: მომხდარი ფაქტის ნამდვილობა, დრო და ადგილი, ინციდენტში მონაწილე პირები, მათი მოქმედებანი და დამდგარი შედეგი, ქმედების ობიექტური (მიზეზობრი-

ვი) და სუბიექტური (მოტივი, განზრახვა) კავშირი ამ შედეგთან) მეტად მნიშვნელოვანია ყველა იმ მოწმის ჩვენებისა თუ ჩვენების ნაწილის შეფასება, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს, რათა მთლიანობაში აღადგინოს დანაშაულის სურათი და დაადგინოს ობიექტური გარემოებები, კერძოდ:

5. საკასაციო პალატა დანაშაულის მოტივის დადგენისას ითვალისწინებს, რომ ნ. კ., რომელიც იყო მთვრალი, შემთხვევის დღეს ჯერ დაუპირისპირდა მ. ა-ს მამას – თ. ა-ს, ხოლო შემდეგ – თავად მსჯავრდებულს. მაღაზიის გამყიდველის – ხ. ხ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ თ. ა-მ გამოიძახა პატრული, რადგან მაღაზიაში „...“ პროდუქციის მიღებისას ნამცხვრები ძირს დაეყარათ, თუმცა მაინც მიიღეს სარეალიზაციოდ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გამოჩენამ გააღიზიანა ნ. კ. და მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ შეტყობინება თ. ა-ს ეკუთვნოდა, მათ შორის საუბარი დაიძაბა, რაც გაგრძელდა პატრულის წასვლის შემდეგაც. კონფლიქტში ჩაერია თ. ა-ს შვილი – მ. ა., რომელთანაც გააგრძელა კამათი ნ. კ-მ. ხ. ხ-მ დაინახა, როგორ ჰკრა ხელი ნ. კ-მ მ. ა-ს, თუმცა როგორ გაგრძელდა მოვლენები, მოწმის ჩვენებით ვეღარ დგინდება, ვინაიდან მან მაღაზიაში განაგრძო საქმიანობა. მოწმე ნ. ს-ს ჩვენებით ირკვევა, რომ ფანჯრიდან შენიშნა ორი ბიჭი, რომლებიც ერთმანეთში ჩხუბობდნენ, ხოლო როდესაც ეზოში ჩავიდა, ნახა მ. ა. და ასევე მამამისი – თ. ა., რომელსაც მაისური წითლად ჰქონდა დასვრილი და ხელებს იბანდა. ნახა ნ. კ-ც, რომელიც გააღიზიანა მისმა ცნობისმოყვარეობამ და შეურაცხყოფა მიაყენა. სახლში დაბრუნებულმა კვლავ გაიგო ეზოდან ჩხუბის ხმა და ნ. კ-ს სიტყვები: „მ-მ რა ქნაო‘‘. საკასაციო პალატა მიიჩნევს: მიუხედავად იმისა, რომ ნ. კ-ს არ დაუსახელებია მ-ს გვარი, რაც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ დაჭრამდე ჩხუბი და შელაპარაკება სწორედ. ა-სა და ნ. კ-ს შორის მოხდა და სხვა „მ-ს“ რაიმე ფორმით მონაწილეობა კონფლიქტში არ დასტურდება. ამასთან, საყურადღებოა, რომ სასამართლოში დაკითხული მოწმეები, ვინც უშუალოდ იცნობდა მ. ა-ს, ჩვენებისას მოიხსენიებდა მას როგორც – „მ-ს“. ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც კონფლიქტის სხვადასხვა მონაკვეთის თვითმხილველები არიან, ერთობლივად იძლევიან იმის დადგენის შესაძლებლობას, რომ შემთხვევის დღეს ნ. კ-ს მხოლოდ მ. ა-სა და მამამისთან მოუხდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება. მ. ა-ს დანაშაულის შემდგომი ქცევის შესაფასებლად, საკასაციო პალატისათვის ასევე მეტად მნიშვნელოვანია მოწმეების – გ. ბ-სა და ა. ფ-ს ჩვენებები. მოწმე გ. ბ-ს განმარტებით, იგი ქუჩაში შეხვდა მ. ა-ს, რომელმაც მასთან სახლში გამო-

იცვალა სისხლიანი ტანსაცმელი, ჩაიცვა მისი და დატოვა თავისი. მოწმის ჩვენება სრულად თანხვდენილია და დასტურდება 2018 წლის 1 სექტემბრის მისი ბინის ჩხრეკის ოქმით, რომლითაც დადგენილია, რომ გ. ბ-ს სააბაზანოდან ამოღებულ იქნა მსჯავრდებულის სისხლიანი ტანსაცმელი. საყურადღებოა საგამოძიებო მოქმედების ოქმზე გ. ბ-ს შენიშვნა, რომლის მიხედვით, ამოღებული შარვალი და მაისური ეკუთვნის მ. ა-ს, რომელიც მან 2018 წლის 31 აგვისტოს გამოიცვალა მის სახლში და დატოვა. თავად მ. ა-მ დაადასტურა გ. ბ-ს სახლში ტანსაცმლის გამოცვლის ფაქტი, თუმცა, მისი განმარტებით, ასე იმიტომ მოიქცა, რომ სახლში მიბრუნებულს ნ. კ-სთან შეხვედრა აღარ სურდა, რაც, დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელსაც 12 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ყოველგვარ გონივრულ საფუძველს მოკლებულია. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ა-ს ქმედებები ცალსახად მიმართული იყო მის ტანსაცმელზე არსებული დანაშაულის აშკარა კვალის მოსპობისაკენ. მ. ა-ს ნათესავის – მოწმე ა. ფ-ს ჩვენებით ირკვევა, რომ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენის შემდეგ მ. ა. სწორედ მასთან მივიდა სახლში და არ დაუმალავს, რომ ჩხუბი მოუვიდა ადამიანთან, რომელსაც თვითონ ჰქონდა დანა და შეხლა-შემოხლის დროს დაიჭრა. ა. ფ-მ დაადასტურა გამოძიებისას, გამოკითხვის დროს, მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ მ. ა-ს უთხრა, რომ მოუხდა კონფლიქტი, რა დროსაც ჭრილობები მიაყენა ნ. კ-ს მუცლის არეში. ა. ფ-ს განმარტება დაადასტურა მისმა ვაჟმა – ბ. ფ-მაც, რომელმაც მამისგან შეიტყო, რომ მ. ა-მ გაანდო მას, როგორ დაჭრა უბანში მომხდარი შელაპარაკებისას ადამიანი. საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნულ ჩვენებებთან ერთობლივად შეაფასა ფარული სატელეფონო მიყურადებისა და მოსმენის შედეგად მოპოვებული მასალები, რომლებითაც უტყუარად დადგენილია, რომ მსჯავრდებულის მეუღლე ნ. ე. სატელეფონო საუბრებისას არ მალავს, რომ მათ ოჯახს ცუდი რამ შეემთხვა, ამასთან, აღნიშნავს, რომ ნ. კ-მ, რომელიც „ავარდნილის ერთია“, ხუთჯერ არის ნასამართლევი, მათ შორის მკვლელობის მცდელობისათვის, დანა „აუფრიალა“ მის მეუღლეს, რომელმაც, თავის მხრივ, არ დაუთმო ნ. კ-ს. საყურადღებოა ნ. ე-ს სატელეფონო საუბარი, სადაც ის მამამთილს ადანაშაულებს მომხდარში, რადგან სწორედ მას მოუვიდა ჩხუბი ნ. კ-თან, ხოლო მისმა მეუღლემ ჩააკითხა. მსჯავრდებულის მამის – თ. ა-ს სატელეფონო საუბრებით ირკვევა, რომ იგი ცდილობს დაადგინოს, ვისი შვილიშვილია დაზარალებული და რის თქმას აპირებს იგი სასამართლოში, მოგვიანებით კი იგებს, რომ დაზარალებულის ბიძის გადმოცემით, ნ. კ. „კანონიერ ქურდობას“ აპირებს და გამორიცხულია მის ვაჟს სასამართლოში „ხელი დაადოს“.

6. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალებთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის მამამ – თ. ა-მ და მეუღლემ – ნ. ე-მ ისარგებლეს მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით – არ მისცეს მათი ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენებები სასამართლოს და გამოკვეთილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა. ამდენად, შეუძლებელია ზემოაღნიშნული მოწმეების მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვისას, მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, თუმცა საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავების უფლება ვერაფრით გავრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მასალებზე, ვინაიდან თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, არ ჰქონდეს მოლოდინი, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი ან მისი ახლო ნათესავები თავად შექმნიან მის საწინააღმდეგო მტკიცებულებას, მაგრამ ეს პრივილეგია არ ზღუდავს გამოძიებას, მოიპოვოს სამხილები ბრალდებულისაგან/მსჯავრდებულისგან თავისუფალ გარემოში. ზემოაღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია, დაუშვებელია სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება, მაშინ, როდესაც ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად – ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმადაც, მსჯავრდებულის მამამ – თ. ა-მ და მეუღლემ – ნ. ე-მ არ მისცეს ჩვენებები სასამართლოს, მაგრამ სატელეფონო საუბრების შინაარსი და ნამდვილობა დაადასტურეს მათთან მოსაუბრე პირებმა: ბ. ძ-მ – თ. ა-სთან და ნ. ნ-მ – ნ. ე-სთან, ამასთან, მითითებული მტკიცებულებების ავთენტიკურობასა და დასაშვებობაზე იმსჯელა სასამართლომ წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და სამხილები დასაშვებად ცნო.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტული მტკიცე-

ბულების შეფასებისას სასამართლოს გააჩნია გონივრული მოლოდინი, რომ მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი და ამ მტკიცებულებების ბუნებიდან გამომდინარე, არც უნდა ჰქონდეს იმაზე მეტის დადგენის მოლოდინი, ვიდრე ეს თავად მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარეობს. საკასაციო პალატამ შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამიჯნა, რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენდა პირდაპირსა და რომელი – ირიბს და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთობლივად ქმნის დანაშაულის სურათის აღდგენის შესაძლებლობას, რაც ცალსახად მუთითებს მ. ა-ს ბრალეულობაზე, ხოლო საწინააღმდეგოს მტკიცება ეწინააღმდეგება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტებს.

8. ამდენად, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, ცალსახა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, უტყუარად დასტურდება, რომ მ. ა-მ ნ. კ-სთან ჩხუბის დროს 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მიაყენა დაზარალებულს, მათ შორის: ორი ჭრილობა – გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, სამი ჭრილობა – მუცლის მიდამოში, ასევე ჭრილობა – მარცხენა წინამხრის დისტალურ მესამედში, გამჭოლი ჭრილობა – მარჯვენა მტევნის პალმარულ ზედაპირზე, ორი ჭრილობა – მარჯვენა წვივზე, ჭრილობა – მარჯვენა ბარძაყის ლატერალურ ზედაპირზე, ქვემო მესამედში და ჭრილობა – მარცხენა ბარძაყის შუა მესამედში.

9. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ა-ს ქმედებაში უტყუარად ვერ დადგინდა, რომ დაზარალებულისათვის დაზიანებების მიყენებისას მ. ა. მოქმედებდა მკვლელობის განზრახვით და მსჯავრდებულის ქმედება შეაფასა, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც საკასაციო პალატა კატეგორიულად არ ეთანხმება.

10. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ. საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენი, №527აპ-17 საქმეზე).

11. საკასაციო პალატა გაკვირვებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობით იმის თაობაზე, რომ დაზიანებების მიყენების შემდეგ დაზარალებულს გონება არ დაუკარგავს, პირიქით – აზროვნებდა და გადაადგილდებოდა (სისხლის კვლები დატოვა სხვადასხვა ადგილას). ამის შესახებ ცნობილი იყო მ. ა-სათვის, მაგრამ არ გაუგრძელებია მისთვის დაზიანებების მიყენება. პირიქით, ყველა მტკიცებულება ადასტურებს იმას, რომ მსჯავრდებული ყველანაირად ცდილობდა დაზარალებულისგან მორიდებას და კონფლიქტის განახლებას.

12. სააპელაციო პალატა ან გულუბრყვილოდ ცდება ან შეგნებულად ცდილობს თვალი დახუჭოს იმ გარემოებაზე, რომ მ. ა-მ ნ. კ-ს მიაყენა 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა, მათ შორის: სიცოცხლისათვის სახიფათო 2 დაზიანება გულმკერდის არეში და ასევე სხვა მრავალი ჭრილობა მუცლის, წინამხრის, მტევნის, წვივისა და ბარძაყის მიდამოში, რაც ცალსახად გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ მსჯავრდებულს, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, არ გაუგრძელებია დაზარალებულზე თავდასხმა. ამგვარი მსჯელობა რელევანტურია იმ შემთხვევაში, თუკი ერთეული ჭრილობის მიყენების შემდეგ პირი წყვეტს დანაშაულებრივ ქმედებას და მისი შემდგომი ქცევა, როგორიც შეიძლება იყოს დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენა, სასწრაფოს გამოძახება და სხვა, აშკარად მიანიშნებს მის განზრახვაზე, რომელიც არ უკავშირდება მსხვერპლისათვის სიცოცხლის მოსპობას. რადიკალურად განსხვავებულია მოცემული შემთხვევა, როდესაც დაზარალებულს მიყენებული აქვს 12 ჭრილობა, ფაქტობრივად სხეულის ყველა მონაკვეთში, წვივიდან გულმკერდამდე, მათ შორის სიცოცხლისათვის განსაკუთრებით სახიფათო მიდამოებში – გულმკერდსა და მუცელში.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული მსჯელობა, გარდა იმისა, რომ მოკლებულია გონივრულ საფუძველს, ასევე ურთიერთგამომრიცხველია, ვინაიდან სასამართლო, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ მ. ა-ს არ უცდია, განეგრძო დაზარალებულისათვის დაზიანებების მიყენება, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ იგი ცდილობდა კონფლიქტის განახლებას, რაც მეტად ბუნდოვანი და გაუგებარია.

14. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული 12 დაზიანებიდან, მხოლოდ ორია სიცოცხლისათვის სახიფათო და მათგან არცერთი არ აზიანებს ისეთ ორგანოებს (გულს, ტვინს, არტერიას), რაც სწრაფად იწვევს სასიკვდილო

შედეგს და არც ასეთი დაზიანების საფრთხის შექმნის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არსებობს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, რომ მხოლოდ ისეთი ორგანოების დაზიანება, როგორიც არის – გული, ტვინი, არტერია – იწვევს სწრაფ სიკვდილს, სცდება სასამართლოს კომპეტენციას და შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე პირთა განსჯის საგანს წარმოადგენს. საკასაციო პალატისათვის მით უფრო გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, როდესაც მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კვალიფიციური დასკვნა, რომლითაც შესაბამისი საექსპერტო კვლევის შედეგად დადგენილია, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული მარჯვენა პლევრისა და მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობები იყო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის.

15. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომლის მიხედვით, ჭრილობების დიდი ნაწილი დაზარალებულს მიყენებული აქვს კიდურებში, მუცლისა და გულმკერდის არეში და ამ მოცემულობით გონივრულად მიაჩნია ვარაუდი, რომ მ. ა. ნ. კ-ს დაზიანებებს აყენებდა გარკვეულწილად მოზომილად, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეახსენებს, რომ დაზარალებულს ჭრილობები მიყენებული აქვს როგორც ზემო, ისე ქვემო კიდურებზე, გულმკერდისა და მუცლის არეში, სულ – 12 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი, სწორკიდეებიანი ჭრილობა. აქედან გულმკერდის არეში – 2 ჭრილობა, წინა აქსილარულ ხაზზე, მე-6-მე-7 ნეკნების დონეზე, ზომებით – 3X4 სმ და 3X5 სმ, მათგან ერთი შემავალი მარჯვენა პლევრის და მუცლის ღრუში – ნეკნთაშუა არტერიის, დიაფრაგმის და ღვიძლის დაზიანებით; მუცლის არეში – 3 ჭრილობა ზომებით: 2X1 სმ, 5X2 სმ და 2X1 სმ, მეზოგასტრიუმში, მარცხნივ, მამილარულ ხაზზე, ჭიპის დონეზე (ჭრილობიდან ევენტერირებული წვრილი ნაწლავის მარყუჟით, ერთ-ერთი ჩანაწერის თანახმად, ნაწლავის მარყუჟი ევენტერირებული იყო მუცლის წინა მარჯვენა კედელზე არსებული ჭრილობიდან), მუცლის ზედა კვადრატში, მარჯვნივ მიმართულ ხაზზე და მეზოგასტრიუმის დონეზე, წინა აქსილარულ ხაზზე – მუცლის ღრუში შემავალი ჭრილობა აზიანებდა მლივ ნაწლავს; მარცხენა წინამხრის დისტილარულ მესამედში ჭრილობა ზომით – 8X2 სმ; მარცხენა მტევნის პალმარულ ზედაპირზე გამჭოლი ჭრილობა ზომით – 4X1 სმ; მარჯვენა წვივის ზემო და ქვემო მესამედებში – 2 ჭრილობა ზომებით – 5X1 სმ და 4X1 სმ; მარჯვენა ბარძაყის ლატერალურ ზედაპირზე – ჭრილობა ზომით 3X2 სმ; მარცხენა ბარძაყის უკანა ზედაპირზე – ჭრილობა ზომით 8X2 სმ; ჩატარებული

ოპერაციისას პლევრის ღრუში აღმოჩნდა 400 მლ-მდე სისხლი და 3000 მლ-მდე სისხლის კოლტები, დიაფრაგმის ჭრილობა ნეკნთა რკალიდან ზემოთ, ღვიძლის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი, სისხლმდენი ღრმა ჭრილობა ზომით 8X2 სმ; საკასაციო პალატისათვის წარმოუდგენელია, ამ რაოდენობის, ლოკალიზაციისა და სიმძიმის ჭრილობები, მათ შორის შემავალი გულმკერდის არეში, ღვიძლისა და პლევრის დაზიანებით, მტევნის გამჭოლი ჭრილობა შეფასდეს, როგორც მსჯავრდებულის მხრიდან მოზომილი მოქმედება, რათა არ დამდგარიყო დაზარალებულის სიკვდილი.

16. ამდენად, საკასაციო პალატამ მსჯავრდებულის განზრახვის დადგენისას ყურადღება გაამახვილა შურისძიების მოტივზე, რომელიც აღეძრა მ. ა-ს ნ. კ-ს მხრიდან ჯერ მამამისის, ხოლო შემდეგ პირადად მისი შეურაცხყოფის შედეგად და დაზარალებულის დაზიანებების რაოდენობაზე, ლოკალიზაციაზე, ხასიათსა და ხარისხზე, განსაკუთრებით კი, ნ. კ-სათვის მიყენებულ სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის ჭრილობებზე გულმკერდისა და ასევე, ჭრილობებზე მუცლის არეში, რაც უპირობოდ გამორიცხავს მის ქმედებაში მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვას და ცალსახად მიუთითებს დაზარალებულის მკვლელობის აშკარა სურვილზე, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ბოლომდე ვერ მიიყვანა.

17. რაც შეეხება მ. ა-ს ქმედების სამართლებრივ შეფასებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ:

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის მიხედვით:

ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით:

ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი....

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით კრიმინალიზებულია დამამძიმებელი გარემოებების გარეშე განზრახ მკვლელობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

18. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, ცალსახა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. ა-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – განზრახ მკვლელობის მცდელობის – ჩადენა, რისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

20. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

21. საკასაციო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ: სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული ჩადენილია საჯარო ადგილას, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში; მიყენებული ჭრილობების რაოდენობას; მსჯავრდებულის პიროვნებას – სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები მისი უარყოფითად დახასიათების შესაძლებლობას არ იძლევა და მიაჩნია, რომ მ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას. ამასთან, ჩადენილი დანაშაულის სახისა და ხერხიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს, მ. ა-სათვის დამატებითი სასჯელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დანიშვნას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. ა-ს ადვოკატ დ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ თინათინ ჭურღულიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

4. მ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. მ. ა-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი აეთვალოს 2018 წლის 1 სექტემბრიდან;

6. მ. ა-ს დამატებითი სასჯელის სახით 3 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები, რომლის ვადა აეთვალოს სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ოჯახში ძალადობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№65ა3-20 9 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
თ. ზამბახიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ ნიკოლაშვილმა.

2. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ს. ს-ს წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობას; პროკურორის მითითებით, დაზარალებული ლ. ზ. პოლიციაში შეტანილ განცხადებაში უთითებდა ს. ს-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებზე; გამომძიებელ ზ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ პირველი კონტაქტისას ლ. ზ. იყო აღელვებული, ტიროდა და ჰყვებოდა მასზე ძალადობის შესახებ; გამომძიებელი თ. . უთითებდა, რომ გამოკითხვისას დაზარალებული მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც დაარწმუნეს, რომ დაკავებული მეუღლე ვერაფერს დაუშავებდა; მოწმე ნ. ფ-მ, ვისთანაც პირველი შეხება ჰქონდა დაზარალებულს ძალადობის შემდეგ, აღწერდა დაზარალებულის მძიმე ემოციურ მდგომარეობას, რომელსაც მან ურჩია პოლიციისათვის მიემართა; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ ს. ს-ს საცხოვრებელ ბინაში არეულობის კვალი არ შეინიშნებოდა, რადგან ს. ს-ს

დედამ – მ. ქ-მ ექსპერტების მისვლამდე ბინა დაალაგა; გამომძიებლებმა: რ. ე-მ, მ. ჩ-მ, დ. ტ-მ, მ. მ-მ და სოციალურმა მუშაკმა ნ. გ-მ დაადასტურეს არასრულწლოვანი დაზარალებულების – გ., მ. და ნ. გ-ების მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორე და მათი ემოციური მდგომარეობა.

3. გამართლებულ ს. ს-ს ადვოკატმა გ. ქ-მ საკასაციო საჩივარზე შესაგებლით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

4. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

2012 წლიდან 2018 წლის 16 ოქტომბრამდე ს. ს. არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ლ. ზ-ს, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, აგინებდა და ამცირებდა როგორც ცალკე, ისე – შვილების თანდასწრებით, ეუბნებოდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს, რის გამოც ლ. ზ. მუდმივად განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას. ს. ს. ლ. ზ-ს ასევე სისტემატურად აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც დაზარალებული ყოველი ასეთი შემთხვევისას განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. 2014 წლის ივლისში ... კორპუსთან, ს. ს-მ აგინა ლ. ზ-ს მისი არასრულწლოვანი შვილის – ნ. გ-ს თვალწინ, რამდენჯერმე ჩაარტყა თავში ხელი, დაიჭირა თმით და მუშტი დაარტყა სახის არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. ამის შემდეგ დედის დასაცავად კონფლიქტში ჩართულ არასრულწლოვან ნ. გ-ს ს. ს-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ორივე დაზარალებულს დაემუქრა მოკვლით, კერძოდ, ყელის გამოჭრით. ბრალდებულის იმწუთიერი აგრესია, წარსული ძალადობის გათვალისწინებით, დაზარალებულებმა აღიქვეს რეალურად და გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2012 წლიდან 2018 წლის 16 ოქტომბრამდე ს. ს. არასრულწლოვან გერს – ნ.გ-ს, რომელთან ერთადაც მუდმივად ცხოვრობდა, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, აგინებდა და ამცირებდა როგორც ცალკე, ისე – არასრულწლოვანი და-ძმის თანდასწრებით, ეუბნებოდა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებს, მოიხსენიებდა ცხოველების სახელით, რის გამოც ნ. გ. მუდმივად გრძნობდა თავს დამცირებულად, დათრგუნულად და განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

2017 წლის ნოემბერში ...., ს. ს-მ დედის დასაცავად კონფლიქტში ჩარეულ არასრულწლოვან გერს – ნ. გ-ს ხელი დაარტყა სახის არეში, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკი-

ვილი.

2017 წლის 13 დეკემბერს ..., ს. ს-მ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ლ. ზ-ს თავში რამდენჯერმე დაარტყა მუშტი, დააგდო საწოლზე და დააფარა ბალიში, იმავდროულად უკავებდა ხელებს და ცდილობდა მის გაგუდვას, რა დროსაც ოთახში შევიდა ლ. ზ-ს შვილი – ნ. გ. და დაინახა დედის მიმართ ძალადობა. ს. ს-ს ქმედების შედეგად ლ. ზ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2018 წლის 1 იანვარს ..., ლ. ზ-მ ს. ს-ს მოსთხოვა სახლიდან წასვლა და ძალადობის შეწყვეტა, ასევე გააფრთხილა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში მიმართავდა პოლიციას. ს. ს. ლ. ზ-ს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, უთხრა, რომ პოლიციაში წასვლა და ლ. ზ-ს „დაბრედვა“ ერთი იქნებოდა. ს. ს-ს ძალადობრივი ხასიათიდან გამომდინარე, დაზარალებულმა მუქარა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში, რის გამოც არ მიმართა პოლიციას.

2018 წლის ზაფხულში ..., ს. ს-მ ლ. ზ-ს თავისი არასრულწლოვანი შვილების – ნ., მ. და გ. გ-ების თვალწინ, სახეში დაარტყა და თმით ათრია, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2018 წლის 10 ოქტომბერს ..., ს. ს. მივიდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლ. ზ-ს დროებით საცხოვრებელ სახლში და მოსთხოვა კარის გაღება, რომელიც დაზარალებულს მისგან დასაცავად ჰქონდა ჩაკეტილი, თან დაემუქრა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში მას და მის არასრულწლოვან შვილებს – ნ., გ. და მ. გ-ებს დანით ყელს გამოჭრიდა.

2018 წლის 15 ოქტომბერს ს. ს-მ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლ. ზ. მოატყუა, რომ თითქოსდა, მასთან სურდა შერიგება და თავის დედასთან – მ. ქ-სთან ერთად უნდოდა დალაპარაკება. ... ბინაში მისულ ლ. ზ-ს ს. ს-მა შიგნიდან ჩაუკეტა ბინის კარი, დაუმალა გასაღები და მობილური ტელეფონი. თავისუფლებააღკვეთილ დაზარალებულს ს. ს-მა მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, აგინა, ათრია თმით, სამჯერ მიარტყმევინა კედელზე თავი და მუშტი ჩაარტყა საფეთქელში. ძალადობის შედეგად დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და მორალური ტანჯვა. ს. ს. ლ. ზ-ს ასევე დაემუქრა „ღორივით ყელის გამოჭრით“, თუკი ის მომხდარის შესახებ პოლიციაში განაცხადებდა. ლ. ზ-ს შეეშინდა და მთელი ღამე გაატარა ბინაში, სანამ მომდევნო დილას ს. ს-ს მიერ მაცივარზე დადებული გასაღებით არ გააღო კარი და ასე დააღწია მას თავი.

2012 წლიდან 2018 წლის 16 ოქტომბრამდე ს. ს. არასრულწლოვან გერებს – მ. და გ. გ-ებს, რომლებთან ერთადაც მუდმივად ცხოვ-

რობდა, სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას – აგინებდა და ამცირებდა როგორც ცალკე, ისე – არასრულწლოვანი დაძმის თანდასწრებით, ეუბნებოდა შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სიტყვებს, მოიხსენიებდა ცხოველების სახელით, რის გამოც გ. და მ. გ-ები მუდმივად გრძნობდნენ თავს დამცირებულად, დაკომპლექსებულად, დათრგუნულად და განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

5. ს. ს-ს (დაბადებულს 1... წლის ... სექტემბერს) წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 20 სექტემბრის განაჩენით ს. ს. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 20 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ ნიკოლაშვილმა, რომელიც

ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ს. ს-ს დამნაშავედ ცნობას მისთვის წარდგენილ ბრალდებებში.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 20 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. ამდენად, სასამართლომ უნდა შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი მხარე, რათა დადგინდეს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებით სტანდარტს, კერძოდ:

4. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა ს. ს-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^{1}-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11^{1},151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწი-

ლის „გ“ ქვეპუნქტით (2012 წლიდან ლ. ზ-ს სისტემატური შურაცხყოფისა და დამცირების და 2014 წლის ივლისში ფიზიკური ძალადობისა და მუქარის ფაქტები), ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2012 წლიდან ნ. გ-ს სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების და 2017 წლის ნოემბერში ფიზიკური ძალადობის ფაქტები), ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 31 დეკემბერს ლ. ზ-ზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი), ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 იანვარს ლ.ზ-ს მიმართ მუქარის ფაქტი), ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2018 წლის ზაფხულში ლ. ზ-ს მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტი), ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 10 ოქტომბერს ლ. ზ-ს, ნ., მ. და გ. გ-ების მიმართ მუქარის ფაქტი), ამავე კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა (2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მუქარის ფაქტები) და ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (2012 წლიდან მ. და გ. გ-ების მიმართ სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების ფაქტი) ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა; ბრალდების მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული მტკიცებულებებიდან მოწმეების: ზ. ს-ს, თ. ნ-ს, ნ. ფ-ს, რ. ე-ს, მ. ჩ-ს, დ. ტ-ს, მ. მ-ს, ნ. გ-ს, ნ. ზ-ს, ე. ე-სა და ო. ფ-ს ჩვენებები ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით კონკრეტულად არაფრის მთქმელია; დაზარალებულებმა – ლ. ზ-მ, ნ., მ. და გ. გ-ებმა სასამართლოს არ მისცეს ს. ს-ს საწინააღმდეგო ჩვენებები და სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება სხვა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ს. ს-ს მიერ მისთვის ბრალად წარდგენილი ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენას და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი ბრალდებების ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

5. საკასაციო პალატა გვერდს ვერ აუვლის არასრულწლოვანი დაზარალებულების მ., ნ. და გ. გ-ების საპროცესო წარმომადგენლის – ნ. გ-ს ჩვენებას, რომლითაც თვალსაჩინოდ წარმოჩნდა ოჯახური კონფლიქტების ნეგატიური გავლენა ბავშვებზე და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს წუხილს იმის თაობაზე, რომ საზოგადოების ნაწილს უთანხმოების დროს ოჯახის წევრთა შეურაცხყოფა ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია და არც დანაშაულის შესახებ ეჭვის თაობაზე ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სააპელაციო სასამართლომ ს. ს-სა და ლ. ზ-ს

მეზობლების – ო. ფ-სა და ნ. ფ-ს ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ს. ს-ს მხრიდან ოჯახის წევრების გინების ფაქტი, სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ეს გარემოება არ მოიცავს ბრალად წარდგენილი ქმედებების შემადგენლობას და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა სისტემატური შეურაცხყოფის, დამცირების ან მუქარის ფაქტები, რაც ბრალად ჰქონდა წარდგენილი ს. ს-ს.

6. საკასაციო პალატამ ასევე შეაფასა წარმოდგენილი მტკიცებულებები მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ს. ს-ს 2018 წლის 15 ოქტომბერს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობაში დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

7. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ლ. ზ-მ სასამართლოს არ მისცა თავისი ახლო ნათესავის – ს. ს-ს მამხილებელი ჩვენება და გამოკვეთილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა. ამდენად, შეუძლებელია დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვისას, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასამართლომ დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს.

8. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია დაზარალებულის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელიც იყო მოტივირებული, რათა ხელი შეეწყო ობიექტური გამოძიებისთვის – თავად მიმართა პოლიციას დანაშაულის შესახებ შეტყობინებით, მისცა არაერთი ჩვენება, ჩაიტარა სამედიცინო ექსპერტიზა ძალადობის კვალის აღმოსაჩენად, თავად წარუდგინა გამოძიებას ბრალდებულის შესაძლო მამხილებელი მასალები – სატელეფონო საუბრების დეტალური ნუსხა, რაც სრულიად განსხვავდება მისი შემდგომი ქცევისაგან, როდესაც არ მისცა ჩვენება სასამართლოს და ითხოვა ს. ს-ს მიმართ კანონისმიერი შეღავათების გამოყენება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ზ-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, უკიდურესად შეშინებულია, სასამართლოში საუბრისას ეტირებოდა და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას), მის მი-

მართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების – ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის – რადიკალურად შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

9. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“). კონვენციის მიზნებისთვის, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენცია მიზნად ისახავს ქალების და ოჯახის წევრების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან, მათ შორის, კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით. კონვენციის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

10. ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, დაზარალებულმა ლ. ზ-მა ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და არ მისცა ს. ს-ს მამხილებელი ჩვენება სასამართლოს, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაული, დაიცვას მსხვერპლი და პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, მიუხედავად იმისა, გაიხმო თუ არა საჩივარი უკან დაზარალებულმა ან შეურიგდა თუ არა მოძალადეს.

11. საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები ცალ-ცალკე და გადაწყვიტოს, საკმარისია თუ არა მათი ერთობლიობა ს. ს-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების – 2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-ზე ძალადობის გონივრულ ეჭვს მიღმა დასადასტურებლად.

12. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-

ტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 13 დეკემბერს გაცემული ექსპერტიზის №. დასკვნით დადგენილია, რომ 2018 წლის 17 ოქტომბერს ლ. ზ. პირადი შემოწმებისას უჩიოდა ტკივილს საფეთქლის არეში და აღენიშნებოდა დაზიანება შუბლ-საფეთქლის მიდამოში, მარჯვნივ – სისხლნაჟღენთის სახით, რომელიც განვითარებულია მკვრივ-ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანების განვითარება ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება მითითებულ თარიღს – 2018 წლის 15 ოქტომბერს. საექსპერტო კვლევისას ლ. ზ-მ ექსპერტს განუმარტა, რომ შუბლში მუშტი ჩაარტყა და დაზიანება მიაყენა ყოფილმა მეუღლემ, რაც ასახულია ექპერტიზის დასკვნის აღწერილობით ნაწილში.

13. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. ტ-მ, რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ საექსპერტო კვლევისას ლ. ზ-ს არ დაუმალავს, რომ ყოფილმა მუღლემ მუშტი ჩაარტყა შუბლში და მიაყენა დაზიანება. ექსპერტის განმარტებით, ადამიანის მუშტი არის მკვრივ-ბლაგვი საგანი.

14. დაზარალებულ ლ. ზ-ს სხეულზე არსებული დაზიანების წარმომავლობა, გარდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტ გ. ტ-ს ჩვენებისა, ასევე დგინდება 2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-ს ხელით შედგენილი განცხადებით, შემაკავებელი ორდერითა და თანდართული ოქმით, კერძოდ:

15. 2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-მა განცხადებით მიმართა პოლიციას, რომლის მიხედვითაც, მეუღლემ – ს. ს-მ იგი ჩაკეტა ... ბინაში და არ მისცა გასვლის საშუალება, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, წაართვა მობილური ტელეფონი და ბანკის საპენსიო ბარათი, ასევე დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, თუ მომხდარს გაახმაურებდა. ლ. ზ. დამატებით აღნიშნავს, რომ ს. ს. სისტემატურად აყენებს მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას და სამართალდამცავებისაგან ითხოვს შველას გაუსაძლისი ცხოვრების გამო. განცხადება შედგენილია ლ. ზ-ს ხელით.

16. ლ. ზ-ს მიერ სამართალდამცავებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, 2018 წლის 17 ოქტომბერს დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, რომელიც მდებარეობს ... ბინაში, თუმცა საქმისათვის მნიშვნელოვანი არაფერი ამოღებულა, ვინაიდან ს. ს-ს დედის – მ. ქ-ს განმარტებით, მან ბინა მოაწესრიგა.

17. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და ლ. ზ-ს განცხადებაში ასახული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 16 ოქტომბერს შედგენილი №... შემაკავებელი ორდერისა და მასზე დართული ოქმისა, რომლის თანახმად, შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარ-

ტამენტის ... სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების დეტექ-ტივ-გამომძიებელმა – ზ. ს-მ 2018 წლის 15 ოქტომბერს ს. ს-ს მიერ ლ. ზ-ზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით გამოსცა შემაკავებელი ორდერი, რომლითაც სავარაუდო მოძალადეა ს. ს., ხოლო მსხვერპლი – ლ. ზ.. ინციდენტის ფაბულა: 2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-ს მიმართ ჩადენილია ოჯახში ძალადობა, მუქარა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ძარცვა; შემაკავებელ ორდერზე თანდართულ ოქმში მითითებულია მსხვერპლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია: კითხვაზე №3 „მოძალადემ თქვენ მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა?"; კითხვაზე №1 „ფიქრობთ, რომ მოძალადე ჯანმრთელობის დაზიანებას მოგაყენებთ ან მოგკლავთ თქვენ ან/და თქვენს შვილებს ან/და თქვენს ახლობელს?", პასუხებად მითითებულია – „კი". შემაკავებელ ორდერს ხელს აწერს და ეთანხმება დაზარალებული ლ. ზ.

18. ამდენად, საკასაციო პალატას დაზარალებულ ლ. ზ-ს განცხადებით, რომლითაც მან მიმართა სამართალდამცავებს, ამხილა მეუღლე ძალადობაში და ითხოვა შველა, შემაკავებელი ორდერითა და მასზე დართული ოქმით, რომლითაც ლ. ზ-ს თხოვნით ს. ს-ს აეკრძალა მსხვერპლთან კომუნიკაცია და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით (დადასტურებულია ექსპერტ გ. ტ-ს ჩვენებით), რომლითაც დადგენილია ლ. ზ-ს სხეულზე დაზიანების არსებობის ფაქტი, უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია, რომ ლ. ზ-ს შუბლ-საფეთქლის მიდამოში დაზიანება სწორედ ს. ს-მ მიაყენა.

19. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ საეჭვოდ არ მიიჩნევს დაზარალებულ ლ. ზ-ს განცხადებებს მეუღლის მხრიდან მის მიმართ ჩადენილი სხვა ქმედებების შესახებ, თუმცა მიუთითებს, რომ ს. ს-სათვის წარდგენილი სხვა ბრალდებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დადასტურდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რაზეც პალატამ ზემოთ უკვე იმსჯელა და გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია წარდგენილი ბრალდებების ამ ნაწილში მის უდანაშაულოდ ცნობასთან მიმართებით.

20. საკასაციო პალატა იშველიებს მოწმეების: ნ. ფ-ს, ზ. ს-სა და თ. ნ-ს ჩვენებებს, რომლებიც ლ. ზ-ს მიმართ ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად ან უარსაყოფად ვერ გამოდგება, რადგან არის ირიბი, ვინაიდან ემყარება სწორედ დაზარალებულის მონათხრობს, თუმცა ძალადობის შედეგად მსხვერპლის მძიმე ემოციურ მდგომარეობასთან მიმართებით – არის პირდაპირი მტკიცებულებები, რომელთა უგულებელყოფა, მხოლოდ იმ მოტივით, რომ დაზარალებულმა, რომელიც აშკარად დაშინებულია და არ მისცა ჩვენება სასამართლოს, შეუძლებელია.

21. მოწმე ნ. ფ-მ განმარტა, რომ დაახლოებით 3 წლის წინ ს. ს-მ მისგან იქირავა სახლი, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სიმთვრალის დროს ეჩხუბებოდა და აგინებდა ოჯახის წევრებს. ფიზიკურ ძალადობას იგი არ შესწრებია, თუმცა ს-ების სახლთან ჩავლისას ხმამაღალი გინება ესმოდა ხოლმე. ერთხელ ს-მ ფანჯრის მინა ჩაამტვრია, რადგან მათი უფროსი ქალიშვილი – ნ. გ. კარს არ უღებდა. იგი ლ. ზ-სგან იყო გაფრთხილებული, რომ ყურადღებით ყოფილიყო ბავშვებთან, როდესაც ს. მთვრალი იყო. 2018 წლის 16 ოქტომბერს ლ. ზ-სგან შეიტყო, რომ წინა დღეს ს-მ დედამისის სახლში მიიტყუა, კარი ჩაუკეტა, ტელეფონი წაართვა, თმაში სწვდა ხელით და ეჩხუბა. ლ-ს მონათხრობი დაიჯერა, რადგან დაზარალებული იყო აღელვებული და ტიროდა.

22. მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა ზ. ს-მ დაადასტურა მის მიერ/მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სისწორე/კანონთან შესაბამისობა და განმარტა, რომ 2018 წლის 16 ოქტომბერს ლ. ზ-ს განცხადების საფუძველზე, მეუღლის მხრიდან ძალადობის ფაქტზე, შსს ... სამმართველოში დაიწყო გამოძიება. დაზარალებული პოლიციის განყოფილებაში იყო აღელვებული, განერვიულებული და კანკალებდა. გამოკითხვა მიმდინარეობდა ხანგრძლივად, რადგან ლ. ზ. იყო შეშინებული და ამშვიდებდნენ. დაზარალებულმა დაადასტურა, რომ 2018 წლის 15 ოქტომბერს მეუღლემ მასზე ფიზიკურად იძალადა, დაემუქრა, უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და გაძარცვა. დაზარალებულის თხოვნითა და მითითებით ს. ს-ს მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერი, რომლის ყველა პუნქტში ასახულია ლ. ზ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომელსაც იგი გაეცნო და დაეთანხმა.

23. მოწმის სახით დაკითხულმა გამომძიებელმა თ. ნ-მ დაადასტურა მის მიერ/მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სისწორე/კანონთან შესაბამისობა და განმარტა, რომ ... სამმართველოდან ს. ს-ს საქმის ქვემდებარეობით გადმოგზავნისთანავე მან პოლიციაში დაიბარა და გამოკითხა დაზარალებული ლ. ზ., რომელიც ძალიან ღელავდა, ტიროდა და იყო შეშინებული. დაზარალებული მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც გაიგო, რომ მისი შვილები იყვნენ უსაფრთხოდ და ს. ს. იყო დაკავებული. ლ. ზ-ს განმარტებით, იგი თითქმის ყოველდღე იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი და არც კი იცოდა, კონკრეტულად რომელი ფაქტი გამოეყო. მეუღლე ქუჩაში, მეზობლებისა და ბავშვების თანდასწრებით აგინებდა და სცემდა, ასევე ემუქრებოდა, რომ როგორც კი პოლიციას მიმართავდა, მაშინვე „დაბრედავდა“. დაზარალებული იყო დარწმუნებული, როგორც კი ს. ს. ციხი-

დან გამოვიდოდა, მოკლავდა მას.

24. მოწმეების: ზ. ს-ს, თ. ნ-სა და ნ. ფ-ს ჩვენებების შეფასებისას საკასაციო პალატა იხსენებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებას, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებისა და იმავე კოდექსის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 22 იანვარი, სარეზოლუციო ნაწილი, პუნქტი 2).

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოწმეების: ზ. ს-ს, თ. ნ-სა და ნ. ფ-ს ჩვენებები ლ. ზ-ზე ძალადობის ფაქტებთან მიმართებით არის ირიბი, თუმცა მათ პირადად ნახეს, რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული ძალადობის შედეგად და ამ კუთხით მოწმეთა ჩვენებები არის პირდაპირი ხასიათის. მოწმეებმა დაადასტურეს, რომ დაზარალებულზე ძალადობის შესახებ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის წყარო იყო თავად ლ. ზ., ამასთან, თანმიმდევრულად და ზუსტად აღწერეს ძალადობის შედეგად დაზარალებულის მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მოწმეების: ზ. ს-ს, თ. ნ-სა და ნ. ფ-ს ჩვენებები შეესაბამება ლ. ზ-ს ხელით შედგენილ განცხადებას, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და შემაკავებელ ორდერს და ფაქტობრივად წარმოადგენენ იმ მტკიცებულებების გაგრძელებას, რომლებითაც უტყუარად არის დადგენილი 2018 წლის 15 ოქტომბერს ს. ს-ს მხრიდან ლ. ზ-ზე ფიზიკური ძალადობის ფაქტი. დაზარალებულის ხელით შედგენილი განცხადება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და შემაკავებელი ორდერი არის პირდაპირი მტკიცებულებები და მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ გამამტყუნებელ განაჩენს შესაძლოა, საფუძვლად დაედოს არაპირდაპირი მტკიცებულებ(ებ)ით გამყარებული ირიბი ჩვენებების ერთობლიობა. ამასთან, ის გარემოება, რომ ერთმანეთთან კავშირში არმყოფი მოწმეების: დაზარალებულის მეზობლის – ნ. ფ-ს, გამომძიებლების – ზ. ს-სა და თ. ნ-სა და სამედიცინო ექსპერტ გ. ტ-ს ჩვენებები, რომელ-

თა სანდოობა სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით საეჭვო არ გამხდარა, ზედმიწევნით ემთხვევა ერთმანეთს იმასთან მიმართებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ლ. ზ. და რას ჰყვებოდა იგი მეუღლის მხრიდან ძალადობის შესახებ, ცალსახად ზრდის მტკიცების ხარისხს და ამყარებს საკასაციო პალატის რწმენას ს. ს-ს დამნაშავეობის თაობაზე.

26. საპირისპირო ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს სასამართლოში ბრალდებულმა ს. ს-მ და მ. ქ-მ, კერძოდ:

27. ს. ს-ს ჩვენებით, ლ. ზ-სთან ერთად ცხოვრობდა ნორმალური თანაცხოვრებით 7 წლის განმავლობაში და შვილებიც ერთად გაზარდეს, როგორც საკუთარი. ისინი არ ჩხუბობდნენ, ხანდახან ლ-ს მოწოდებაზე, აღარ დაელია, აგინებდა, თუმცა ლ. ზ. მალევე ურიგდებოდა. ბავშვებთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და არ იცის, რატომ მოუგონეს კონკრეტული ქმედებები. ერთხელ სახლში მისულს, როდესაც კარი დახვდა ჩაკეტილი, შიგნით არავინ იყო და გასაღებიც ვერ ნახა, ფანჯრის შუშას გამოჰკრა ხელი, რა დროსაც ლურსმნით გაეკაწრა და წამოუვიდა სისხლი. სახლთან მხოლოდ ბინის მეპატრონე იყო, ბავშვები და ლ. ზ. არ ყოფილან. 15 ოქტომბერს ლ. ზ. თავად მივიდა მასთან სახლში, ივახშმეს და ტელევიზორს უყურებდნენ, თუმცა ლ. პარალელურად ტელეფონით იყო გართული. მან წყნარად გამოართვა ტელეფონი ლ-ს და შეუთანხმდა, რომ ტელეფონებს გაცვლიდნენ. დილით ლ-მ მოსთხოვა ტელეფონის დაბრუნება, მის უარზე კი სახლიდან წავიდა ისე, რომ ტელეფონი არ წაუღია.

28. მოწმე მ. ქ-მ განმარტა, რომ მისი შვილი – ს. ს. და რძალი – ლ. ზ. 6-7 წელი მშვიდად ცხოვრობდნენ ერთად, მისი თანდასწრებით არასდროს უჩხუბიათ. 2018 წლის 16 ოქტომბერს, როდესაც სახლში დაბრუნდა, სახლი დახვდა დალაგებული. მოგვიანებით სახლში მივიდა პოლიცია ჩხრეკის ჩასატარებლად, ეძებდნენ მოგლეჯილ თმას და სისხლის კვალს, თუმცა ვერაფერი ნახეს. ლ. ზ-სგან შეიტყო, რომ ს-მ შესთავაზა ტელეფონების გაცვლა, რაზეც არ დაეთანხმა და ს-მ აგინა, რადგან ეჭვიანობდა და ფიქრობდა, რომ იგი ტელეფონში საეჭვო შეტყობინებებს ინახავდა. დაზარალებულს არ უთქვამს, რომ ს. ს-მ დაარტყა, სცემა ან თმით ათრია, ამბობდა მხოლოდ, რომ აგინა. მის კითხვაზე, რატომ დაწერა პოლიციაში განცხადება, ლ. ზ-მ უპასუხა, რომ აღელვებული იყო და ს-ს შეშინება სურდა, რომ მას აღარ დაელია ალკოჰოლური სასმელი.

29. საკასაციო პალატამ ყურადღება შეაჩერა ს. ს-ს და მ. ქ-ს ჩვენებების შინაარსზე და მიაჩნია, რომ ეს ჩვენებები ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ასევე, ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველ გარემოებებს შეიცავს,

კერძოდ:

– ს. ს-მ აღნიშნა, რომ 7 წლის განმავლობაში ნორმალურად თანაცხოვრობდა ლ. ზ-თან და ისინი არ ჩხუბობდნენ, რაც ეწინააღმდეგება მათივე მეზობლების: ო. ფ-სა და ნ. ფ-ს მონათხრობს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სამეზობლოში უცხო არ იყო ს-ების სახლიდან გამოსული ხმაური, გინება და ქალის ტირილი, რაც ნამდვილად ვერ თავსდება ჰარმონიული ოჯახის თანაცხოვრების ჩარჩოებში.

– ს. ს-მ განმარტა, რომ ისე ზრდიდა ლ. ს-ს შვილებს, როგორც საკუთარს და მისთვის გაუგებარია, რატომ ამხილეს ბავშვებმა იგი დანაშაულის ჩადენაში, რაც, ერთი მხრივ, სასამართლოსთვისაც მეტად გაუგებარი და ალოგიკურია, რატომ უნდა დაებრალებინათ ბავშვებს მზრუნველი მამინაცვლისათვის არჩადენილი ძალადობა, ხოლო, მეორე მხრივ, საინტერესოა ნ. გ-ს სასამართლოში გაკეთებული განცხადება, როდესაც მან უარი თქვა ს. ს-ს წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და აღნიშნა, რომ იგი, როგორც მამა, ისე უყვარს და მიაჩნია, რომ მან გააცნობიერა თავისი შეცდომა, რაც უპირობოდ არ გამორიცხავს ს. ს-ს დამნაშავეობას.

– ს. ს-მ იცრუა, როდესაც აღნიშნა, რომ სახლში მისულმა ფანჯრის შუშას შემთხვევით გამოჰკრა ხელი და ლურსმანზე გაიკაწრა, ამ დროს კი სახლთან მხოლოდ ბინის მეპატრონე იყო, ბავშვები და ლ. ზ. არ ყოფილან, ვინაიდან სახლის მეპატრონემ, ნ. ფ-მ დაადასტურა, რომ მოცემული ინციდენტის დროს ს. ს-ს უფროსმა ქალიშვილმა – ნ. გ-მ არ გაუღო კარი და მან განზრახ ჩაამტვრია შუშა.

– ს. ს-მ აღნიშნა, რომ 2018 წლის 15 ოქტომბერს ლ. ზ-ს შეუთანხმდა და გაუცვალა ტელეფონი, თუმცა მეორე დილით დაზარალებულმა თავისი ტელეფონი მოსთხოვა და გაბრაზებული წავიდა, ისე, რომ ტელეფონიც არ წაუღია, თუმცა ბრალდებულის დაკავების ოქმით დადგენილია, რომ სწორედ ს. ს-სგან ამოიღეს ლ. ზ-ს ტელეფონი და არა – პირიქით, რაც გამორიცხავს ტელეფონების გაცვლის ვერსიას.

– მ. ქ-მ აღნიშნა, რომ 2018 წლის 16 ოქტომბერს შინ დაბრუნებულმა ნახა დალაგებული სახლი, რაც ეწინააღმდეგება მისივე მონაწილეობით ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, რომელსაც იგი გაეცნო, დაეთანხმა და ხელიც მოაწერა და რომლითაც დადგენილია, რომ მ. ქ-მ სამართალდამცავებს განუცხადა, რომ სახლი თავად მოაწესრიგა.

– მ. ქ-მ აღნიშნა, რომ ლ.ზ-სგან შეიტყო, რომ ს-მ შესთავაზა ტელეფონების გაცვლა, რაზეც იგი არ დაეთანხმა და მეუღლემ აგინა, რადგან ეჭვიანობდა. ამის თაობაზე არაფერი უთქვამს თავად ს. ს-ს, რომლის ვერსიით, შემთხვევის საღამოს ლ. თავად ესტუმრა,

ივახშმეს და ტელეფონები გაცვალეს.

30. ამდენად, საკასაციო პალატა ს. ს-სა და მ. ქ-ს ჩვენებებს აფასებს, როგორც არადამაჯერებელს, რომლებიც შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველ გარემოებებს, რაც ერთად განხილვის შემთხვევაში უკარგავს მათ სანდოობას და ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს.

31. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ს. ს-მ 2018 წლის 15 ოქტომბერს ... ბინაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეზე – ლ. ზ-ზე ფიზიკურად იძალადა, კერძოდ, მუშტი ჩაარტყა საფეთქელში, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი, რაც დადგენილია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმად, ძალადობიდან ორი დღის შემდეგაც – 2018 წლის 17 ოქტომბერს ლ. ზ. უჩიოდა ტკივილს საფეთქლის არეში, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო პალატა ქმედების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

32. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დანაშაული გამოიხატება: ა) ძალადობაში; ბ) სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ამასთან, ამ ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული მძიმე შედეგი.

33. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს. ს-ს ქმედება – 2018 წლის 15 ოქტომბერს ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენ-

ლობისათვის სავალდებულო ყველა ნიშანს, რისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

34. საკასაციო პალატა დასძენს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

35. 2002 წლის 30 აპრილის ქალთა ძალადობისაგან დაცვის რეკომენდაციაში რეკ(2002)5, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა inter alia, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ, განავითარონ ან/და გააუმჯობესონ, საჭიროების მიხედვით, ეროვნული პოლიტიკა ძალადობის წინააღმდეგ მსხვერპლთა მაქსიმალური უსაფრთხოებისა და დაცვის, მხარდაჭერისა და დახმარების, სისხლის და სამოქალაქო სამართალში ცვლილებების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების წრთვნისა და პრევენციის საშუალებით. მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია გასცა იმის თაობაზე, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ ძალადობის ყველა მსხვერპლს შეეძლოს სამართალწარმოების დაწყება, უნდა არსებობდეს დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლისსამართალწარმოების დაწყებას პროკურორის მიერ, მოუწოდებს პროკურორებს, ქალთა წინააღმდეგ ძალადობა მიიჩნიონ დამამძიმებელ ან გადამწყვეტ გარემოებად იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად საჭიროა საქმის აღძვრა, უზრუნველყონ, რომ მსხვერპლთა დასაცავად მიღებულ იქნას ეფექტიანი ზომები, მუქარისა და შურისძიების შესაძლო შემთხვევების წინააღმდეგ და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ბავშვთა დასაცავად სამართალწარმოების მიმდინარეობისას. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტმა ურჩია წევრ სახელმწიფოებს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად დაეკვალიფიცირებინათ და გაეთვალისწინებინათ იმგვარი ზომების მიღება, inter alia, რომლებიც სასამართლოს მისცემდა საშუალებას, განესაზღვრა დროებითი ზომები მსხვერპლთა დასაცავად, დამნაშავისათვის კონტაქტის, მსხვერპლთან კომუნიკაციის დამყარებისა და მიახლოების, დაცულ ტერიტორიაზე ცხოვრების ან შესვლის ასაკრძალად, დადგენილი ზომების ნებისმიერი დარღვევისათვის სასჯელის დაკისრება დამნაშავეზე და პოლიციის, სამედიცინო და სოციალური სერვისებისათვის სავალდებულო რეაგირების ოქმის შექმნა.

36. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“ (იხ. Opuz v. Turkey, 2009 წლის 9 ივნისი, No.33401/02) ხაზი გაუსვა ოჯახური ძალადობის განსაკუთრებულ სიმძიმეს: ეს არის ზოგადი პრობლემა, რომელიც ეხება ყვე-

ლა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ყოველთვის არ ჩანს ზედაპირზე, რადგან ის ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრეებში და ამის შედეგად მხოლოდ ქალები არ ზარალდებიან,... რეალურად ამ ფენომენის შედეგად ხშირად ზარალდებიან ბავშვებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ. მოცემულ საქმეში სასამართლომ დაასკვნა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო არ იყო საკმარისი სახელმწიფოს იმ პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც მოითხოვდა ოჯახური ძალადობის ყველა ფორმის დასასჯელად სისტემის შექმნასა და ეფექტიან ამოქმედებას, აგრეთვე დადგინდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდის სიცოცხლის დასაცავად. ამას ერთოდა ისიც, რომ გამოძიება იყო არასაკმარისად სწრაფი, შესაბამისად, განმცხადებლის დედის მიმართ დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ხოლო თავად განმცხადებლის მიმართ – მე-3 მუხლის, აგრეთვე – მე-14 მუხლის, როგორც მე-2, ისე მე-3 მუხლთან მიმართებით, დარღვევა.

37. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მე-11[1] მუხლი (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) და 126[1]-ე მუხლი (ოჯახში ძალადობა). კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანი ეხმიანება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მიზანს – დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობა ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ოჯახური დანაშაულის ცალკე ნორმებად არსებობის მიზანიც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად კვალიფიკაცია და ადეკვატური სანქციის დანიშვნაა (იხ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება №355აპ-18, სამოტივაციო ნაწილის პუნქტი 4).

38. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

39. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი

სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს. ს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 მარტის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 6 თვე მოიხადა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 4 წელი, ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით და, ამდენად, დანაშაულის ჩადენის დროს – 2018 წლის 15 ოქტომბერს ს. ს. იყო პირობით მსჯავრდებული.

41. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, ხოლო ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის

ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

42. საკასაციო პალატა ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვალდაკვალ, ს. ს-სათვის სასჯელის განსაზღვრისას, ითვალისწინებს ქმედების ჩადენის მოტივსა და მიზანს (ფიზიკური ძალადობით მეუღლისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (დამნაშავის ურყევ სურვილს, ჯერ საკუთარ სახლში მიეტყუებინა დაზარალებული, ხოლო შემდეგ ფიზიკურად ეძალადა მასზე), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილია განზრახ, ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც, მისი გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით, მომეტებული საშიშროების მატარებელია), მართლსაწინააღმდეგო შედეგს (ს. ს-ს ძალადობის შედეგად დაზარალებულმა შუბლ-საფეთქლის მიდამოში მიიღო დაზიანება), დამნაშავის წარსულ ცხოვრებას (ს. ს. ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის და მან ახალი დანაშაული ჩაიდინა პირობით მსჯავრდებულმა, გამოსაცდელი ვადის პერიოდში), მის პიროვნებას (გასათვალისწინებელია, რომ ს. ს-ს მიერ ოჯახში შექმნილი კონფლიქტური ვითარება აზარალებდა არა მარტო ლ. ზ-ს, არამედ – ნეგატიურად მოქმედებდა დაზარალებულის არასრულწლოვანი შვილების ფსიქიკაზე და ხელს უშლიდა მათ ჰარმონიულ გარემოში ნორმალურ განვითარებას, რაც ს. ს-ს უარყოფითად ახასიათებს) და მიიჩნევს, რომ დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის განსაზღვრის წესის საფუძველზე ს. ს-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.

43. ს. ს-ს სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს ამ განაჩენის მიღების დღიდან და მასვე სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2018 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 24 აპრილის ჩათვლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ მარიამ ნიკოლაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენში ს. ს-ს მიმართ შევიდეს ცვლილება;

3. ს. ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. ს. ს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში (2018 წლის 15 ოქტომბრის ეპიზოდი) ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ს. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს ამ განაჩენის მიღების დღიდან. მასვე, სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2018 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 24 აპრილის ჩათვლით;

6. ნივთმტკიცებების ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 19 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№54ა3-20 16 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანი ბორჩაშვილმა. კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: შ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობასა და მისთვის მკაცრი სასჯელების განსაზღვრას, პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი მოხდით, ვინაიდან მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი; დაზარალებულ ე. გ.ს შ. ა-ს მხრიდან ფიზიკური ძალადობის შემდეგ შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების თავისუფლება, ჩაკეტილი იყო საცხოვრებელ ბინაში და მისი მოქმედება სრულად იყო მოქცეული მოძალადის კონტროლის ქვეშ; დაზარალებულს აკრძალული ჰქონდა ტელეფონით სარგებლობა და მხოლოდ მაშინ მისწერა მოკლე ტექსტური შეტყობინება ქალიშვილს, როდესაც მოძალადემ ყურადღ?ბა მოადუნა; შ. ა-მ მას შემდეგ გააღო ბინის კარი, როდესაც ი. მ.მ ქვით ჩაამტვრია სახლის

ფანჯარა; შ. ა-სთვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 53[1]-ე და 58-ე მუხლის მოთხოვნები და ჩადენილი ქმედებების ხასიათისა და მსჯავრდებულის პიროვნების შეუსაბამო სასჯელები განუსაზღვრა.

2. შ. ა-ს ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი და ოჯახის წევრის მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთაში.

შ. ა-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– 2018 წლის 11 აგვისტოს, შ. ა-მ .... მდებარე ბინა №...ში, თავის ოჯახის წევრზე ფიზიკურად იძალადა, კერძოდ, თავის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – ე. გ-ს, ხელების დარტყმით სახის არეში და სხეულზე მიაყენა ფიზიკური დაზიანებები, რის შედეგადაც დაზარალებულმა ფიზიკური ტკივილი განიცადა.

– 2018 წლის 11 აგვისტოს შ. ა-მ ... მდებარე, ბინა №...ში, თავის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – ე. გ-ს უკანონოდ შეუზღუდა ქმედების თავისუფლება, სცემა, ასევე დაემუქრა და მოსთხოვა სხვა მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობის აღიარება, აიძულა დარჩენილიყო ბინაში.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის განაჩენით შ. ა-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 11[1],150-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

შ. ა. – დაბადებული 19.. წლის .. სექტემბერს – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],150-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე სასჯელი და შ. ა-ს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შ. ა-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის ათვლა დაეწყო 2018 წლის 11 აგვისტოდან.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შ.ა-მ ჩაიდინა ოჯახის წევრის – ე. გ-ს მიმართ იძულება, რა დროსაც მას უკანონოდ შეუზღუდა ქმედების თავისუფლება, ჩაიდინა მის მიმართ ფი-

ზიკური იძულება – სცემა, ასევე ფსიქიკური ზემოქმედება – დაემუქრა, მოსთხოვა სხვა მამაკაცთან ურთიერთობის აღიარება, აიძულა, დარჩენილიყო ბინაში, შესაბამისად, განაცდევინა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურორის მოადგილე ირაკლი გაჩეჩილაძემ, რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, შ. ა-ს დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილი კვალიფიკაციით და მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივი მოხდით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სასამართლოში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმი, მოწმეების: ა. კ-ს, ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებები, მოწმე ი. მ-ს გამოკითხვის ოქმი, 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები), რომელთა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ შ. ა-მ ნამდვილად ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი და, ამდენად, მისი მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) არის კანონიერი.

3. მოცემულ შემთხვევაში პროკურორი სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ასაჩივრებს სასამართლოს მიერ შეცვლილი კვალიფიკაციის ნაწილში და აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ შ. ა-მ ჩაიდინა არა იძულება, როგორც ეს ქვემდგომი

ინსტანციის სასამართლოებმა მიიჩნიეს, არამედ – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

4. იმისათვის, რათა სამართლებრივად სწორად შეფასდეს მხარეთა შორის დავის საგნად ქცეული ქმედების კვალიფიკაცია, უნდა გაივლოს ზღვარი იძულებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას შორის, უნდა გაიმიჯნოს ამ დანაშაულთა შემადგენლობებისთვის სავალდებულო ნიშნები და დადგინდეს, მსჯავრდებულის ქმედებები შემოიფარგლა თუ არა დაზარალებულის ნებაზე მხოლოდ ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით, რამაც აიძულა იგი, ემოქმედა საკუთარი შეხედულების საწინააღმდეგოდ, თუ იძულების ხერხით – დაზარალებულისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვით – შ. ა-ს ქმედება გასცდა იძულების ფარგლებს და ეს თავისუფლების უკანონო აღკვეთად უნდა შეფასდეს.

5. საკასაციო პალატა განმარტავს: ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ფუნდამენტური უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდანაც კი უნდა წარმოადგენდეს ultima ratio-ს. თავისუფლების უკანონო აღკვეთა დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, რომელსაც ფაქტობრივად შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა. სწორედ გადაადგილების თავისუფლება განასხვავებს თავისუფლების უკანონო აღკვეთას იძულებისაგან, როდესაც პირს შეუძლია შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან მისგან თავის შეკავება მისი უფლებაა და მიუხედავად მის ნებაზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებისა, გადაადგილების თავისუფლება ფაქტობრივად (ობიექტურად) შეზღუდული არ აქვს.

6. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის მიხედვით, გამოკვლეული მტკიცებულებებით დასტურდება შ. ა-ს მიერ ე. გ-ს მიმართ იძულება, რა დროსაც დაზარალებულს უკანონოდ შეუზღუდა ქმედების თავისუფლება, ჰყავდა ისეთ ადგილას, სადაც ყოფნა, ქმედების თავისუფლად განხორციელების პირობებში, არ წარმოადგენდა მის ნებას, ჩაიდინა მის მიმართ ფიზიკური იძულება – სცემა, ასევე ფსიქიკური ზემოქმედება – დაემუქრა, მოსთხოვა სხვა მამაკაცთან ურთიერთობის აღიარება, აიძულა დარჩენილიყო ბინაში და, შესაბამისად, განაცდევინა თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს: ბრალად წარდგენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომელიც თვითმხილველი მოწმეების სმრავლით არ გამოირჩევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის ჩვენებისა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებუ-

ლებების ერთობლივად შეფასება და იმის დადგენა, რამდენად ურთიერთთავსებადი და თანხვდენილია ისინი საქმის არსებითი მნიშვნელობის გარემოებებთან მიმართებით.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმი არის თანმიმდევრული, შეესაბამება მოწმეების: ა. კ-ს, ი. მ-ს, ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებს, ე. გ-სა და ა. კ-ს მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებს, 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს, სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებს და, ამასთან, დაზარალებულის სანდოობაში დაეჭვების გონივრული საფუძველი სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა, კერძოდ:

9. დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმით დასტურდება, რომ 2018 წლის 10 აგვისტოს, შ. ა-სთან სახლში ყოფნისას, მეუღლემ ეჭვიანობის ნიადაგზე გამეტებით სცემა, აუკრძალა ტელეფონით სარგებლობა და არ აძლევდა სახლიდან წასვლის უფლებას, აიძულებდა, სხვასთან სქესობრივი კავშირის აღიარებას. იგი ვერც დაყვირებას ბედავდა და ვერც წინააღმდეგობის გაწევას, რადგან იყო შეშინებული. მეორე დილით შ. ა-მ ბინის კარი გარედან ჩაუკეტა და სახლიდან წავიდა, აუკრძალა საძინებლიდან გამოსვლა და დაემუქრა, არ ეყვირა, თორემ ინანებდა. მას შეეშინდა, შ. ა. კართან არ ყოფილიყო ჩასაფრებული და საშველად არავისთვის მოუხმია. შ. ა. დაახლოებით 10 წუთში უკან დაბრუნდა, თუმცა მალევე ისევ წავიდა, მისი ტელეფონიც წაიღო და კარი ისევ გარედან ჩაუკეტა. დაახლოებით 15 წუთში შ. ა. უკან დაბრუნდა. მოგვიანებით მას ტელეფონით დაურეკა ქალიშვილმა – ა. კ-მ, რომელსაც მეუღლის ნებართვითა და თანდასწრებით დაელაპარაკა, უთხრა, რომ იყო სამსახურში. სიმართლე შიშით ვერ გაუმხილა, რადგან შ. ა. დაემუქრა, რამეს თუ ეტყოდა, უარესს დამართებდა. როდესაც შ. ა-ს ჩაეძინა, ვინაიდან ბინა შიგნიდან ჰქონდა ჩაკეტილი, აიღო ტელეფონი და ქალიშვილს მისწერა მოკლე ტექსტური შეტყობინება, უთხრა, რომ იყო ო-ს ქუჩაზე და შველა სთხოვა. ალ. კ-მ გადმოურეკა, თუმცა სატელეფონო საუბრისას მეუღლის შიშით ქალიშვილს ისევ ვერაფერი გაუმხილა. მალევე შ. ა-ს სახლში მიაკითხა ქალიშვილმა, რომელსაც შეშინებულმა სთხოვა, წასულიყო, თუმცა მოკლე ტექსტური შეტყობინება მისწერა, არ დაეტოვებინა. ამ დროს მოესმა პოლიციელებისა და მისი ნათესავების ხმა. შ. ა. კარს არ აღებდა, თუმცა ვიღაცამ ფანჯარა ჩაამტვრია და იძულებული გახდა, კარი გაეღო.

10. მოწმე ა. კ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2018 წლის 11 აგვისტოს ტელეფონით დაურეკა დედამისს – ე. გ-ს. ტელეფონი იყო გათიშული. მალევე თვითონ გადმოურეკა დედამ, რომელსაც განერვიულებული ხმა ჰქონდა და უთხრა, რომ იყო სამსახურში, თუმ-

ცა ე.გ-საგან მალევე მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება, რომ იყო ო-ს ქუჩაზე და დახმარებას სთხოვდა. სასწრაფოდ მივიდა მითითებულ მისამართზე. შ. ა-მ გაუღო კარი და უთხრა, რომ ე. გ. იყო სამსახურში. მან ფაჯრიდან დაინახა ნაცემი დედა, რის გამოც გამოიძახა პოლიცია და დაურეკა ნათესავებს. შ. ა. ბინის კარს არ აღებდა, რის გამოც ქვით ჩაამტვრიეს ფანჯარა. შემთხვევის დღეს ე. გ-ს აშკარად ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის კვალი, რაშიც მის მეუღლეს ამხელდა.

11. დაზარალებულ ე. გ-ს და მოწმე ა. კ-ს მონათხრობი 2018 წლის 11 აგვისტოს დაზარალებულის მიერ ქალიშვილისათვის საშველად გაგზავნილი შეტყობინებების თაობაზე უტყუარად დადასტურებულია ე. გ-სა და ალ. კ-ს მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებით და ირკვევა, რომ 2018 წლის 11 აგვისტოს, 17:37 საათიდან 18:02 საათამდე, ე. გ-მ მართლაც მისწერა ქალიშვილს მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სადაც უთითებდა თავის ადგილსამყოფელს (ო-ს ქუჩა) და საშველად იხმობდა, მოგვიანებით კი სთხოვდა, არ დაეტოვებინა და არსად წასულიყო.

12. ა. კ-ს პოლიციისათვის შეტყობინების საფუძველზე შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციელების: ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებით ირკვევა, რომ 2018 წლის 11 აგვისტოს შ. ა-ს საცხოვრებელ სახლთან მისულებს ადგილზე დახვდათ დაზარალებულის ქალიშვილი, რომელიც აცხადებდა, რომ შ. ა-ს თავის სახლში გამოკეტილი ჰყავდა და ძალადობდა მის დედაზე. დააკაკუნეს, თუმცა ბინის კარი არავინ გააღო. დაზარალებულის ნათესავმა – ი. მ-მ აგურით ჩაამტვრია ფანჯარა, რის შემდეგაც შ. ა-მ კარი გააღო. ბინაში დახვდათ ე. გ., რომელსაც აშკარად ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის კვალი, რაშიც ამხელდა შ. ა-ს.

13. ასევე, მოწმე ი. მ-ს გამოკითხვის ოქმით (უდავო მტკიცებულება) დადასტურებულია, რომ 2018 წლის 11 აგვისტოს სწორედ მან ჩაამსხვრია აგურით შ. ა-ს ბინის ფანჯარა, რადგან მას თავის ბინაში ჰყავდა გამოკეტილი ე. გ. და მიუხედავად პოლიციელების მოწოდებისა, კარს არ აღებდა. იგი დაუყოვნებლივ შევიდა შ. ა-ს ბინაში, სადაც ჩაბნელებული საძინებლის კუთხეში ნახა დაზარალებული, რომელიც ხმას ვერ იღებდა, შიშისაგან კანკალებდა და თვალნათლივ ეტყობოდა დაზიანებების კვალი, მოსდიოდა სისხლი. ე. გ-ს გადმოცემით, შ. ა. მოითხოვდა მისგან ღალატის აღიარებას, სცემა და გარეთ არ უშვებდა.

14. გარდა მოწმეების ჩვენებებისა, რომლებმაც დაადასტურეს, რომ შ. ა. ტყვეობიდან დახსნილ ე. გ-ს თვალნათლივ ემჩნეოდა მეუღლის მხრიდან ძალადობის კვალი, შემთხვევის დღეს დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანებები უტყუარად დგინდება

2018 წლის 24 სექტემბრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის მიხედვით, ე. გ-ს აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა მიდამოში: მარცხენა თვალბუდის არეში, ორივე ქუთუთოზე – მოლურჯო ფერის სისხლნაჟღენთი, ასეთივე სისხლნაჟღენთი – მარჯვენა მხრის ზედა მესამედში, ასევე შუა მესამედში, კისრის მარჯვენა გარეთა ზედაპირზე და მარჯვენა ყურის ნიჟარის არეში.

15. 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით (უდავო მტკიცებულება) დადგენილია, რომ შ. ა-ს ბინას ჰქონდა ხის კარი, ლითონის ჩამკეტითა და გასაღებით. კარის შესასვლელის გვერდით, ბინიდან აივანზე გამომავალ ფანჯარას, რომელიც იყო ჩამსხვრეული, შიგნიდან ჰქონდა ლითონის გისოსი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა აგური, თმის გროვა, ბალიშის პირი და პირსახოცი მოწითალო, სისხლისმაგვარი ლაქებით, რომლებიც 2018 წლის 20 დეკემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის ე. გ-ს.

16. ამდენად, საკასაციო პალატა ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ შ. ა-ს ბინაში მყოფი ე. გ. დაექვემდებარა იმგვარ მოპყრობას, რომელიც ნორმალური ფსიქიკისა და განვითარების ადამიანში შიშის აღმძვრელია.

17. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმში მითითებული ინფორმაცია საქმის არსებით გარემოებებთან მიმართებით ზედმიწევნით თანხვდენილია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, რომელთა ერთობლიობა შესაძლებელია, საფუძვლად დაედოს როგორც ფაქტების უტყუარად დადგენას, ასევე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. ე. გ-ს გამოკითხვის ოქმით დადასტურებულია, რომ შ. ა. თავის ბინაში მყოფ დაზარალებულს ცემითა და მუქარით აიძულებდა ღალატის აღიარებას, რის გამოც სცემა, დააშინა და ბინაში გამოკეტა, აუკრძალა ოთახიდან გამოსვლა და ტელეფონით სარგებლობა. დაზარალებულის მონათხრობით აშკარად გამოკვეთილია, რომ მსჯავრდებულის მხრიდან დაზარალებულის იძულების ხერხი, გარდა ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებისა, ასევე იყო მისთვის გადაადგილების თავისუფლების აღკვეთა; 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ შესასვლელი კარის გვერდით, რომელიც გარედან ჩაუკეტა შ. ა-მ ე. გ-ს, ბინას ჰქონდა აივანზე გამავალი ფანჯარა, შიგნიდან გისოსებით, რაც ასევე შეუმცირებდა დაზარალებულს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას; ა. კ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ დაზარალებული იყო მართლაც უკიდურესად დაშინებული, ვინაიდან სატელეფონო საუბრი-

სას ვერ გაუმხილა ქალიშვილს, სად იყო და რა სჭირდა და მხოლოდ მას შემდეგ სთხოვა შველა, როდესაც შ. ა-მ დაიძინა; 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება შ. ა-ს ფიზიკური ძალადობა ე. გ-ზე, რომლის კვალი აღმოჩენილია დაზარალებულის სხეულსა და შემთხვევის ადგილზე; მოწმეების: ა. კ-ს, ი. მ-ს, ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებითა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ შ.ა-მ, ე. გ-ს ოჯახის წევრებისა და პოლიციის მოწოდებების მიუხედავად, მხოლოდ მას შემდეგ გააღო კარი, რაც აგურით შეამტვრიეს ბინის ფანჯარა და მისთვის აშკარა იყო, რომ დანაშაულში ამხილეს; შ. ა-ს ბინიდან ე.გ-ს სამშვიდობოს გამოყვანა მხოლოდ პოლიციისა და დაზარალებულის ნათესავების ჩარევით გახდა შესაძლებელი.

18. საკასაციო პალატა დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნებასთან მიმართებით საჭიროდ მიიჩნევს, მოიშველიოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე „ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით, აუცილებელია სამ ეტაპად იქნეს შესწავლილი სამართალწარმოების შესაბამისობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 (დ) პუნქტებთან, როდესაც სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების სახით გამოყენებულ იქნა იმ მოწმის ჩვენება, რომელიც არ ესწრებოდა სასამართლო პროცესს და არ დაუკითხავთ. სასამართლომ უნდა შეისწავლოს:

(i) არსებობს თუ არა მოწმის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზი და შედეგად შესაძლებელია თუ არა დაუსწრებელი მოწმის გადაუმოწმებელი ჩვენებების გამოყენება;

(ii) არის თუ არა დაუსწრებელი მოწმის ჩვენება ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი, ან გადამწყვეტი საფუძველი;

(iii) არსებობს თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის – ქმედითი პროცესუალური გარანტიები, რათა დაცვისთვის გადაუმოწმებელი მტკიცებულებების დაშვებით მიყენებული ზიანი დაბალანსდეს და უზრუნველყოფილი იყოს მთლიანი სასამართლო განხილვის სამართლიანობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N9154/10 საქმეზე „ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ“ Schatschaschwili v. Germany, [GC], §105-107).

19. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა დაზარალებულის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი – ე. გ- იმყოფებოდა საზღვარგარეთ და საკმარისი ქმედითი პროცესუალური გარანტიები, რათა დაცვის-

თვის გადაუმოწმებელი მტკიცებულების დაშვებით მიყენებული ზიანი დაბალანსებულიყო – სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, რა დროსაც როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა წარმოადგინეს თავიანთი მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღეს მოწინააღმდეგე მხარის სამხილების გამოკვლევაში და ჯეროვნად დაიცვეს თავიანთი პოზიციები; იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაზარალებული იმყოფებოდა საზღვარგარეთ და ობიექტურად ვერ მოხერხდა მისი ჯვარედინი დაკითხვა, დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილისა და თვითმხილველების გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც თანხვდენილი იყო დაზარალებულის გამოკითხვის ოქმთან და რომელიც დაცვის მხარემ უშუალოდ და ზეპირად გამოიკვლია; ყველა დანარჩენმა მოწმემ ჩვენება მისცა სასამართლო განხილვისას და მათი სარწმუნოობა ჯვარედინი დაკითხვით შემოწმდა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმი არ ყოფილა არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მტკიცებულება, ვინაიდან შ. ა-ს ბრალეულობის დასადასტურებლად, გარდა დაზარალებულის გამოქვეყნებული ჩვენებისა, სასამართლოს წარედგინა: მოწმეების – ა. კ-ს, ი. მ-ს, ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებები, ე. გ-სა და ალ. კ-ს მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმები, 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომელთა ერთობლიობა ცალსახად მიუთითებდა შ. ა-ს ბრალეულობაზე.

20. საწინააღმდეგო ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა სასამართლოს შ. ა-მ, რომლის განმარტებით, 2018 წლის 11 აგვისტოს თავის სახლში ის და ე. გ. შეკამათდნენ, რა დროსაც ხელი მოუქნია მას და მიაყენა დაზიანება. დაზარალებულთან ერთობლივად გადაწყვიტა, რომ მეორე დღეს ე. გ. სამსახურში არ წავიდოდა. დაზარალებულმა იცოდა, რომ იგი აპირებდა მის ძმასთან ე. გ-ს შესახებ დალაპარაკებას და ვარაუდობს, რომ შემთხვევის დღეს სწორედ ამის ასარიდებლად მისწერა შეტყობინება ქალიშვილს. მან კატეგორიულად გამორიცხა ე. გ-სათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა. არც ტელეფონით სარგებლობა დაუშლია მისთვის, რამდენჯერმე ბინიდან გავიდა კიდეც და ე. გ. სახლში მარტო დატოვა, რა დროსაც თავისუფლად შეეძლო მას, მეზობლებისთვის ეთხოვა დახმარება. სახლი, რომელშიც იმყოფებოდნენ, არის ორსართულიანი, ე.წ. „იტალიური ეზოს“ მეორე სართულზე და არ წარმოადგენს პრობლემას აივნის საშუალებით სახლიდან წასვლა.

21. საკასაციო პალატა არ იზიარებს შ. ა-ს განმარტებას, რომ

თითქოს, მას ე. გ-სათვის თავისუფლება არ აღუკვეთავს, კარი არ ჩაუკეტავს, არც ტელეფონით სარგებლობა შეუზღუდავს და დაზარალებული საკუთარი ნებით იყო მის ბინაში, ვინაიდან საწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოებებია დადგენილი საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით: თავად დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმით, ა. კ-ს, ი. მ-ს, ზ. ხ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებით, მობილური ტელეფონების დათვალიერების ოქმებით, 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სამედიცინო და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებიც ზემოთ უკვე მიმოიხილა საკასაციო პალატამ და სარწმუნოდ მიიჩნია.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით კრიმინალიზებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთა, როდესაც ადამიანი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იმყოფება გარკვეულ ადგილას, არ არის არჩევანში თავისუფალი და არ შეუძლია შეიცვალოს გადაწყვეტილება და ადგილსამყოფელი. თავისუფლების უკანონო აღკვეთად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც პირს წაუყენებენ მოთხოვნას, არ დატოვოს ესა თუ ის ადგილი და ამ მოთხოვნის შესასრულებლად მის ნებაზე ზემოქმედებენ.

23. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს განსხვავებული მოცემულობა, რადგან შ. ა., გარდა იმისა, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა დაზარალებულზე, ასევე ჩაუკეტა მას ბინის კარი და შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, რითაც მსჯავრდებულის ქმედება გასცდა იძულების ფარგლებს და გადაიზარდა თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, რომელიც ფორმალური დანაშაულია და დამთავრებულია სხვა პირისათვის გადაადგილების თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან.

24. საყურადღებოა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ შ. ა-მ ე. გ-ს სახლში გამოკეტვამდე სცემა მას, აუკრძალა ტელეფონით სარგებლობა, კართან მისვლა და საშველად ვინმეს მოხმობა, მაგრამ არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ დაზარალებულისათვის კარგად იყო ცნობილი მსჯავრდებულის კრიმინალური წარსული, რომელიც არაერთხელ არის ნასამართლევი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის და უგულებელყვეს ე. გ-ს მდგომარეობა, რომელიც იყო აშკარად დაშინებული და მოძალადისაგან მომდინარე საფრთხის განეიტრალება (თვითგადარჩენა) მხოლოდ დროებითი მორჩილებით შეძლო. ასევე, საფუძველს მოკლებულია იმაზე აპელირება, ჰქონდა თუ არა დაზარალებულს საშუალება, დახმარება ეთხოვა, მაგალითად, მე-

ზობლებისათვის, ვინაიდან, ერთი მხრივ, დადგენილია, რომ დაზარალებული იყო ნაცემი და იმდენად დაშინებული, რომ ადგილიდან განძრევას ვერ ბედავდა, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურებულია, რომ ე. გ-მ მაშინვე ითხოვა შველა, როგორც კი მოძალადემ ყურადღება მოადუნა და დახმარების რეალური შანსი გაუჩნდა. დაზარალებულს ფანჯრიდან გაქცევის შესაძლებლობა რომც ჰქონოდა, რასაც, თავის მხრივ, გამორიცხავს 2018 წლის 11 აგვისტოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომლის თანახმად, აივანზე გამავალ ფანჯარას შიგნიდან ჰქონდა გისოსი, გასათვალისწინებელია, რომ იგი იყო უკიდურესად შეშინებული და ემუქრებოდა იმწუთიერი და რეალური საფრთხე. ამასთან, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ფორმალური დანაშაულია და იგი იმ მომენტში დამთავრდა, რა წამს შ. ა-მ თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა შეუზღუდა დაზარალებულს. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის ხარისხს, მთავარია, რომ გადაადგილების უფლება შეიზღუდა მისივე ნების საწინააღმდეგოდ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სმართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 ნოემბრის №275აპ-17 განაჩენის სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 14), რაც მოცემულ საქმეში ცალსახად დადგენილია დაზარალებულ ე. გ-ს გამოკითხვის ოქმით, დაზარალებულის მიერ ქალიშვილისათვის გაგზავნილი შეტყობინებებითა და მოწმე ა. კ-ს ჩვენებით.

25. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133[1]-ე, 133[2]-ე, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144[3]-ე, 149-ე-151[1]-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255[1]-ე, 381[1]-ე, და 381[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება, მათ შორის – არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ შ. ა-სა და ე. გ-ს ჰყავთ საერთო შვილი და ისინი იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, ქმედება საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლით – პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისთვის.

26. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. ა-ს ქმედება, რომელმაც 2018 წლის 11 აგვისტოს მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ ე. გ-ზე ფიზიკურად იძალადა, ჩაუკეტა ბინის

კარი და უკანონოდ შეუზღუდა გადაადგილების თავისუფლება, სცდება ფიზიკური და ფსიქიკური იძულების ფარგლებს და ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ოჯახის წევრის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, დანაშაულს, რაც გათვალიწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით და, ამდენად, უნდა შეიცვალოს შ. ა-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმედების კვალიფიკაცია და შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც ამ ქმედების სამართლებრივი შეფასების, ასევე – სასჯელის ნაწილშიც.

27. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილი ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

28. სასჯელის დანიშვნის დროს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

29. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), დანაშაულის ჩადენა, მათ შორის – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, ხოლო ამავე კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

31. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) სასჯელის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა როგორც სასჯელის დანიშ-

ვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 58-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შ. ა-ს ამ დანაშაულისათვის სამართლიანი სასჯელი დაუნიშნა, რომლის დამძიმება, როგორც ამას პროკურორი ითხოვდა საკასაციო საჩივრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქციით შეუძლებელია.

32. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის განსაზღვრას, საკასაციო პალატა ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს (ეჭვიანობა, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის იძულება, ელიარებინა სხვასთან სქესობრივი კავშირი), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს (ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის ძალადობრივი დანაშაულების ერთობლიობა), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (მსჯავრდებულმა სცემა დაზარალებულს და გამოკეტა თავის ბინაში), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (მსჯავრდებულის ურყევ და საშიშ ნებას ოჯახის წევრზე ძალადობით მიეღწია თავისი მიზნისათვის), მის პიროვნებას (შ. ა. წარსულში ორჯერ არის ნასამართლევი განზრახი დანაშაულების ჩადენისათვის), მართლსაწინააღმდეგო შედეგს (დაზარალებულმა მიიღო სხეულის დაზიანებები, განიცადა ფიზიკური ტკივილი და სტრესი) და მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, შ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.

33. ამასთან, შ. ა. დანაშაულის ჩადენის დროს – 2018 წლის 11 აგვისტოს იყო ნასამართლევი განზრახი დანაშაულების ჩადენისათვის და მას დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ბორჩაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. შ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 15 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],143-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ შ. ა-ს სასჯელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. შ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ძარცვა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№597ა3-19 14 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენით განიხილა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანჟელა გეთიას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით გ. მ-ს, – დაბადებულს .... წელს, – ბრალად ედებოდა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 12:00 საათზე, ქ. თ-ში მდებარე „.....“ ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. მ-მა დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, დ. ლ-ას წაართვა 1000 ლარად ღირებული, iPhone 7 ფირმის მობილური ტელეფონი. გ. მ-ს დანაშაულებრივი ქმედებით დ. ლ-ას მიადგა 1000 ლარის მატერიალური ზიანი და ასევე – მორალური სახის ზიანი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 16 იანვრის განაჩენით:

გ. მ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

გ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 10000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5

ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 11 თებერვლიდან იმავე წლის 27 ივნისის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით, შეუმცირდა და საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი.

გაუქმდა გ. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო. ასევე გაუქმდა მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების – 10000 ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით, ნ. ზ-ის (დაბადებული ..., პირადი №...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. თ-ში, საკადასტრო კოდი ...) პროპორციულ წილზე დადებული ყადაღა.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-მა ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 12:00 საათზე, ქ. თ-ში მდებარე „...“ ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. მ-მა დ. ლ-ას გამოართვა iPhone 7 ფირმის მობილური ტელეფონი შემდგომი გადახდის შეთავაზებით. გ. მ-მა დ. ლ-ას არც მობილური ტელეფონი დაუბრუნა და არც მისი ღირებულება გადაუხადა. გ. მ-ს დანაშაულებრივი ქმედებით დ. ლ-ას მიადგა 850 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც საჩივრით ითხოვდა განაჩენში ცვლილების შეტანას და გ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 16 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი ანჟელა გეთია საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

7. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ლუკა გამყრელიძემ ვრცლად მიმოიხილა

საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

8. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულ გ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ს-მ იშუამდგომლა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა თავად მსჯავრდებული.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ს საქმე, შეამოწმა ბრალდების მხარის წარმომადგენლის, პროკურორ ანჟელა გეთიას მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის არც დაზარალებულის ჩვენებით) არ დასტურდება გ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

3. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მართალია, დასტურდება გ. მ-ს მიერ დ. ლ-ას კუთვნილი მობილური ტელეფონის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, მაგრამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება მსჯავრდებულის მხრიდან დაზარალებულის კუთვნილი ქონების დაუფლების მიზნით ძალადობა, მათ შორის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა – ბრალდების მხარის მიერ მითითებული ცივი იარაღის გამოყენება, კერძოდ:

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულმა დ. ლ-ამ განაცხადა, რომ 2018 წლის 10 თებერვალს, საღამოს საათებში, მივიდა თავის კუთვნილ მობილური ტელეფონების მაღაზიაში, სადაც დახვდნენ თანამშრომელი გ. გ., ერთი მეგობარი და გ. მ. ეს უკანასკნელი სახეზე ეცნობოდა, მაგრამ კონკრეტულად ვერ გაიხსენა – საიდან, რის შემდეგაც თავად გ. მ-მა გაახსენა თავი, რომ რამდენიმე წლის წინ გაიცნეს ერთმანეთი, თან უთხრა, რომ სურდა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის შეძენა, ხოლო თანხას გადაუხდიდა მეორე დღეს, 12:00 საათისთვის, რაზე-

დაც უარი განუცხადა. აღნიშნულის შემდეგ მობილურის შეძენასა და თანხის შემდგომ გადახდაზე მათ შორის საუბარი კვლავ გაგრძელდა. გ. მ-მა უთხრა, რომ ტელეფონი მისი იყო და აღარ დაუბრუნებდა, შემდეგ დაუბრუნა და ისევ წაართვა. ბოლოს ისე წავიდა, რომ ტელეფონი არ წაუღია. მეორე დღეს, 2018 წლის 11 თებერვალს, დაახლოებით 11:45 საათისთვის გააღო მაღაზია, სადაც მალევე კვლავ მივიდა გ. მ. და უთხრა, რომ დაპირებისამებრ, ტელეფონის შესაძენად იყო მისული. მან უარი თქვა წინა დღეს შერჩეულ ტელეფონზე იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ ტელეფონს არ ჰქონდა ყუთი და ითხოვა ტელეფონი ყუთით. მას აჩვენა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონი, რომელსაც ჰქონდა ყუთი. ტელეფონს შეცვლილი ჰქონდა ეკრანი და ამის თაობაზე აცნობა გ. მ-ს. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მეზობლად მდებარე მაღაზიაში მუშაობდა მისი ნაცნობი, რომელთანაც უნდა შეემოწმებინა ტელეფონი. თავადაც გაჰყვა გ. მ-ს და თან წაიღეს მობილური ტელეფონი ყუთით. როდესაც შესამოწმებლად მიიტანეს, ხელოსანმა რ-მა გ-ს უთხრა, რომ ტელეფონი კარგ მდგომარეობაში იყო. ამის შემდეგ გ-მ მას (დ. ლ-ას) უთხრა, რომ როგორც შეთანხმდნენ, თანხას – 1000 ლარის ოდენობით, ბანკომატის მეშვეობით გამოიტანდა „....“ ბანკის ანგარიშიდან და მისცემდა. ერთად წავიდნენ წ..... მდებარე „.....“ ბანკისკენ. გზაში გ. მ-მა განუცხადა, რომ მისი მეგობრის მამა ცხოვრობდა იქვე და მას გამოართმევდა ფულს, ამიტომ სხვა მიმართულებით განაგრძეს სიარული. ერთ კონკრეტულ ადგილზე, წ.....ან შესახვევში, გ-მ უთხრა, რომ იმ ადგილას თავად მივიდოდა მისი მეგობრის მამა, ამიტომ დაბრუნებულიყო მაღაზიაში და ფულს მოგვიანებით მიუტანდა, რაზედაც არ დათანხმდა. ამ დროისათვის გ. მ-ს მობილური ტელეფონი ხელში ეჭირა, ხოლო ტელეფონის ყუთი ჯიბეში ედო. ამის შემდეგ გ-მ უთხრა – „ნივთი ჩემია, ყუთიც მე მაქვს და რას გააკეთებ, მიჩივლებო?“ „არ მაინტერესებს, არ გაძლევო“ – და აუჩქარებლად, დინჯად წავიდა. დაზარალებულმა დაადასტურა, რომ ამ პერიოდში არაფერი მოუმოქმედებია, ვინაიდან გაუჩნდა გარკვეული შიშის გრძნობა. კერძოდ, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ, წინა დღეს, 2018 წლის 10 თებერვალს, მაღაზიაში ყოფნისას, გ. მ-ს თან ჰქონდა დანა, რომლის დემონსტრირებაც მოახდინა მათ დასანახად. მან დანა ჯერ ამოიღო საქამრიდან და ჯიბეში ჩაიდო, შემდეგ გადასცა მის (დ. ლ-ას) მეგობარს, რომელიც მაგიდასთან იჯდა. ამ უკანასკნელმა დანა უჯრაში შეინახა. შემდეგ გ-მ კვლავ გამოართვა დანა. 11 თებერვალს კი მას თან ჰქონდა შავი ფერის ნივთი (თუმცა ზუსტად ვერ უთითებს, აღნიშნული იყო თუ არა დანა). ნერვიულობის ფონზე, ეს ნივთი აღიქვა დანად. გ. ხელში ათამაშებდა ამ ნივთს, თითქოს გახსნის მომენტიც შეამჩნია და რო-

გორც ახსოვს, დასამაგრებელიც ჰქონდა. ყოველივე აღნიშნულის გამო, ვერაფერი მოიმოქმედა, უყურებდა როგორ მშვიდად მიდიოდა ბრალდებული, თავად კი მოგვიანებით მიმართა პოლიციის განყოფილებას.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმე გ. გ-მა განაცხადა, რომ მუშაობს სადგურის მოედანზე, სავაჭრო ცენტრ „..ში“ მდებარე მაღაზიაში, მის მეგობარ დ. ლ-ასთან. 2018 წლის 10 თებერვალს იმყოფებოდა მაღაზიაში, სადაც საღამოს საათებში შევიდა გ. მ. იგი ათვალიერებდა iPhone 7 მოდელის მობილურ ტელეფონს და უთხრა, რომ სურდა აღნიშნული ტელეფონი წაეღო თანხის გადახდის გარეშე, რაზედაც უარი განუცხადა. ამ დროს მაღაზიაში შევიდა მაღაზიის მფლობელი – დ. ლ-ა, რომელსაც გ-მ უთხრა – შენი ნაცნობი ვარო. გ. მ-მა დ. ლ-ას ასევე უთხრა, რომ სურდა მობილური ტელეფონის წაღება თანხის გადახდის გარეშე და თანხას მეორე დღეს მიუტანდა. აღნიშნულზე დ. ლ-ამ განუცხადა, რომ მაღაზია მხოლოდ მისი საკუთრება არ იყო და ტელეფონს თანხის გადახდის გარეშე ვერ გაატანდა. ამას მოჰყვა დაძაბული საუბარი გ-სა და დაზარალებულს შორის, რაც მაღაზიის გარეთაც გაგრძელდა. ამასთანავე, გასვლამდე, მაღაზიაში საუბრისას, გ. მ-მა საქამრეში ჩადებული დანა ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. ამ დროს მისი მხრიდან მუქარას ადგილი არ ჰქონია. 2018 წლის 11 თებერვალს, დილის საათებში, მაღაზიაში კვლავ მივიდა გ. მ. და დ. ლ-ას ჰკითხა, iPhone 7 მოდელის მობილურ ტელეფონს რამდენ ლარად მიჰყიდდა, რაზედაც დაზარალებულმა უპასუხა, რომ ხსენებული ტელეფონის ფასი იყო 1000 ლარი. ამის შემდეგ გ. მ-მა უთხრა, რომ გვერდით მდებარე №... მაღაზიაში ახლობელ ხელოსანთან უნდა შეემოწმებინა მობილური ტელეფონი, რის გამოც ის და დ. ლ-ა მაღაზიიდან გავიდნენ ტელეფონით და ყუთით. ამ დროს გ-სთვის დანა არ შეუმჩნევია. მოგვინებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ გ. მ-მა დ. ლ-ას დანის მუქარით გამოართვა iPhone 7 მოდელის შავი ფერის მობილური ტელეფონი.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმე რ. ბ-მა განაცხადა, რომ დასაქმებულია ვ-ს მოედნის მიმდებარედ, სავაჭრო ცენტრ „.“ არსებულ №... მაღაზიაში, მობილური ტელეფონების ხელოსნად. 2018 წლის 11 თებერვალს, დილის საათებში, მასთან მივიდა მისი მეგობარი გ. მ., ვინმე ლ-ასთან ერთად, რომლის მაღაზიაც მისი მაღაზიის მეზობლად მდებარეობს. გ. მ-ს თან ჰქონდა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონი და სთხოვა მისი შემოწმება. შემოწმების შემდეგ გ-ს უთხრა, რომ მობილურ ტელეფონს ეკრანი ჰქონდა შეცვლილი, თუმცა იყო კარგ მდგომარეობაში. ამის შემდეგ გ. მ. და დ. ლ. ერთად წავიდნენ.

7. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმე ნ. ჯ-მ განაცხადა, რომ გ. მ. არის მისი მეგობარი. 2018 წლის 11 თებერვალს იმყოფებოდა სახლში, გ-ში, როდესაც დაახლოებით დღის 12 საათზე გააღვიძა გ. მ-მა და სთხოვა საკუთარი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით ლომბარდში ჩაებარებინა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის ყუთი. ისინი წავიდნენ ... მდებარე ლომბარდში, სადაც ყუთის დატოვების სანაცვლოდ გ. მ-მა მიიღო 501 ლარი. მოწმისათვის უცნობია, თუ საიდან ჰქონდა გ-ს ეს ტელეფონი.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმე დ. ბ-მ განაცხადა, რომ მუშაობს ქ. ...-ში მდებარე შპს „...ში" (ლომბარდი) ოპერატორის პოზიციაზე. 2018 წლის 11 თებერვალს ზემოაღნიშნულ ლომბარდში ჩაბარებულ იქნა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის ყუთი, რის თაობაზეც მისმა სხვა თანამშრომელმა გააფორმა ხელშეკრულება. მოგვიანებით პოლიციის თანამშრომლებმა მისგან ამოიღეს დალომბარდებული ნივთი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს IV განყოფილების თანამშრომლებმა – გ. გ-მა, გ. პ-მა, ნ. ფ-მა, რ. გ-მა, გ. დ-მ, რ. ჩ-მა და გ. ბ-მ, ასევე ექსპერტმა მ. ბ-მა დაადასტურეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელება კანონის შესაბამისად.

9. 2018 წლის 12 თებერვლის ამოღების ოქმის თანახმად, გ. მ-ს საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ...ში, რ. გ-ში, მისი მეუღლის – თ. ა-გან ამოიღეს iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონი.

10. 2018 წლის 12 თებერვლის ამოღების ოქმის თანახმად, ქ. თ., პ-ში მდებარე შპს „მ-ში" დ. ბ-გან ამოიღეს თეთრი ფერის ყუთი, რომელიც არის iPhone 7-ის. აღნიშნულ ყუთს გაკეთებული აქვს წარწერა ..., უკანა მხარეს აწერია 32 GB, ხოლო გვერდით აწერია iPhone, ასევე ამოღებულია სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №....

11. 2018 წლის 12 თებერვლის დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა თ. ა-აგან ამოღებული მობილური ტელეფონი „iPhone 7", კერძოდ, გამომძიებელმა ჩართო აღნიშნული მობილური ტელეფონი და აკრიფა კომბინაცია – *#06#OK, რის შემდეგაც მობილური ტელეფონის ეკრანზე გამოისახა მობილური ტელეფონის იმეიკოდი – 3... .

12. 2018 წლის 11 თებერვლის სესხისა და გირავნობის №... ხელშეკრულების თანახმად, შპს „მ...ს" და ნ. ჯ-ს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, დაგირავდა მობილური ტელეფონის – iPhone 7, 32 GB, BLACK, იმეიკოდით – 3... ყუთი, 502 ლარის სანაცვლოდ, 10 დღის ვადით.

13. 2018 წლის 15 მარტის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი მობილური ტელეფონის – „აიფონ 7“, 32GB, იმეიკოდით ... . საბაზრო ღირებულება, ექსპლუატაციაში ყოფნისა და მისი ფაქტობრივი ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეადგენს – 850 ლარს.

14. 2018 წლის 20 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, ქ. თ., გ-ში, ა. მ-მა ნებაყოფლობით წარმოადგინა, მისი განმარტებით, გ. მ-ს კუთვნილი, მოშავო ფერის ელექტროსიგარეტი და მართკუთხა ფორმის კოლოფში მოთავსებული 4 ცალი სიგარეტი, რაც ამოიღო ადვოკატმა კ. ს-მ.

15. გ. მ-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ 2018 წლის 11 თებერვალს, დილის საათებში, სახლიდან წავიდა სავაჭრო ცენტრ „კ-თან“ მდებარე ტელეფონების მაღაზიაში, სადაც მუშაობს მისი მეგობარი – რ. ბ-ი. თან ჰქონდა გარკვეული თანხა და უნდოდა ტელეფონი ეყიდა მეუღლისთვის საჩუქრად. როდესაც მივიდა მაღაზიაში და ათვალიერებდა ტელეფონს, გამოჩნდა მისი ძველი ნაცნობი დ. ლ-ა, რომელიც გადაკოცნა და მოიკითხა; ასევე უთხრა, რომ სურდა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის შეძენა. დ. ლ-ამ აჩვენა გასაყიდი ტელეფონი, რომელიც ღირდა 1000 ლარი. აღნიშნულზე უთხრა, რომ შეძენამდე ტელეფონი უნდა შეემოწმებინა თავის მეგობარ ხელოსანთან – რ. ბ-თან, რაზეც დ. ლ-ა დათანხმდა. დ. ლ-ასთან ერთად გავიდა მეზობლად მდებარე მაღაზიაში და რ. ბ-ს შეამოწმებინა ტელეფონი. ხელოსანმა უთხრა, რომ ტელეფონს ეკრანი ჰქონდა შეცვლილი, თუმცა იყო კარგ მდგომარეობაში და ღირდა მისი შეძენა. იქიდან გამოსვლისას დ. ლ-ას უთხრა, რომ ჰქონდა მხოლოდ ხუთასი ლარი, რომელსაც მისცემდა, ხოლო დარჩენილ ხუთას ლარს მისცემდა ორშაბათს, ვინაიდან კვირა დღე იყო, ქორწილში მიდიოდა და ვერ მოასწრებდა თანხის მოძიებას. თავიდან დაზარალებულმა თავი შეიკავა, რადგან დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა აღნიშნულს და დარეკა ვიღაცასთან. დ. ლ-ას უთხრა, რომ ტელეფონის ყუთიც სჭირდებოდა მასზე დაფიქსირებული იმეიკოდით, სხვა შემთხვევაში ტელეფონს არ შეიძენდა. დ-მა მაღაზიიდან გამოიტანა ყუთი და წავიდნენ იმ მიმართულებით, სადაც მანქანა ჰყავდა გაჩერებული. გ. მ-მა განმარტა, რომ მანქანიდან ამოიღო ხუთასი ლარი და გადასცა დ. ლ-ას. ასევე დაჰპირდა, რომ დანარჩენ ხუთას ლარს მისცემდა ორშაბათს. დ. ლ-ა ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მერე არაფერი უთქვამს, დაემშვიდობნენ და ასე დაშორდნენ ერთმანეთს. სახლში სანამ მივიდოდა, მეგობრის ნ. ჯ-ის დახმარებით, ტელეფონის ყუთი დაალომბარდა პ. მდებარე ლომბარდში, რაშიც აიღო 500 ლარი. შემდეგ სახლში მივიდა, მეუღლეს უთხრა, რომ ტე-

ლეფონი იყიდა მისთვის, ხოლო ყუთი დაალომბარდა, თუმცა გამოისყიდდა და ისე მისცემდა ტელეფონს, შემდეგ ტუმბოში ჩადო ტელეფონიც და თანხაც (თუმცა 50 ლარი წაიღო ქორწილში). ქორწილიდან წამოსვლის შემდეგ, დაახლოებით ღამის 11 საათზე, საპატრულო პოლიციამ გააჩერა ტაქსი, რომლითაც იგი მგზავრობდა, ადგილზე მივიდნენ სამართალდამცავი ორგანოს სხვა თანამშრომლებიც და მოხდა მისი გადაყვანა დიდუბის რაიონულ სამმართველოში, ისე, რომ მისთვის დაკავებულის უფლებები არ განუმარტავთ. გ. მ-მა კატეგორიულად გამორიცხა დანის ფლობისა და ტარების ფაქტი; განმარტა, რომ არის ელექტროსიგარეტის მომხმარებელი და მუდმივად ატარებს მას. 2018 წლის 11 თებერვალს, როგორც მაღაზიაში, ასევე მაღაზიის გარეთ ეწეოდა აღნიშნულ ელექტროსიგარეტს. 2018 წლის 10 თებერვალს არ ყოფილა დ. ლ-ას მაღაზიაში, მხოლოდ რ. ბ-თან იყო მისული სანახავად, ხოლო დ. ლ-ასთან პირველად მივიდა 11 თებერვალს.

16. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ბრალდების მხარეს, რომ ყაჩაღობის ჩადენისას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც იარაღის აქტიური გამოყენებისას, ასევე – იარაღის დემონსტრირების დროსაც, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულის ჩვენებით, სრულიად გამოირიცხა ყაჩაღობის შემადგენლობისათვის აუცილებელი ელემენტი – სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალის გამოყენების მუქარა. კერძოდ, მართალია დ. ლ-ა უთითებს, რომ იმ საგნის დემონსტირებით, რაც მან აღიქვა დანად, გაუჩნდა გარკვეული შიში, თუმცა მას კონკრეტულად საგნის დასახელება არ შეუძლია – იყო თუ არა ეს დანა. გარდა ამისა, დაზარალებული მის უმოქმედობას უკავშირებს არა მხოლოდ იმწუთიერ შიშს, არამედ იმ გარემოებას, რომ წინა დღეს მასთან მისული გ. მ. ატარებდა დანას. ამასთან, დ. ლ-ამ არაერთხელ აღნიშნა, რომ მას არ სურდა კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევა, მისთვის მიუღებელია ამგვარი ცხოვრების წესი და ამიტომ გადაწყვიტა წინააღმდეგობა არ გაეწია გ. მ-სათვის ტელეფონის უკან დასაბრუნებლად. რაც შეეხება გ. მ-ს მიერ 2018 წლის 10 თებერვალს დანის ტარების ფაქტს, რაც ასევე დაადასტურა მოწმე გ. გ-მა, აღნიშნული უპირობოდ არ მიუთითებს, რომ გ. მ. მუდმივად ცივი იარაღით გადაადგილდება და მას ეს ნივთი თან ექნებოდა 11 თებერვალსაც. სასამართლო ასევე ითვალისწინებს გ. გ-ს ჩვენებას, რომლის თანახმად, მას არ შეუმჩნევია 11 თებერვალს მაღაზიაში მისული გ. მ-სთვის დანა. მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი რომ გ. მ-მა დ. ლ-ას დანის მუქარით გამოართვა iPhone 7-ის მოდელის ტელეფონი. ამდენად, საკასაციო სასამართლოს უსაფუძ-

ვლოდ მიაჩნია ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ გ. მ-ს ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირების თაობაზე.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ასევე არ დასტურდება გ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

18. საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ დაზარალებულმა ნივთი ნებაყოფლობით გადასცა და მსჯავრდებულმა მოატყუა, რომ ტელეფონის ღირებულებას გადაუხდიდა, რაც, ერთი შეხედვით, მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ხერხად გამოიყენა – მოტყუება და, შესაბამისად, ჩაიდინა თაღლითობა, მაგრამ მის ქმედებაში გამოკვეთილია ძარცვის შემადგენლობა, კერძოდ:

19. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს – ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღება ხდება მოტყუების გამოყენებით. მოტყუება გულისხმობს ქონების მესაკუთრის დეზინფორმაციას, მის წინასწარი შეცნობით შეცდომაში შეყვანას, ხოლო მისი შეცდომაში შეყვანა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე, ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვით, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის (საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №566აპ-18). თაღლითობის დროს გარეგნულად ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი. იმავდროულად, ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის არ არის საკმარისი დამნაშავეზე ნივთის ნებაყოფლობით გადაცემის ფაქტი.

20. დაზარალებულ დ. ლ-ას ჩვენებით დგინდება, რომ 2018 წლის 11 თებერვალს მან მის მაღაზიაში მისულ გ.მ-ს ტელეფონი მხოლოდ იმიტომ გადასცა, რომ ტელეფონის შესაძენად მისულმა გ. მ-მა მოითხოვა ი-მეი კოდის შემოწმება და ტელეფონის მდგომარეობის შემოწმება მეზობლად მდებარე მაღაზიაში მომუშავე ნაცნობი ხელოსნის მიერ, რის შემდეგაც გ. მ-ს უნდა გადაეხადა ნივთის საფასური. ამასთან, დ. ლ-ა თავადაც გაჰყვა გ. მ-ს და თან წაიღეს მობილური ტელეფონის ყუთი. აღნიშნული ასევე დასტურდება მოწმე გ. გ-ს ჩვენებითაც. ამდენად, დაზარალებულმა დ. ლ-ამ გ. მ–ს ნივთი გადასცა მხოლოდ იმწუთიერ, ძალიან მოკლევადიან პყრობაში მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით.

21. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ დაეთანხმება სააპელა-

ციო სასამართლოს მსჯელობას, დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის ნდობის ფაქტორის არებობის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის დაზარალებულის, მოწმე გ. გ-ს, ასევე თავად გ. მ-ს ჩვენებებით, არ დასტურდება დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის ნდობითი ხასიათის ურთიერთობის არსებობა და ნდობის ფაქტორის გათვალისწინებით დაზარალებულის შეცდომაში შეყვანა. კერძოდ, დაზარალებულ დ. ლ-ას ჩვენებებიდან ირკვევა რომ 10 თებერვალს საღამოს თავის კუთვნილ მობილური ტელეფონების მაღაზიაში მისულს დახვდნენ თანამშრომელი გ. გ., ერთი მეგობარი და გ. მ. ეს უკანასკნელი სახეზე ეცნობოდა, მაგრამ კონკრეტულად ვერ გაიხსენა – საიდან, რის შემდეგაც თავად გ. მ-მა გაახსენა თავი. აღნიშნულის მიუხედავად, დაზარალებულმა უარი უთხრა გ. მ-ს მობილური ტელეფონის გატანებაზე თანხის მეორე დღეს 12:00-სთვის გადახდის პირობით. აღნიშნულს ადასტურებს მოწმე გ. გ-ც. მსჯავრდებულის ჩვენებითაც დასტურდება, რომ 11 თებერვალს ტელეფონის საყიდლად მისვლის შემდეგ, ნაცნობობის მიუხედავად, დაზარალებულმა არ გაატანა ტელეფონი ხელოსნისთვის ჩვენების მიზნით და თავად გაჰყა როგორც ხელოსანთან, ასევე ყველა იმ ადგილას, სადაც მსჯავრდებული უთითებდა ფულის „აღების ადგილად“ („...“ ბანკთან, ერთ კონკრეტულ ადგილს, ... შესახვევს).

22. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მხარეებს შორის არც ნივთის ღირებულების ეტაპობრივად/ ნაწილობრივად გადახდის შესახებ შეთანხმების არსებობა, რაზეც მიუთითებდა ადვოკატი. საკასაციო წესით საქმის განხილვისას დაცვის მხარემ ვერ შეძლო ასეთი შეთანხმების არსებობის დადასტურება, მანვე უარყო ასეთი შეთანხმების არსებობა მხარეებს შორის ტელეფონის მაღაზიიდან წამოღების მომენტში. აღნიშნული არ დასტურდება არც დაზარალებულ დ. ლ-ასა და არც მოწმე გ. გ-ს ჩვენებებით. დაზარალებული დ. ლ-ა ყველა ჩვენებაში ცალსახად აღნიშნავს, რომ 2018 წლის 10 თებერვალს მან უარი უთხრა გ. მ-ს iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის გაყიდვაზე თანხას მეორე დღეს, 12:00 საათისთვის გადახდის პირობით. მოწმე გ. გ-ს ჩვენებითაც დგინდება, რომ 2018 წლის 10 თებერვალს უარი უთხრა გ. მ-ს iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის წაღებაზე თანხის გადახდის გარეშე. ამ დროს მაღაზიაში შესულმა მაღაზიის მფლობელმა დ. ლ-ამაც (რომელსაც გ-მ უთხრა – შენი ნაცნობი ვარო) გ. მ-ს განუცხადა, რომ მაღაზია მხოლოდ მისი საკუთრება არ იყო და ტელეფონს თანხის გადახდის გარეშე ვერ გაატანდა. ამას მოჰყვა დაძაბული საუბარი გ. მ-ს და დაზარალებულს შორის, რაც მაღაზიის გარეთაც გაგრძელდა. დ. ლ-ას განმარტებით, მას შემდეგ, რაც

მეორე დღეს ხელოსანმა რ-მა გ-ს უთხრა, რომ ტელეფონი კარგ მდგომარეობაში იყო, გ-მ მას უთხრა, რომ, როგორც შეთანხმდნენ, თანხას – 1000 ლარის ოდენობით, ბანკომატის მეშვეობით გამოიტანდა „...“ ბანკის ანგარიშიდან და მისცემდა.

23. ამდენად, დ. ლ-ას და გ. გ-ს ჩვენებებით ცალსახად დასტურდება, რომ დ. ლ-ა წინააღმდეგი იყო და არ ატანდა გ. მ-ს ტელეფონს ტელეფონის ღირებულების მოგვიანებით გადახდის პირობით, მხარეებს შორის არ არსებობდა არც თანხის ეტაპობრივად გადახდის შესახებ შეთანხმება. დაზარალებულმა ნივთი მხოლოდ მას შემდეგ გამოიტანა, რაც გ. მ-მა განაცხადა, რომ ნივთს ყიდულობდა. ამასთან, ერთ კონკრეტულ ადგილზე, წ-ან შესახვევში, გ-მ უთხრა, რომ იმ ადგილას თავად მივიდოდა მისი მეგობრის მამა, ამიტომ დაბრუნებულიყო მაღაზიაში და ფულს მოგვიანებით მიუტანდა, რაზედაც არ დათანხმდა. ამ დროისათვის გ. მ-ს მობილური ტელეფონი ხელში ეჭირა, ხოლო ტელეფონის ყუთი ჯიბეში ედო. დ. ლ-ას ჩვენების თანახმად, მან მოითხოვა ფულის გადახდა ან ტელეფონის უკან დაბრუნება, რაზეც გ. მ-მა უპასუხა, რომ „ნივთი ჩემია, ყუთიც მე მაქვს და რას გააკეთებ, მიჩივლებო?“ „არ მაინტერესებს, არ გაძლევო“ – და აუჩქარებლად, დინჯად წავიდა. ამდენად, გ. მ-სთვის თავიდანვე და ნივთის დაუფლების მომენტშიც ცნობილი იყო, რომ დაზარალებული წინააღმდეგი იყო გ. მ-სთვის ნივთის საფასურის მოგვიანებით გადახდის პირობით ნივთის გატანების, რაც მკაფიოდ განუცხადა კიდევ ერთხელ ... შესახვევში, და მოითხოვა ფულის გადახდა ან ტელეფონის დაბრუნება.

24. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ასევე ვერ დასტურდება მსჯავრდებულის მიერ დაზარალებულისთვის ნივთის ღირებულების ნაწილის (500 ლარი) გადახდა, რაზეც მიუთითებდა დაცვის მხარე. კერძოდ, მსჯავრდებულ გ. მ-ს ჩვენებით, მას შემდეგ, რაც ხელოსანმა ნახა ნივთი და იქაურობა დატოვეს, დ. ლ-ას უთხრა, რომ ჰქონდა მხოლოდ ხუთასი ლარი, რომელსაც მისცემდა ახლა, ხოლო დარჩენილ ხუთას ლარს გადაუხდიდა ორშაბათს, ვინაიდან კვირა დღე იყო, ქორწილში მიდიოდა და ვერ მოასწრებდა თანხის მოძიებას. თავიდან დაზარალებულმა თავი შეიკავა, რადგან დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტდა აღნიშნულს და დარეკა ვიღაცასთან. დ. ლ-ას უთხრა, რომ ტელეფონის ყუთიც სჭირდებოდა მასზე დაფიქსირებული იმეიკოდით, სხვა შემთხვევაში ტელეფონს არ შეიძენდა. დ-მ მაღაზიიდან გამოიტანა ყუთი და წავიდნენ იმ მიმართულებით, სადაც მანქანა ჰყავდა გაჩერებული. გ. მ-მა განმარტა, რომ მანქანიდან ამოიღო ხუთასი ლარი და გადასცა დ. ლ-ას. ასევე დაჰპირდა, რომ დანარჩენ ხუთას ლარს მისცემდა ორშაბათს. დ. ლ-ა ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ მერე არაფერი უთქვამს,

დაემშვიდობნენ და დაშორდნენ ერთმანეთს. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება არც თანხის ნაწილობრივად გადახდის შესახებ მხარეებს შორის შეთანხმება, არც მსჯავრდებულის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებასთან მისვლა, არც თანხის ნაწილის გადაცემა და არც გ. მ-ს მიერ მითითებული დაზარალებულის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარი (თანხის ნაწილის გადახდის პირობით ნივთის გატანების შეთანხმება).

25. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ი მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ბრალდების მხარეს აკისრებს გონივრულ ეჭვს მიღმა ბრალდებულის ბრალეულობის დასაბუთების ვალდებულებას .... ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების მხოლოდ კრიტიკული შეფასების გზით (რაც დასტურდება სარჩელში მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებებითაც) და უკავშირდება დაცვის მხარის მიერ კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებას, რომელიც ქმნის გონივრულ ეჭვს ბრალდების დასაბუთებულობაში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650,699 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-28, 42).

26. ვინაიდან საქართველოში სისხლის სამართალწარმოება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე და საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლოს ლეგალურ სუბსიდუალურობას, სწორედ მხარეებმა უნდა წარადგინონ ის მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც ისინი ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სასამართლო მხოლოდ აფასებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და სასამართლო სხდომაზე მათი გამოკვლევის შემდეგ ადგენს, არსებობს თუ არა ესა თუ ის ფაქტი ან ქმედება და ახდენს მის სამართლებრივ შეფასებას.

27. სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს, რომ მსჯავრდებულის ჩვენება ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. კერძოდ, მსჯავრდებულის განმარტებით, 2018 წლის 10 თებერვალს არ ყოფილა დ. ლ-ას მაღაზიაში, მხოლოდ რ. ბ-თან იყო მისული სანახავად, ხოლო დ. ლ-ასთან პირველად მივიდა 11 თებერვალს; ხოლო დ. ლ-ასა და გ. გ-ს ჩვენებებით დასტურდება 2018 წლის 10 თებერვალს მაღაზიაში მსჯავრდებულის მისვლა.

28. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ძარცვას, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების

მიზნით, რაც გულისხმობს სხვისი ქონების ანგარებით დაუფლებას თვალნათლივ იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობასა ან სარგებლობაში იმყოფება ნივთი, ან სხვა ადამიანისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნივთის აშკარა დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირთა თანდასწრებით და აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №566აპ-18). დაზარალებულის ჩვენების თანახმად დ. ლ-ა ითხოვდა გ. მ-ს დაებრუნებინა მისთვის ტელეფონი ან გადაეხადა ტელეფონის ღირებულება, უთხრა რომ ნივთი მისი არ იყო, პრობლემები აქვს და ნივთის გარეშე არსად წავიდოდა – შესაბამისად გ. მ-ს მიერ დაზარალებულის კუთვნილი მობილური ტელეფონის დაუფლება განხორციელდა აშკარად, დაზარალებულის მკაფიოდ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №269აპ-18, განჩინება საქმეზე №173აპ-20). სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ქონების დაუფლება გულისხმობს, რომ პირს რეალური შესაძლებლობა აქვს განკარგოს ეს ქონება საკუთარი შეხედულებით იმისდამიუხედავად მოახერხა თუ არა ამ შესაძლებლობის რეალიზება. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, გ. მ-ს მობილური ტელეფონი ხელში ეჭირა ქუჩაში გადაადგილებისას, გადამწყვეტია დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ ნივთის დაბრუნებაზე უარის თქმა, როდესაც გ. მ-მა დაზარალებულის მოწოდებაზე უპასუხა, რომ „ნივთი ჩემია, ყუთიც მე მაქვს და რას გააკეთებ, მიჩივლებო?“ „არ მაინტერესებს, არ გაძლევო“ – და აუჩქარებლად, დინჯად წავიდა.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „ისეთი შემთხვევა, როდესაც დამნაშავე ამა თუ იმ მოგონილი საბაბის მოშველიებით დაზარალებულის მოტყუებას იყენებს როგორც ხერხს ამ უკანასკნელის კუთვნილი ნივთის იმ მომენტისათვის ხელში ჩასაგდებად, რათა ამ გზით აშკარად დაეუფლოს მას დაზარალებულის მიერ მკაფიოდ გამოხატული ნების წინააღმდეგ, რომელიც მაშინვე ითხოვს იმწუთიერი მპყრობელისგან ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურებას ან გადაცემული ნივთის მისთვის უკან დაბრუნებას, ხოლო ნაცვლად ამისა, ნივთს დამნაშავე ადგილზევე ისაკუთრებს მართლსაწინააღმდეგოდ, უნდა დაკვალიფიცირდეს ძარცვად და არა თაღლითობად (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №566აპ-18).

30. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დ. ლ-ას, გ. მ-ს ჩვენებითაც) ცალსახად დასტურდება, რომ დაზარალებული თავიდანვე იყო ნივთის ღირებუ-

ლების მოგვიანებით გადახდის პირობით გადაცემის წინააღმდეგი, ბოლომდე მიჰყვებოდა ნივთს, არ დათანხმდა გ. მ-ს შემოთავაზებას, რომ დაბრუნებულიყო მაღაზიაში და გ. მ. მეგობრის მამასთან შეხვედრის შემდეგ თავად მიუტანდა აღნიშნულ თანხას, ითხოვდა ნივთის უკან დაბრუნებას ან ფულის გადახდას, იმავე დღეს აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, რომლითაც დ. ლ-ას მიადგა მატერიალური ზიანი – 850 ლარის ოდენობით, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საapელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 მაისის განაჩენში მსჯავრდებულ გ. მ-ს მიმართ უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

33. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამიტომ „სასჯელი ერთი მხრივ უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო მეორე მხრივ ....ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

34. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები (არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები), დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება (ნასამართლობის არმქონე), პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

35. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არ არსებობს მსჯავრდებულის მიმართ სსკ-ის 63 -ე და 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი და მიაჩნია, რომ გ. მ-ს მიმართ მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მინიმალური ზომის – თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, გამოყენება წარმოადგენს საკმარის ზომას მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ემუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანჟელა გეთიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;

4. გ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან; ასევე, სსკ-ის 62-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს 2018 წლის 11 თებერვლიდან იმავე წლის 27 ივნისის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის პერიოდი;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ გ. მ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გაუქმდეს მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების – 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით გირაოს უზრუნველსაყოფად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ივლისის განჩინებით, ნ. ზ-ს (დაბადებული ..., პირადი

№...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ. ...ში, საკადასტრო კოდი ...) პროპორციულ წილზე დადებული ყადაღა;

6. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი გ. მ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნივთები – მაჯის საათი, „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი, ჯეოსელის სიმბარათით და თანხა 2 (ორი) ლარისა და 20 (ოცი) თეთრის ოდენობით დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს; თ. ა-გან ამოღებული „iPhone 7“ ფირმის მობილური ტელეფონი და დ. ბ-გან ამოღებული „iPhone 7“ ფირმის მობილური ტელეფონის ყუთი დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს; გ. მ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ID ბარათი) დაუბრუნდეს მსჯავრდებულს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№337აპ-20 10 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შანიძის, მსჯავრდებულ რ. მ-ს და მისი ადვოკატების – გ. შ-სა და გ. გ-ს და მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატ ო. კ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს: ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ-

მა რამაზ შანიძემ, მსჯავრდებულმა რ. მ-მა და მისმა ადვოკატებმა – გ. შ-მ და გ. გ-მ და მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატმა ო. კ-მ.

2. პროკურორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენის შეცვლასა და რ. მ-სა და ვ. ვ-ს დამნაშავედ ცნობას მათთვის წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციით, ვინაიდან მიაჩნია, რომ უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულების მიერ ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით.

3. მსჯავრდებული რ. მ. და მისი ადვოკატები – გ. შ. და გ. გ. ითხოვენ, რ. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის უკანონო და ძირითადად ემყარება დაზარალებულ ბ. ბ-ს ჩვენებას, დაზარალებულისვე მონაწილეობით ჩატარებულ ამოცნობას და ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენისათვის სავალდებულო უტყუარობის სტანდარტს.

4. მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატი ო. კ. ითხოვს ვ. ვ-ს მიმართ განაჩენის შეცვლას და მისი ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირებას იმ მოტივით, რომ დანაშაულის ჩადენისას დაზარალებულ ბ. ბ-ს რ. მ-ს ხელში არ დაუნახავს და არც გამოძიებას ამოუღია თავდასხმის რაიმე სახის იარაღი და სასამართლოს ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური აღქმა.

5. ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით, ვ. ვ-ს (დაბადებულს 19... წლის ... ოქტომბერს) და რ. მ-ს (დაბადებულს 19... წლის .. ივნისს) ბრალი დაედოთ ყაჩაღობაში, ესე იგი თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2018 წლის 26 აგვისტოს, დაახლოებით 02:00 საათზე, ვ. ვ. და რ. მ. ჯგუფურად თავს დაესხნენ ... მდებარე სავალუტო ჯიხურს და ოპერატორს, ბ. ბ-ს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით გასტაცეს დიდი ოდენობით თანხა – 17800 ლარი და 850 ლარად ღირებული, „აიფონ 5 ს-ის“ მოდელის მობილური ტელეფონი.

6. ვ. ვ-ს და რ. მ-ს წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

7. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 მაისის განაჩენით:

– ვ. ვ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

– ვ. ვ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

– რ. მ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

– რ. მ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და სასჯელად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ვ-მ და რ. მ-მ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩაიდინეს ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

8. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა აკაკი მოქერიამ და მსჯავრდებულმა რ. მ-მ და მისმა ადვოკატებმა – გ. შ-მ და გ. გ-მ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 20 მაისის განაჩენში შევიდა ცვლილება:

– ვ. ვ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა;

– ვ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– რ. მ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გა-

მართლდა;

– რ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ვ-მ და რ. მ-მ ჯგუფურად ჩაიდინეს ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. მ-ს და მისი ადვოკატების – გ. შ-ს და გ. გ-ს და მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატ ო. კ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შანიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ რ. მ-ს და მისი ადვოკატების – გ. შ-ს და გ. გ-ს მტკიცებას რ. მ-ს უდანაშაულობის თაობაზე, ვინაიდან საწინააღმდეგო დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ დაზარალებულ ბ. ბ-ს ჩვენება არის თანმიმდევრული, დამაჯერებელი, დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით და აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, კერძოდ: დაზარალებულის ჩვენება თანხვდენილია სავალუტო ჯიხურის მიმდებარედ დასაქმებული, მოწმე შ. პ-ს ჩვენებასთან, რომელსაც თავდასხმის შემდეგ უმალვე მიმართა დასახმარებლად დაზარალებულმა; ტაქსის მძღოლის – მოწმე ნ. კ-ს ჩვენებასთან, რომელსაც შემთხვევის ღამეს სურდა უცხოური ვალუტის გადაცვლა და კარგად დაინახა სავალუტო ჯიხურში, შუშის მიღმა მყოფი ვ. ვ., რომელმაც ხელით ანიშნა, რომ ჯიხური არ მუშაობდა; პირის ამოცნობის ოქმებთან, რომლებითაც, ერთი მხრივ, დაზარალებულმა ბ. ბ-მ ამოიცნო რ. მ. და ვ. ვ., რომლებიც დაესხნენ მას თავს და გასტაცეს მობილური ტელეფონი და ფულადი თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, მოწმე ნ. კ-მ ამოიცნო ვ. ვ., რომელიც შემთხვევის დროს დაინახა სავალუტო ჯიხურში; დაზარალებულმა ბ. ბ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ასევე ამოიცნო და ამხილა ვ. ვ. და რ. მ. დანაშაულის ჩადენაში; ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან, რომლითაც დადგენილია, რომ ... მდებარე სავა-

ლუტო ჯიხურის შენობის მარცხენა მხარეს, საპირფარეშოს წინ, ხრეშიანი ზედაპირიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუში იდენტურია რ. მ-სგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა, ხოლო იმავე შენობის შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს, ხის დახლის ძირში, იატაკის ზედაპირიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუში იდენტურია ვ. ვ-სგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა. ამასთან, საყურადღებოა, რომ სასამართლოში მტკიცებულებების გამოკვლევისას არ დადგენილა რაიმე ისეთი მოტივი, რაც დაზარალებულის ჩვენებას საეჭვოს გახდიდა. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დეტალურად და ამომწურავად გასცა პასუხი აპელანტების არგუმენტებს ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლობასთან დაკავშირებით, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მოცემული მტკიცებულების საეჭვოდ მიჩნევის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძველი არ არის გამოკვეთილი. სასამართლოში გამოკვლეული ნივთმტკიცებებით (მინის ქილები სუნის ნიმუშებით), შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით (რომლის სისწორე და კანონთან შესაბამისობა დადგენილია მოწმეების – ა. გ-ს და გ. მ-ს ჩვენებებით) და მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – მ. ჩ-ს ჩვენებით (დაადასტურა ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილიდან სუნის კვალი აღებულ იქნა პროცესუალური მოთხოვნების დაცვით, არ დარღვეულა ნივთმტკიცების დალუქვისა და შეფუთვის წესი, არ არსებობს გონივრული საფუძველი მისი შესაძლო გამოცვლისა და ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასევე დაუსაბუთებელია ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნის იმთავითვე არასანდო მტკიცებულებად მიჩნევა, ამ ტიპის საექსპერტო კვლევებისადმი მხარის სკეპტიკური დამოკიდებულების გამო.

3. საკასაციო პალატა ასევე არ ეთანხმება მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატ ო. კ-ს მსჯელობას ვ. ვ-ს ქმედების არა ყაჩაღობად, არამედ ძარცვად დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულ ბ. ბ-ს თავდამსხმელთა ხელში იარაღი არ დაუნახავს, მუქარის შინაარსი – „ხმას თუ ამოიღებ, გესვრი!“, „წყნარად იყავი, გესვრი!“, „მობილურს არ უპასუხო, გესვრი!“ და შექმნილი ვითარება – რ. მ. თავდასხმისას ხელის ქურთუკისკენ მოძრაობით ქმნიდა შეიარაღებული თავდასხმის შთაბეჭდილებას – ცალსახად მიუთითებს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილ რეალურ საფრთხეზე. საკასაციო პალატას ბ. ბ-ს ჩვენებით დადასტურებულად მიაჩნია, რომ დაზარალებულმა ნამდვილად აღიქვა, რომ რ. მ. იყო შეიარაღებუ-

ლი და მისგან მომდინარე საფრთხე იყო რეალურად საშიში, რისი გათვალისწინებითაც, ვ. ვ-ს ქმედება, რომელშიც გამოკვეთილია დანაშაულის ჩადენისას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა, ცალსახად სცდება ძარცვის ფარგლებს და შეიცავს ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობისათვის სავალდებულო ნიშნებს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ივნისის №789ა3-18 განაჩენი).

4. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ სასამართლოში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები: დაზარალებულ ბ. ბ-ს, მოწმეების – შ. პ-სა და ნ. კ-ს ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ამოცნობის ოქმები, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ ამოღებული ვიდეოჩანაწერები, ოდოროლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ვ. ვ-ს და რ. მ-ს მიერ ჯგუფურად ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი, რისი საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებეული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან და, ამდენად, მსჯავრდებულ რ. მ-ს და მისი ადვოკატების – გ. შ-ს და გ. გ-ს მოთხოვნა რ. მ-ს უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატ ო. კ-ს მოთხოვნა მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ქმედების ძარცვად დაკვალიფიცირების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მსჯავრდებულების – ვ. ვ-სა და რ. მ-ს ქმედებებში არ არის გამოკვეთილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების განზრახვა, ვინაიდან საპირისპირო დასტურდება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების შედეგად, კერძოდ:

6. საქართველოს უზენაეს სასამართლოს დიდი პალატის მიერ განმარტებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კოდექსის XXV თავით გათვალისწინებული, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ დანაშაულთა ქმედების შემადგენლობებში, როგორიცაა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, გამოძალვა, მითვისება და გაფლანგვა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შე-

ძენა ან გასაღება, ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს მათი ჩადენა დიდი ოდენობით (მხედველობაშია საქართველოს სსკ-ის: 177-ე და 178-ე მუხლების მე-4 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტები, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, 181-ე მუხლის მე–2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, 182-ე მუხლისა და 185-ე მუხლის მე-3 ნაწილების „ბ“ ქვეპუნქტები, 186-ე მუხლის მე–2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) ანუ როდესაც ნივთის (დანაშაულის საგნის) ღირებულება აღემატება 10000 ლარს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება №236აპ-12 საქმეზე).

7. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა, რომ მსჯავრდებულების მიერ გატაცებული თანხის ოდენობა აღემატებოდა 10000 ლარს და აღნიშნავს, რომ სასამართლოს ზემომითითებული დასკვნა არის აშკარად დაუსაბუთებელი, არ არის გამყარებული კონკრეტული არგუმენტებით და შეუძლებელია მასში სასამართლოს მოტივაციის ამოკითხვა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი, ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც უტყუარად დგინდება ვ. ვ-ს და რ. მ-ს ქმედებებში დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების განზრახვა, კერძოდ:

8. სავალუტო ჯიხურის ოპერატორის – დაზარალებულ ბ. ბ-ს ჩვენებით, ცალსახად არის დადგენილი, რომ 2018 წლის 26 აგვისტოს სავალუტო ჯიხურზე თავდასხმის შედეგად რ. მ-მ და ვ. ვ-მ გასტაცეს ფულადი თანხა – 17800 ლარი და „აიფონ 5ს-ის“ მოდელის მობილური ტელეფონი. დაზარალებულმა დაადასტურა, რომ ვ. კ-სგან დილით, ცვლის გადაბარების დროს, დაითვალეს სავალუტო ჯიხურში არსებული თანხა, რომელიც დაახლოებით შეადგენდა 17800 ლარს, სხვადასხვა ვალუტაში, ხოლო თავდასხმის შემდეგ სალაროში დარჩენილი იყო მხოლოდ 10 ლარი.

9. საყურადღებოა, რომ დაზარალებულ ბ. ბ-ს ჩვენება სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია სანდოდ და დამაჯერებლად, რომლის საფუძველზეც უტყუარად დაადგინა ფაქტები და საფუძვლად დაუდო ვ. ვ-ს და რ. მ-ს მსჯავრდებას, მაგრამ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე არ გაიზიარა მისი მონათხრობი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, რაც არაგონივრულია და შესაძლოა, გამომდინარეობდეს მხოლოდ ამ მტკიცებულების ცალმხრივი და სუბიექტური შეფასებიდან.

10. დაზარალებულ ბ. ბ-ს ჩვენება დანაშაულის შედეგად მიყე-

ნებული ზიანის ოდენობასთან მიმართებით, იმ ობიექტის საქმიანობიდან გამომდინარე (სავალუტო ჯიხური), რომელზეც მოხდა თავდასხმა, არის სავსებით რეალური, დამაჯერებელი და დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: სავალუტო ჯიხურის მეორე ოპერატორმა, მოწმე ვ. კ-მ დაადასტურა, რომ შემთხვევის დილას ბ. ბ-ს გადააბარა ცვლა, რა დროსაც დაითვალეს ჯიხურში არსებული თანხა, რომელიც ჯამურად შეადგენდა დაახლოებით – 17800 ლარს, სხვადასხვა კუპიურაში; სავალუტო ჯიხურის მეწილეების – გ. კ-ს და რ. ვ-ს ჩვენებებით, რომელთაგან გ. კ-მ აღნიშნა, რომ დანაშაულის შედეგად სავალუტო ჯიხურიდან გატაცებული იყო – 17800 ლარამდე თანხა (მისი და რ. ვ-ს საერთო თანხა – 8500 ლარი, ცალკე მისი თანხა – 2400 ლარი, შ. ხ-ს თანხა – 3800 ან 3900 ლარი, ნ. ბ-ს (გ-ს) თანხა – 2900 ლარი), ხოლო რ. ვ-მ განმარტა, რომ გატაცებული იყო დაახლოებით 17800 ლარი. საყურადღებოა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და საკასაციო პალატასაც დადასტურებულად მიაჩნია მოწმეების – შ. ხ-სა და ნ. გ-ს გამოკითხვის ოქმებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, რომ სავალუტო ჯიხურის საქმიანობისათვის ბ. ბ-ს შ. ხ-მ გადასცა – 3800 ლარი, ხოლო ნ. გ-მ – 7000 თურქული ლირა (2980 ლარის ეკვივალენტი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ ვ. ვ-სა და რ. მ-ს ქმედებით დაზარალებულებისათვის მიყენებული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება კანონმდებლის მიერ დადგენილ დიდი ოდენობის – 10000 – ლარიან ნიშნულს.

11. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით ადასტურებს ვ. ვ-ს და რ. მ-ს მიერ ყაჩაღობის ჩადენას, მაკვალიფიცირებელ გარემოებებში – ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და ვ. ვ. და რ. მ. ცნობილ უნდა იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენაში.

12. საკასაციო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულთა პიროვნულ მახასიათებლებს (ხასიათდებიან დადებითად), მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს (ჩადენილია მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე, გან-

საკუთრებით მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული), რომლის სანქციაც სასჯელის სახით ითვალისწინებს რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რისი გათვალისწინებითაც, ვ. ვ-სა და რ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროთ 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეთა რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ რ. მ-სა და მისი ადვოკატების – გ. შ-სა და გ. გ-ს და მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატ ო. კ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შანიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

4. ვ. ვ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. ვ. ვ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

6. რ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. რ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს 2018 წლის 2 სექტემბრიდან.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 28 იანვრის განაჩენი სხვა ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

ქურდული სამყაროს წევრობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№120ა3-20 28 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – რამაზ შავაძის, მსჯავრდებულების – ბ. ქ-სა და გ. შ-ს ადვოკატ ზ. პ-სა და მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატ ბ. ბ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსმა პროკურორმა რამაზ შავაძემ, რომელიც ითხოვს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, ბ. ქ-ს, რ. კ-ს და გ. შ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილ ქმედებებში და მათთვის მკაცრი სასჯელების განსაზღვრას; მსჯავრდებულების – ბ. ქ-ს და გ. შ-ს ადვოკატმა ზ. პ-მ, რომელიც ითხოვს ბ. ქ-სა და გ. შ-ს უდანაშაულოდ ცნობას და მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატმა ბ. ბ-მ, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულების გამართლებას.

2. ბ. ქ-ს, – დაბადებულს 19... წლის .. სექტემბერს, – ბრალი დაედო: „ქურდული სამყაროს“ წევრობაში; გამოძალვაში, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნაში, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებისა და მისი სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები, ჯგუფურად, დიდი ოდენობით და ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგ-

რამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჯგუფურად.

რ. კ-ს, – დაბადებულს 19... წლის .. აპრილს, – ბრალი დაედო: „ქურდული სამყაროს“ წევრობაში; გამოძალვაში, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნაში, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებისა და მისი სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები, ჯგუფურად, დიდი ოდენობით და ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჯგუფურად.

გ. შ-ს, – დაბადებულს 19... წლის .. მარტს, – ბრალი დაედო: „ქურდული სამყაროს“ წევრობაში; გამოძალვაში, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნაში, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებისა და მისი სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები, ჯგუფურად, დიდი ოდენობით და ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჯგუფურად.

ბ. ქ-ს, რ. კ-ს და გ. შ-ს მიმართ ბრალად წარდგენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– ბ. ქ, რ. კ. და გ. შ. არიან „ქურდული სამყაროს“ წევრები, რომლებიც აღიარებენ „ქურდულ სამყაროს“ და აქტიური მოქმედებით „ქურდული სამყაროს“ მიზნების განსახორციელებლად აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად, რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, დანაშაულის ჩადენით და დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით „ქურდული სამყაროს“ წევრებისათვის სარგებლის მიღება, ქ. ბ-ში აქტიურად მონაწილეობდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში.

– „ქურდული სამყაროს“ წევრები – გ. შ და რ. კ. 2018 წლის 29 იანვარს, ღამის საათებში, იმყოფებოდნენ ... ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ცენტრ „პ-ს“ ტერიტორიაზე, სადაც შემთხვევით შეხვდნენ თავიანთ ნაცნობ კ. კ-ს, რომელიც ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულეს, რომ ნარკოტიკული საშუალების ყიდვა-გაყიდვა და ამ გზით მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად, საქმის გარჩევის მიზნით, ბ. ქ-სთან გაჰყოლოდა. აღნიშნულიდან რამდენიმე წუთში, „ქურდული სამყაროს“ წევრებმა – გ. შ-მ და რ. კ-მ, კ. კ-სთან ერთად, ... სახელმწიფო ნომრის ავტომანქანით, რომელსაც მართავდა კ. კ., ..., ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიაკითხეს ბ. ქ-ს, რომელიც „ქურდული სამყაროს“ წევრე-

ბის გავლენისა და ძალაუფლების გამოყენების მიზნით, მათ ავტომანქანის წინა, მარჯვენა სავარძელში ჩაუჯდა და გააგრძელეს გზა ... მდებარე ჭადრაკის სახლ „კ-მდე“, სადაც, მათივე მოთხოვნით, კ. კ-მ ავტომანქანა გააჩერა ჭადრაკის სახლის უკან. ავტომანქანის გაჩერების შემდეგ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდასაჭერად, თავისთვის და ქურდული სამყაროსთვის სარგებლისა და უპირატესობის მიღების მიზნით, ბ. ქ-მ, გ. შ-მ და რ. კ-მ, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ კ. კ-სგან თანხის გამოძალვა, დიდი ოდენობით თანხის გადაცემის მოთხოვნით გააგრძელეს მის მიმართ ძალადობა და სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა. იმავდროულად, სამივე მათგანი ჯგუფურად ძალადობდა, რაც გამოიხატებოდა კ. კ-ზე სახისა და თავის არეში ხელების არაერთჯერად დარტყმაში და ამ გზით აიძულებდნენ თავდაპირველად 3000 ლარის, ხოლო საბოლოოდ, ეტაპობრივად – 20000 ლარის გადახდას, მათთვის, როგორც „ქურდული სამყაროს“ წევრებისათვის, ამავე სამყაროს წესების შესაბამისად, რომლის ნაწილს „ქურდული სამყაროს“ ე.წ. „საწევროში“ ჩასარიცხად „კანონიერ ქურდებთან“ მიიტანდნენ.

3. ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს წარედგინათ ბრალდებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განაჩენით:

ბ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– ბ. ქ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითება, როგორც ზედმეტად წარდგენილი;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ბ. ქ-ს სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ ბ. ქ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2018 წლის 17 ივლისიდან.

რ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– რ. კ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითება, როგორც ზედმეტად წარდგენილი;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. კ-ს სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ რ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2018 წლის 17 ივლისიდან.

გ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– გ. შ-ს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითება, როგორც ზედმეტად წარდგენილი;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ერთმა სასჯელმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. შ-ს სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ გ. შ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2018 წლის 17 ივლისიდან.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსმა პროკურორმა რამაზ შავაძემ, რომელიც ითხოვდა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილ ქმედებებში და მათთვის მკაცრი სასჯელების განსაზღვრას; მსჯავრდებულ ბ. ქ-ს ადვოკატებმა – ზ. პ-მ და ი. მ, მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატმა ბ. ბ-მ და მსჯავრდებულ გ. შ-ს ადვოკატმა დ. ჯ-მ, რომლებიც ითხოვდნენ მსჯავრდებულების უდანაშაულოდ ცნობას.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენით სახელმწიფო

ბრალმდებლის – რამაზ შავაძის, მსჯავრდებულ ბ. ქ-ს ინტერესების დამცველების, ადვოკატების – ზ. პ-ს და ი-ს, მსჯავრდებულ რ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ბ-სა და მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

– ბ. ქ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

ბ. ქ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ბ. ქ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

რ. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით რ. კ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

გ. შ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით გ. შ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ბ. ქ-სა და გ. შ-ს ადვოკატ ზ. პ-სა და მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატ ბ. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფლდეს, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – რამაზ შავაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმად, სასამართლოში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (დაზარალებულ კ. კ-ს 2018 წლის 15 იანვრის ჩვენება, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, მოწმეების: ნ. მ-ს, გ. გ-ს და ე. კ-ს ჩვენებები, ბ. ქ-ს ტელეფონიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერი, ჰაბიტოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის №... და ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... და №. დასკვნები), რომელთა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ბ. ქ-მ, რ. კ-მ და გ. შ-მ ჩაიდინეს ჯგუფურად და დიდი ოდენობით გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის გადაცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენებისა და მისი სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები და ასევე – ჯგუფურად ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი და, შესაბამისად, მათი მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“

ქვეპუნქტით არის კანონიერი. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენაში ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს მსჯავრდებისას სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არასრულფასოვნად შეაფასა, ვინაიდან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მსჯავრდებულების მიერ ბრალად შერაცხული ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენა. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების – ბ. ქ-სა და გ. შ-ს ადვოკატ ზ. პ-სა და მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატ ბ. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდების ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას შეაჩერებს ბრალდების მხარის მიერ სადავოდ გამხდარ საკითხზე, შეაფასებს სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივ მხარეს და განმარტავს, შესაძლებელია თუ არა ამ მტკიცებულებების საფუძველზე ფაქტების უტყუარად დადგენა და რამდენად იძლევა მათი ერთობლიობა ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს „ქურდული სამყაროს“ წევრობაში გონივრულ ეჭვს მიღმა მსჯავრდების შესაძლებლობას.

4. კანონმდებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ'' საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ქურდული სამყარო“ არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც შეთანხმებულია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა – „ქურდული სამყაროს“ წევრის/„კანონიერი ქურდის“ საქმიანობა, განხორციელებული დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, „ქურდული შეკრებით“/„ქურდული გარჩევით“, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინალური გავლენის გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით, რომლის მიზანია თავისთვის ან სხვისთვის სარგებლის ან უპირატესობის მიღება, ძალაუფლების ან/და გავლენის მოპოვება/მინიჭება.

5. „ქურდული სამყაროს“ წევრის განსაზღვრება მოცემულია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის თანახმადაც, „ქურდული სამყაროს“ წევრი არის პირი, რომელიც აღიარებს „ქურ-

დულ სამყაროს“ და აქტიურად მონაწილეობს მის საქმიანობაში, აგრეთვე პირი, რომელიც აღიარებს „ქურდულ სამყაროს“, კავშირი აქვს მასთან და სახეზეა აშკარად გამოხატული ნიშნების ერთობლიობა, რომ პირი თავისი ქმედებით გამოხატავს მზადყოფნას „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში მონაწილეობისთვის. ობიექტური მხრივ, „ქურდული სამყაროს“ წევრობა გამოხატულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი აღიარებს „ქურდულ სამყაროს“ და აქტიურად მოქმედებს ამ სამყაროს მიზნების მისაღწევად. აქტიურ მოქმედებაში იგულისხმება: დაშინება, მუქარა, იძულება, „ქურდული გარჩევა“, დანაშაულის ჩადენა, პირების გამოძებნა დანაშაულის ჩასადენად და მათი წაქეზება დანაშაულის ჩადენისკენ, იმ ობიექტის მოძიება, საიდანაც შეიძლება ქონების ამოღება. დანაშაული დამთავრებულია „ქურდული სამყაროს“ აღიარებასთან ერთად, კონკრეტული ქმედების ჩადენისთანავე და მნიშვნელობა არა აქვს, მიაღწია თუ არა „ქურდული სამყაროს“ წევრმა დასახულ მიზანს. სუბიექტური მხრივ, აუცილებელია „ქურდული სამყაროს“ წევრის მოქმედება მიმართული იყოს „ქურდული სამყაროს“ წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღებისკენ.

6. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე: „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ შენიშნა, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობა, დანაშაული, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 223(1)-ე მუხლით, მჭიდროდ არის დაკავშირებული „კანონიერ ქურდად“ ყოფნის დანაშაულთან. ეს უკანასკნელი სისხლისსამართლებრივად იდევნება იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფით. ორივე ასახავს კარგად ცნობილ ორგანიზებულ დანაშაულს, რომლის მიმართაც საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 20 დეკემბერს მიიღო ფართო საკანონმდებლო პაკეტი, რათა გაძლიერებულიყო ბრძოლა ამგვარი დანაშაულებრივი სინდიკატების წინააღმდეგ. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ – Ashlarba v Georgia №45554/08, 15/07/2014, § 29).

7. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარად ვერ დადგინდა მსჯავრდებულების: ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს ქმედებებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ ბ. ქ., რ. კ. და გ. შ. არიან „ქურდული სამყაროს“ წევრები და საწინააღმდეგო მტკიცება არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკი-

ცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

8. „კომპიუტერული სისტემიდან/კავშირგამბულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ოქმი №...ის თანახმად, 2018 წლის 9 მაისიდან 2018 წლის 9 ივნისამდე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება და ბ. ქ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონიდან პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) მოხდა ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაცია.

9. ბ. ქ-ს ტელეფონიდან გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერით (...) დასტურდება, რომ ჩანაწერში მოქმედება მიმდინარეობს ღამით ავტომანქანაში. ისმის მამაკაცების ხმა, რომლებიც მიმართავენ საჭესთან მჯდომ კ. კ-ს: „გაუშვი, რომ დაჭიკჭიკებ, შენ ყიდი „წამალს“, მაგი თქვი! პირდაპირ, ახლა, ამ წუთასვე, ჩემი დედას შ-ი, თუ გაგითვალისწინო რ-ა, შენაც ძმაო, არ გაგიტყდეს!“... ავტომანქანაში მყოფი ერთ-ერთი პირის მითითებით, კ. კ. აჩერებს ავტომანქანას, რომლის შეჩერებისთანავე ისმის საუბარი: „შენ მომისმინე ახლა! აჭიკჭიკდი ყველაფერი, რამდენ ტყუილსაც იტყვი, ჩემი დედა მ-ნ, იმდენი მუშტი მოგხვდება, გაიგე? ტყუილში დაგიჭერ, მე ხომ იცი ყველაფერი ვიცი?! მე ვიყო ბ-ი თუ ბ-ა და რ-ა ერთ სიტყვაში მოგატყუილებინო. ყ-ზე მკიდია! „დავაი“ დაიწყე ახლა მეოთხედები რომ მოგქონდა.“ ... „ჰო, ჩემ ყ-ს მიხვალ ახლა „საძაღლეში, „ბარიგა“ ხარ!“ ... „დავაი თქვი ახლა რა ხდება? რა ხდება, „დავაი“, თქვი მეოთხედები საიდან მოგქონდა, რა მოგქონდა, შენ ყიდდი? დავაი ისაუბრე! ... „აი მით უფრო არ შეგიწყალებ. ჩემი დედა მ-ნ, ჯერ ბიჭო, მე როგორ მყიდდი მაგ დედა მ-ლ წამალს?! მაი მაგიდან გაქვს შენ წამოღებული 5-6.“ „არ უნდა ბიჭო ამდენი! კონკრეტული კითხვა დაუსვი და პასუხი გაგცეს.“ „დავაი, დავაი!“ „რამდენი ხანია ყიდი?“ „თვეზე მეტია, ორი თვეა ყიდი, ორი თვეა ყიდი, შენ მ-ნ შეენი!“ „არა ერთი თვეა.“ „რამე გაგიჭირდა თუ პროსტა დაგევასა, იფიქრე ფულს ვიშოვიო?!“ „რამდენს ამატებდი მაგი, რომ გაძლევდა?“ „30 ლარს.“ „ბ-ს გაზრდილი ვიყო, 30-ად ვატანო და 60-ად აძლევდა იმას და პლუს მეოთხედებს...“ ... „რას ელაპარაკები ბიჭო!“ „თავში, თავში, მოკალი.“ კადრში ჩანს, როგორ გამეტებით სცემენ ავტომანქანის მძღოლს (კ. კ-ს) ავტომანქანის უკანა სავარძელზე მყოფი პირები. იმავდროულად ერთ-ერთი პირი მობილური ტელეფონით იღებს ვიდეოს ისე, რომ კადრში მხოლოდ კ. კ. ჩანს, დანარჩენების სახეები ჩანაწერში არ ფიქსირდება. კ. კ-ს ცემის დროს ისევ ისმის მამაკაცების ხმა: „დანა სადაა? დანით!“ „დანა არ გინდა, კაი არ გინდა დანა, დანა არ გინდა, შენი დედას შ-ი, ხმა ამოიღე!“ „თავი

უნდა გაუტეხო!“ „არ მეცოდები! შენ მე რომ მომატყუე, მე შენ გეძ-
მაკაცებოდი, მაგიტომ არ მეცოდები.“ ... „თუ გ-ი, ყ-ს მომჭამენ აგერ
გეუბნები, დედას მ-ვ, „დავაი“, ილაპარაკე, „წამალს“ რამდენში
ყიდდი? შენი იყო? ვისი იყო? შენი წამალი იყო? თქვი შენი დედას შ-
ი, ნუ დამღალე ბიჭო!“ მამაკაცები განაგრძობენ კ. კ-ს ცემას, აიძუ-
ლებენ თქვას, ვისგან და რა ფასად ყიდულობდა „წამალს“... „... აი
კიდევ რას თ-ა შეხედე! ვითომ რომ არ დამწვარიყო, მეოთხედს
კიდევ შუაზე ყოფდა და იმას 65-ში ყიდდა.“ „იქ აგერ კიდევ „პა
ხოდუ“, მიაფხიკავდა, მოაფხიკავდა.“ ... „ოი, შენ მ-ნ შენი ყველა-
ფერი, „დავაი, ილაპარაკე! სამი თვეა წამალს ყიდულობ!“ „დავჩე-
ხოთ?“ „ფული სად გიდევს? მადროვე, რად მინდა, ამას ისედაც დე-
და აქვს მ-ი! მე შენ შარს არ განახებ, ჩემი დედა მ-ნ! მე უნდა მ-ა
ამას, რომ მ-და ერთი თვეა, პატრონი! მომისმინე ბიჭო!“ „ფული რამ-
დენი გაქვს?“ „რამდენი გაქვს შე დედა მ-ო და სად გიდევს? ფული
არ მაქვს, არ თქვა თორემ იარაღი, ჩემი დედა მ-ნ, ტყვია შეწკეპი-
ლია, კარგად იარაღსაც ვერ ვფლობ, შეიძლება გამივარდეს და მაი
ტვინი გაგასხმევინო, გესმის? დედა მ-ო, თქვი ფული სად გიდევს,
რა გიდევს? შენ აქედან ვერ წახვალ! შენ ჯერ ფულს მ-ვ დღესვე,
ახლა, აქანე, დედას მ-ვ. მერე კიდე წაგვიყვან საცხა წამალს ყიდუ-
ლობდი იგენზე დედას მ-ბ, რასაც გეტყვი!“ „და მერე კიდე მეორე
პარტიას მოიტან.“ „მეორე პარტიასაც მოიტან, წამალს წამლად,
ფულს ფულად, დედას მ-ვ, კ., გაიგე? იმიტომ რომ ხარ თ-ი, შენ
ჩემი ძმაკაცობა ხომ ვერ დეინახე და მე ხომ მ-დი, ბ-ა ქ-ს მე შარს
არ ვანახებ, ჩემი დედა მ-ნ! სახლიდან მე გამოვიყვანე. დედას მ-ვ
მე, ბიჭო, ჩემი დედას შ-ი! ხომ მიცნობ კარგად, დავაი ეხლა თქვი
რამდენი გაქვს ფული, სად გაქვს, როგორ გაქვს, არც რ-ს ვანახებ
შარს, „დავაი“ თქვი! გეუბნები შეწკეპილი მაქვს იარაღი, რომ გეს-
როლო.“ „ვიცი, ვიცი ძმაო!“ „იმის დედას შ-ი, დაგადებ აქანე და გა-
ვივლი, წავალ. ... შენ მომისმინე ბიჭო, აზრზე მოდი, ხალხი წყობი-
დან ნუ გამოგყავს, შე ყ-ო შენ! ხალხს საქმე აქვს, ბიჭო! გესმის
ბიჭო? აზრზე მოდი! „მათქმევინე რიჟა, ჰო!“ „რამდენი გაქვს მ-ი?“
„ამ წუთას მაქვს 200 ლარი.“ „როგოორ?“ ... „შე მ-ნ დედის მ-ი!“ „რამ-
დენი? შენ შ-გ ხომ არ გაქვს?“ „ამ წუთას-მეთქი, ჰოდა მოგიტანთ
რა“ ... „ჩვენთან ერთად წახვალ, რამდენიმე ადგილს მიადგები, ბი-
ჭებს ფულს ჩაგვიდებ „კაროჩე“, მინიმუმ ერთ 3000 ლარს ახლავე
იშოვი, 1000-1000 ლარი ჩევიდოთ ამ წუთას.“ „დანარჩენს...“ „მერე
გეტყვით ვადას „კაროჩე“ და ამ ორ დღეში მეიტან და ჩვენში დარ-
ჩება ეს ყველაფერი და გააგრძელებ და მერე შეიმჩნევი სადმე „წამ-
ლის“ გაყიდვაში, ჩემი დედას შ-ი, კ. თუ ყველაფერი არ დაკარგო
რა! მაგას მე გპირდები, დღეიდან. ჩვენ ახლა 3000 ლარს მოგვიტან
1000-1000 ლარი რომ ჩევიდოთ, მერე დაგაკისრებთ მეორე ვადაზე

ფულს, იმას მეიტან, ცხოვრებაში არავისზე პატივი არ გიცია, პირიქით, აქედან გცემდნენ პატივს.“ ... „არ იცოდი ძმაკაცი, არ იცოდი ქურდები, შენნაირი ხალხი ბიჭო „ვაბშე“ არც უნდა არსებობდეს, „დასაბრედი“ ხარ, მაგრამ ნუ „კაროჩე“, არ გკლავთ იმიტომ რომ ჩვენ რაფერ შევიქმნათ შენს გამო პრობლემა? ყ-ზე გვკიდიხარ და...“ „მე არ შეგაქმნევინებ, ძმა!“ „ისიც იმიტომ, რომ ჯერ-ჯერობით თუ გააკეთებ, მაგრამ თუ არ გააკეთებ მაგასაც ვიზამთ, იცოდე!“ „თუ არ გააკეთა, ამის დედას არ შ-ი, დავბრიდავთ! 3000 ლარი ახლა რომ გაასწოროს, გეიგე? ახლა ერთი 1000-1000 ლარი ჩაგვიდოს ჯიბეში, შენ გაქვს მაი ფული, თუ არ გაქვს მიადგები იმფერ კაცს, მოგცემს და დანარჩენს დაგაკისრებთ კაროჩე ქურდულ ფულს, მოიტან ამ ფულიდან ქურდებსაც შეხვდება ფული, ჩვენც შეგვხდება კაროჩე საკაიფოდ.“ „და სახელი შეგრჩება.“ „სახელი დაგრჩება, ისევ იგივე კ. იქნები იმუშავებ პატიოსნად“. „მეიტან იმას, ამას, ყველას პატივი გვეცი.“ „200 ლარი მიდევს დედის საფლავს ვფიცავარ, ვამბობ სამი დღე და მადროვეთ ძმაო, სამი დღე მადროვეთ და მევიტან. არა მაქვს.“ „რამდენს მეიტან?“ „სამს.“ „სამი ცოტაა“ „ახლა შენ 3000-ს მეიტან ყველა პონტში დღეს, შენ აქედან უფულოდ არ წახვალ.“ „მომისმინე! შენ აქედან უფულოდ არ წახვალ, ორ დღეში სადაცა თქვი მოვიტანო, შენ ყ-ა, ახლა მოიტან. მომისმინე ახლა კარგად! ჩემი დედა მ-ნ, შენ თუ მე ახლა აქედან უფულოდ გაგიშვა. სამს მოიტან შენ ახლა დღესვე და კიდევ ფული, ნუ მაცოდებ თავს, შენი კაცობის დედას შ-ი.“ „რიჟა არ გაცოდებ.“... „ეხლა უნდა ვთხარო ამის დედას!“ „შენ რატომ ხარ თ-ი იცი? „სროკზეც ნამყოფი ხარ, ყველაფერში ჩახედული ხარ, ჩვენთან ძმაკაცობდი, გვიყენებდი, თ-ი, თ-ა და გ-ი ამხელა მასას. ჯერ რამდენი მ-ს პატრონს აი რომ გაიგონ, რამდენს. შვილები, გოგოები გეზრდება, ბიჭო! თ-ი მამის შვილიო, მაგი უნდა ათქმევინო? იმ ანგელოზივით გოგოებს?“ „წესიერი ძმა ყავს, მისმა ძმამ რომ გაიგოს, ამას მ-ს.“ „ანგელოზივით გოგოებს რატომ უნგრევ ცხოვრებას. გეკითხები?“ „ამას გეიგებს მთელი მსოფლიო.“ „შენმა ძმამ რომ გეიგოს.“ „აგერ მაქვს ჩაწერილი, რამე გადაცდომა და შენ „ძაღლებთან“ მიხვიდე ძმა, აგერაა ყველაფერი. სადმე მიხვალ მთელი ქალაქი გაიგებს.“ ... „მე გეუბნები, „ჩისტა“ რომ არ გცოდნოდა კ., ჩახედული რომ არ ყოფილიყავი „წამლის“ თემაში, ძმაკაცობაში, სისტემაში არ ყოფილიყავი, არ გეტყოდი რამეს.“ „სანამ არ იტყვი, რომ ახლავე, მე ერთ ადგილას მივალ და 3000 ლარს წამევიღებ, იმდენი ხანი უნდა გირტყათ რა, ესაა პასუხი.“ „დევიწყებ ძმა.“ „დევიწყებ ახლავე. 3000 ლარს. ახლა მანქანით მივალთ, ტელეფონს გამოიტან, დაალომბარდებ, არ ვიცი 3000 ლარს მოიტან.“ ... „მოიცა, არას იტყვის დოუშვით ეგრევე! რამდენს არას იტყვის, იმდენი ხანი დაუშვით და ბოლოს დავ-

ჩეხოთ!“ „რ!“ „ჰო, რ! გისმენ რ., რა იყო?“ „სამ დღეში მევიტან“. „აი, სამ დღეში! რამდენ დღეში მეიტან ბიჭო? დღეს გეუბნები!“ ამავ-დროულად კადრში ჩანს, როგორ ურტყამენ თავში კ. კ-ს. „რ-, 200 ლარზე მეტი არ მაქვს.“ „.. რომ დაგითრიე, ... იქ ადგილზე რატომ არ მითხარი?“ „რ-ს რატომ არ უთხარი?“ „რატომ არ მითხარი, რომ რ., ბიჭო, ესეთ მ-ში ვარ, სიმონ, ესეთ მ-ში ვარ. თან გითხარი სიმონ, რომ დაგიჯინე მანქანაში, ეხლა წავალთ ბ-სთან სიმონ, ბ. ჩამოვა, ბ-სთან ნალაპარაკები მქონდა ეს თემა, რომ ესეთი თემაა, სიმონ.“ „ამან გამომიგზავნა რიჟა და შენზე მიხსნიდა, რომ კაი კაცია და...“ „კაი კაცია და მოვასუფთავოთ და ეხლა, მე როგორ სიტუაციაში ჩამაყენე, ჩემი შინაურია, ჩემი ისაა და თურმე „ბარიგა“ ყოფილ-ხარ, შენი კეთილები მ-ნ.“ ამავდროულად კადრში ჩანს, როგორ სცე-მენ კ. კ-ს. „კაი, კაი, გეყოფიან, არ დაარტყათ რა! ბიჭო ხმა ამოიღე, ვინმეს ტირილით ვერ შეაშინებ, ტყუილა გეუბნები, ჩემი დედა მ-ნ, აგენს შარს არ ვანახებ ახლა მ-ვ პატრონს! ხმა ამოიღე, შენი დედას შ-ი!“ „200 ლარზე მეტი არ მაქვს.“ „200 ლარი გეითხარე ტ-ში“ 200 ლარი შენ გაქვს ახლა, მაგრამ საცხა, დაურეკე ვიღაც-ვიღაცეებს, მოგცემენ. სესხებაც არ გინდა ფულის?“ „არ მაქვს პრასვეტი, ხომ იცი რიჟა? სამ დღეში მევიტან.“ ამავდროულად კადრში ჩანს, რო-გორ სცემენ კ. კ-ს. „რა არ გაქვს, მე რა ვიცი შე დედა მ-ო, ერთი თვეა, სამი თვეა „წამალს“ ყიდი. ... მთელ ქალაქს, მთელ ბ–ზე გაქვს „წამალი“ მინაყიდი, შენი დედა მ-ნ!...“ ამავდროულად კადრში ჩანს, როგორ ურტყამენ სილას სახეში კ. კ-ს. „შენი დედას შ-ი მე! გესმის თუ არა, აზრზე მოდი ბიჭო! აგენს თუ შარი ვანახო, ჩემი დედა მ-ნ! “ ... „შენ მ-ვ ყველაფერს ბიჭო! შენ ვერ გიცნივარ!“ „რაის ფული არა გაქვს?“ „,,დავაი“ ფული მ-ი!“ „ნუ ტირიხარ, შენი დედას შ-ი, მე ბა-რიგის ..., შენი დედას შ-ი.“ „შენი და ბოზების ცრემლი ერთი ყ-ა ჩვენთვის.“ „მევიტან სამ დღეში, ვერ ვიშოვი რიჟა.“ „რას ვერ იშო-ვი?! დაიცა, სამ დღეში საიდან?“ „ერთი ტექსტია, ახლა გოუვიდა იმას და ჰგონია ამასაც.“ „სამ დღში...“ კადრში ჩანს, როგორ სცემენ ისევ კ. კ-ს. „იმას იცი რაიზა გოუვიდა?“ „შენ ვერ ურტყამ მაგას კარგად, გამო! გამო!“ „იმას დოუნახე, გოუვიდა და გგონია, შენც გაგივა?! იგი ავადაა და შენ ავად ხომ არა ხარ? შენ დედა გაქვს მ-ი ბიჭო შენ აქედან ვერ გახვალ!“ „სამ დღში მევიტან, ვიშოვი რამეს.“ „კარგად არ მოგხვდა!“ ... „... სამი თვე აი ბიზნესი გაქვს ნაკეთები, ჩათვალე „ბარიგა“ ხარ შენც. შენ ნაკლები ხარ? შე დედა მ-ო, ნა-შოვნი გაქვს ერთი 50000 და 3000-ს გეუბნები დღეს შენი დედას შ-ი და ის გენანება ბიჭო?“ ამავდროულად კადრში ჩანს, როგორ სცე-მენ ისევ კ. კ-ს. „შენ მ-ვ ყველაფერს, გეუბნები ნუ მატირებ თავზე აქანე და ცოდვებს ნუ მადენინებ, ჩემი დედა მ-ნ, გეუბნები აზრზე მოდი!“ „რიჟა, სამი დღე მადროვეთ და მოვიტან, რიჟა! არ მაქვს

ჩემი დედა მ-ნ.“ „სად მიგქონდა ეს ფული, შენი დედა მ-ნ?“ „იხარ-ჯებოდა.“ „რაში ხარჯავდი?“ „მომისმინე, ახლა დღეს, 12 საათამ-დე რომ გაცალოთ, 3000-ს მოიტან?“ „დღეს ვერ მოვიტან.“ „დღეს მოიტან?“ „ხვალ მოვიტან ერთ 2-ს...“ „ახლა, დღეს წადი, გამოძრავ-დი, ფული ისესხე.“ ... „საიდან მეიტანს?“ „საიდან მეიტანს? საიდან იშოვის ბიჭო? უცებ დაყიდის და ააგროვებს ფულს, საიდან უნდა იშოვოს?“ „სა მაქვს? რას გავყიდი რიჟა?“ ... „შენ თუ სამ დღში გინ-და 2500, მაშინ იცი რას ვიზავ? სამ დღში 2500-ს მოგცემ და ყოველ სამ დღეში 2500-ს მოგთხოვთ, სანამ არ აათავებ 20-ს, გაწყობს? 20 აათავე, ყოველ სამ დღეში 2500 მოგვიტანე, გაწყობს?“ ... „ვერ ვი-შოვი, საიდან ვიშოვი?“ „20-ს ვერ იშოვი? მაშინ დღეს 3 მეიტანე და ნელ-ნელა მეიტან კიდევ და 10-მდე გავჩერდებით, რა. 5 იმას 10 შენ. იმას 5-ს იცი რატომ ვთხოვთ? იმას 7-ს ვთხოვთ, ჰო? 2 ახლა და 5 მერე. იმას იმიტომ ვთხოვთ 7-ს, რომ იგი რაცხას ყვებოდა, მარ-თლა მასე იყო და შენ ბიჭო, ჩემი ნათლულია რიჟა შე ყ-ო და გამო-ტანილ წამალს იმას უკეთებსი! ამას რომ რამე სჭირდეს, შენ ღვიძლს გაჭმევ შენივე ხელებით შე ყ-ო... ეს ბიჭო მართლა დასაჭრელია ამის დედას შ-ი! რას ელაპარაკები, ბიჭო, ჰა?! ესროლე ფეხში! ფეხში ესროლე! მანქანაში გლიჯე ფეხში!“ „ჩამო ძირს!“ „ფეხში გლიჯე! ამის დედას შ-ი! გლიჯე ფეხში“ „მე ვესვრი, შენ რატომ უნდა ესრო-ლო! მომე აგერ!“ „გლიჯე ფეხში ამის დედას შ-ი!“ „შეწკეპილია ბი-ჭო!“ „ჰო, ვიცი რომ შეწკეპილია.“ „გლიჯე ფეხში! ესროლე ფეხში, ამის დედას შ-ი.“ კადრში ჩანს, როგორ იხსნის კ. კ. ღვედს და გადა-დის მანქანიდან. კადრში ჩანს მანქანის ფარების შუქზე ტყისკენ მიმავალი კ. კ და სამი პირი. ისევ ისმის მამაკაცების ხმა: ... „შენ ხარ „ბარიგა“ რომ იცოდე! ჩემ ყ-ს წახვალ სადმე. ყველაფერი ჩაწერი-ლია, ბ-ი ვიყო! ეს ხომ გაგიბაზრდება?! აი ვიდეო გაუბაზრდება მთელ ქალაქში, ამის დედას შ-ი! „კაროჩე“ ჩემ ყ-ს იჩივლებ სიმონ, იმი-ტომ რომ ჩაწერილი მაქვს ყველაფერი, „ვსიო“!“

10. მოწმის სახით დაკითხულმა ნ. მ-მ (გამომძიებელი) დაადას-ტურა მის მიერ/მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/ საპროცესო მოქმედების სისწორე და კანონთან შესაბამისობა და განმარტა, რომ გამოძიებისას მან დაათვალიერა ბ. ქ-ს ტელეფონი-დან გამოთხოვილი ვიდეოფაილი, სადაც ნახა, რომ ბ. ქ. სხვა პირებ-თან ერთად ფულს სძალავდა მოქალაქეს, რომელიც მის მიერ მო-პოვებული ინფორმაციით აღმოჩნდა – კ. კ.

11. ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანა-წერზე ჩატარებული ჰაბიტოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური ექ-სპერტიზის №.. დასკვნით (დადასტურებულია სასამართლოში მოწ-მის სახით დაკითხული ექსპერტის – გ. გ-ს მიერ) დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ფოტოსურათებს მონტაჟის კვალი

არ აღენიშნებათ;

გამოკვლევაზე წარმოდგენილ ვიდეოგრამებში, კერძოდ, „...“-დან ამოღებულ ფოტოსურათსა და კ. კ-ს ფოტოსურათზე დაფიქსირებულია ერთი და იმავე პირის იერსახის გამოსახულება.

12. ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით (დადასტურებულია სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – ე. კ-ს მიერ) დგინდება, რომ:

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №.... არ წარმოადგენს მონტაჟს;

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №... არ წარმოადგენს მონტაჟს;

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები, კერძოდ: 2018 წლის 29 ივნისს ბ-ის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ბ. ქ-სა და რ. კ-ს საქმის განხილვის სხდომის ოქმების ჩანაწერების ფონოგრამები არ წარმოადგენს მონტაჟს;

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №... ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №... ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: 2018 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ბ. ქ-სა და რ. კ-ს საქმის განხილვის სხდომის ოქმების ჩანაწერების ფონოგრამები ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №....მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე ბ. ქ-ს ხმისა.

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფონოგრამები: №. მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე რ. კ-ს ხმისა;

13. ფონოსკოპიური ექსპერტიზის №. დასკვნით (დადასტურებულია სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – ე. კ-ს მიერ) დგინდება, რომ:

გამოსაკვლევად წარმოდგენილ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ... ნომერზე განხორციელებული სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ და ჩაწერილ ფონოგრამებს: №... მონტაჟის კვალი არ აღენიშნებათ;

გამოსაკვლევად წარმოდგენილ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ... ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის

შედეგად ჩაწერილ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს მონტაჟის კვალი არ აღენიშნებათ;

გამოსაკვლევად წარმოდგენილ 2018 წლის 29 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილ მ. გ-ს (ლ-ს) საქმის განხილვის სხდომის ოქმის ჩანაწერის ფონოგრამებს მონტაჟის კვალი არ აღენიშნებათ;

გამოსაკვლევად წარმოდგენილ 2018 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილ ბ. ქ-ს, გ. შ-სა და რ. კ-ს საქმის განხილვის სხდომის ოქმების ჩანაწერების ფონოგრამებს მონტაჟის კვალი არ აღენიშნებათ;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ... ნომერზე განხორციელებული სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული და ჩაწერილი ფონოგრამები: №... ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის შედეგად ჩაწერილი აუდიო-ვიდეო ინფორმაცია ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი 2018 წლის 29 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი მ. გ-ს (ლ-ს) საქმის განხილვის სხდომის ოქმის ჩანაწერის ფონოგრამები ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი 2018 წლის 29 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ბ. ქ-ს, გ. შ-ს და რ. კ-ს საქმის განხილვის სხდომის ოქმების ჩანაწერების ფონოგრამები ვარგისია პირის იდენტიფიკაციისათვის ხმის მიხედვით;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ... ნომერზე განხორციელებული სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ ჩანაწერებში №... ფონოგრამებში მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე ბ. ქ-ს ხმისა;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის შედეგად აუდიო-ვიდეოჩანაწერში ... ფაილში ... მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია ბ. ქ-ს ხმისა;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმე-

დების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის შედეგად აუდიოჩანაწერში №... – აუდიოფაილში (...) მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდეტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე მ. გ-ს (ლ-ს) ხმისა.

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის შედეგად აუდიო-ვიდეოჩანაწერში ... ფაილში .... მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე რ. კ-ს ხმისა;

გამოსაკვლევად წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნიკაციის შედეგად აუდიო-ვიდეოჩანაწერში, ... ფაილში ... მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე გ. შ-ს ხმისა.

14. ამდენად, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერზე ჩატარებული ჰაბიტოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზის №... და ფონოსკოპიური ექსპერტიზის №... და № დასკვნებით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ პირი, რომელზეც ავტომანქანაში ფიზიკურად ძალადობენ, ემუქრებიან, აშინებენ და სძალავენ ფულს, რომლის ნაწილი უნდა მოხმარდეს „ქურდული სამყაროს“ ინტერესებს, არის კ. კ., ხოლო მოძალადები – ბ. ქ., რ. კ. და გ. შ.

15. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანანერში ასახული ინფორმაცია ზედმიწევნით ემთხვევა დაზარალებულ კ. კ.-ს 2019 წლის 15 იანვარს პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, სადაც მან განმარტა, რომ 2018 წელს ქ. ბ-ში, სავაჭრო ცენტრ „პ-სთან“ შეხვდა რ. კ-ს და გ. შ-ს, საიდანაც თავის ავტომანქანით წავიდნენ ბ. ქ-სთან, შ. ხ-ს ქუჩაზე. გზად საუბარი დაეძაბათ, ეუბნებოდნენ, რომ იყო „ბარიგა“ და ფული ჰქონდა გადასახდელი. ბ. ქ. ავტომანქანაში ჩაჯდა მის გვერდით, რ. კ. და გ. შ. ისხდნენ უკან. მივიდნენ ჭადრაკის სახლთან, სადაც მას მოსთხოვეს 20000 ლარი, ვინაიდან იყო „ბარიგა“ და ყიდდა „წამალს“. ავტომანქანაში ემუქრებოდნენ, აყენებდნენ შეურაცყოფას და სცემდნენ, რის შედეგადაც მიიღო დაზიანებები თავის არეში და განიცადა ტკივილი. თანხას სამივე სთხოვდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გ. შ. და რ. კ. გ. შ-მ მიადო იარაღი და უთხრა, ფულს თუ არ მიიტანდა, ტვინს

გაასხმევინებდნენ. მუქარა მან აღიქვა რეალურად და შეეშინდა. ბ. ქ. ყველაფერს იღებდა ტელეფონით, მიაყენა ფიზიკური შურაცხყოფა. მას არ ჰქონდა ამხელა თანხა და მის თხოვნაზე დათანხმდნენ, რომ რამდენიმე დღეში უნდა მიეტანა 3000 ლარი, რომლის ნაწილი მოხმარდებოდა „ქურდულ სამყაროს“, ხოლო დანარჩენ თანხას ეტაპობრივად გადაიხდიდა.

16. კ. კ-ს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება, გარდა ბ. ქ.-ს მობილურ ტელეფონში აღმოჩენილი ვიდეომტკიცებულებისა, ასევე გამყარებულია 2018 წლის 17 ივლისს დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, რომლის ფარგლებში კ. კ-მ ზედმიწევნით აღადგინა შემთხვევის დღეს მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის დეტალები და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო დაზარალებულის მიერ 2018 წლის 15 იანვარს მიცემული ჩვენების ნამდვილობა. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ადგილზე შემოწმდა კ. კ-ს გამოძიებისას გამოკითხვის ოქმში მითითებული ინფორმაცია, რა დროსაც დაზარალებულმა მიუთითა ქ. ბ-ში, სავაჭრო ცენტრ „პ-ს“ შენობის უკანა მხარეს, სადაც შემთხვევის დღეს შეხვდა რ. კ-ს და გ. შ-ს, აჩვენა, სად ჩასხდნენ ისინი ავტომანქანაში, როგორ მიაკითხეს შ. ხ-ს ქუჩაზე მდებარე სახლში ბ. ქ-ს, რომლის მითითებითაც მივიდნენ ჭადრაკის სახლის ეზოში, სადაც ბ. ქ., რ. კ- და გ. შ. სძალავდნენ მას ფულს, რომელიც უნდა მოხმარებოდა „ქურდულ საერთოს“, გაუსწორდნენ ფიზიკურად, დანითა და ცეცხლსასროლი იარაღით ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით.

17. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა კ. კ-მ 2019 წლის 20 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო განხილვისას განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ჩვენება მისცა სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლის შედეგად. პოლიციელები დაემუქრნენ ნარკოტიკის ჩადებით, თუ არ იტყოდა, რომ ბ. ქ., რომელსაც იგი საერთოდ არ იცნობდა და არც არასდროს შეხვედრია, რ. კ. და გ. შ., რომლებიც არიან მისი მეგობრები, სძალავდნენ 20000 ლარს. დაზარალებულის განმარტებით, პოლიციის სამმართველოში მას მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ემუქრებოდნენ სამუდამო პატიმრობით, აიძულებდნენ მსჯავრდებულების საწინააღმდეგო ჩვენების მიცემას. საქმის სააპელაციო განხილვისას გამოქვეყნდა გამოძიებაში დაზარალებულის გამოკითხვის ოქმები, რომლებიც მისი განმარტებით, იძულებისა და ზეწოლის შედეგია, ხოლო ვიდეოჩანაწერი – მონტაჟი, ვინაიდან მსჯავრდებულების სახეები ჩანაწერში არ ჩანს.

18. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია დაზარალებულის

ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელსაც არ მიუმართავს სამართალდამცავებისათვის და არ შეუტყობინებია დანაშაულის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოძიების მიერ დანაშაულის ამსახველ ვიდეოჩანაწერში იდენტიფიცირებულ იქნა დაზარალებული, კ. კ. იყო მოტივირებული, რათა ხელი შეეწყო ობიექტური გამოძიებისთვის – ნებაყოფლობით გამოიკითხა არაერთხელ, მონაწილეობდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის საგამოძიებო ექსპერიმენტსა და ნიმუშის აღებაში, მისცა ჩვენება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც იყო დამაჯერებელი და თანხვდენილი საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, რაც სრულიად განსხვავდება მისი შემდგომი ქცევისაგან, როდესაც სისხლის სამართლის საქმის სააპელაციო განხილვისას განსხვავებული ჩვენება მისცა სასამართლოს, როგორც დაცვის მოწმემ, რომელიც გაჯერებული იყო უზუსტობებითა და წინააღმდეგობებით და ერთობლივად ვერ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კ. კ-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინების „ქურდული სამყაროს“ მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც საშიშ დამნაშავეთა მხილებისა და მათთან დაპირისპირების შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ „ქურდულ სამყაროში“ მიღებული შურისძიების დაუნდობელი ხერხების გათვალისწინებით, დაზარალებული უკიდურესად შეშინებულია და კრიმინალური სამყაროსაგან მომავალი აშკარა საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) პოზიციის შეცვლასა და ჩვენების უკან წაღებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი ნების – ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის – რადიკალურად შეცვლა და საქმის სააპელაციო განხილვისას მსჯავრდებულების სასარგებლო განმარტებების მიცემა.

19. დაზარალებულმა კ. კ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაწვრილებით აღწერა, სად და როგორ შეხვდნენ მას რ. კ. და გ. შ., როგორ მიაკითხეს ბ. ქ-ს, ვინ, სად იჯდა ავტომანქანაში, ვინ იღებდა ვიდეოჩანაწერს, რა ტიპის ძალადობას და მუქარას დაექვემდებარა იგი მსჯავრდებულების მხრიდან, რა თანხას სძალავდნენ „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ და რა პირობებზე შეთანხმდნენ. და ბოლოს, საყურადღებოა, რომ დაზარალებულზე ძალადობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი გამოძიებამ მოიპოვა ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან, რასაც მოჰყვა შემდგომში გამოძიების დაინტერესება ვიდეოჩანაწერში ასახული ფაქტით, ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირება და მისი გამოკითხვა, რაც გამორიცხავს მსჯავრდებულების მიმართ რაიმე ტიპის არაჯანსაღ დაინ-

ტერესებას, გამოძიების მიერ მათი საწინააღმდეგო სამხილების ხელოვნურად შექმნასა და იმის დაშვებას, რომ დაზარალებულის გამრუდებული ჩვენებით შესაძლებელი იყო არჩადენილ დანაშაულში კონკრეტული პირების მხილება.

20. საკასაციო პალატამ შეაფასა მოცემულობა, როდესაც დაზარალებულმა კ. კ-მ საქმის სააპელაციო განხილვისას მეტად არასანდო განმარტებები შესთავაზა სასამართლოს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენება იყო თანმიმდევრული და დასტურდებოდა არაერთი უტყუარი პირდაპირი მტკიცებულებით და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც არ გაიზიარა დაზარალებულის სააპელაციო სასამართლოში მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხველი ჩვენება, რომელიც ასევე ძალიან შორს იყო დამაჯერებლობისაგან. საქმის სააპელაციო განხილვისას დაზარალებულის მტკიცება: თითქოსდა, ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აშკარად ჩანს, როგორ ძალადობენ მასზე და სძალავენ ფულს, მათ შორის „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ – დამონტაჟებულია; იგი არ იცნობს და არც არასდროს შეხვედრია ბ. ქ-ს და მსჯავრდებულებს პოლიციელების ზეწოლის შედეგად დააბრალა არჩადენილი დანაშაული – ეწინააღმდეგება სასამართლოში წარმოდგენილ ფონოსკოპიური, ჰაბიტოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებს, რომლებითაც, ერთი მხრივ, გამოირიცხა ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან გამოთხოვილ ვიდეოჩანაწერზე მონტაჟის არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, დადასტურდა, რომ ვიდეოჩანაწერში დაზარალებულზე მოძალადე პირები, რომელთა ხმები ჩანაწერში ისმის გარკვევით, არიან სწორედ ბ. ქ., რ. კ. და გ. შ. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულთა სახეები ვიდეოჩანაწერში არ ჩანს, არის ლოგიკური, ვინაიდან ფაქტია, რომ ვიდეოს იღებდა ბ. ქ. დაზარალებულის დაშინებისა და შანტაჟის მიზნით, რის გამოც ჩანაწერში მიზანმიმართულად ჩანს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი – კ. კ. და არ ჩანან მოძალადეები, რათა ჩანაწერის გავრცელების მუქარით დამნაშავეებს, საკუთარი თავისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უზრუნველეყოთ მომავალში კ. კ-ს სათანადო ქცევა.

21. საკასაციო პალატა დაზარალებულის სანდოობასთან მიმართებით აღნიშნავს: კ. კ-ს პიროვნება, ცალკე აღებული, შესაძლოა, იძლეოდეს დაეჭვების საფუძველს, თუმცა ამავდროულად აცნობიერებს განსახილველი საქმის სპეციფიკურობას, რადგან „ქურდული სამყარო“ ორგანიზებული დანაშაულის მეტად სახიფათო გამოვლინებაა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულების ჩადენასთან და მასში ჩართული პირები, როგორც წესი, არ გამოირჩევიან უმწიკვლო ცხოვრებითა და კრისტალური ბიოგრაფი-

ით და, ასევე, ითვალისწინებს, რომ კ. კ-ს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენება, ზედმიწევნით ემთხვევა და უტყუარად დასტურდება ისეთი თვალსაჩინო მტკიცებულებით, როგორიც არის დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, რომელიც დაზარალებულის პიროვნული მახასიათებლებისა თუ წარსული ცხოვრების მიუხედავად, საწინააღმდეგოს მტკიცების შესაძლებლობას არ იძლევა. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს კ. კ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში 2019 წლის 15 იანვარს მიცემულ ჩვენებას, ვინაიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან მიმართებით იგი თანმიმდევრულია, არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ან ურთიერთგამომრიცხველ განმარტებებს, თანხვდენილია და დასტურდება საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით: ბ. ქ-ს ტელეფონში აღმოჩენილი ვიდეოჩანაწერით, რომელსაც, ამ სამხილის ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებათა შეფასებისას უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვს, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმითა და ფონოსკოპიური, ჰაბიტოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზების დასკვნებით, რომელთა სანდოობაში დაეჭვების გონივრული საფუძველი, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადგენილა. იმ პირობებში, თუ სასამართლოში არ იქნებოდა წარმოდგენილი დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, შესაძლოა, გაჩენილიყო კითხვები საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით და დაცვის მხარის მიერ განვითარებულ ვერსიას მეტი დამაჯერებლობა შეეძინა, თუმცა დაცვის მხარის ეჭვები დაზარალებულ კ. კ-ს სანდოობასთან მიმართებით, ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს წონად არგუმენტს და ვერ გააქარწყლებს უტყუარი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ცალსახად მსჯავრდებულების დანაშაულებრივ ქმედებებზე მიუთითებს.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. ქ-მ, რ. კ-მ და გ. შ-მ სცემეს კ. კ-ს და სძალავდნენ მას დიდი ოდენობით თანხას, თუმცა მსჯავრდებულთა ქმედებებში ვერ დაინახა „ქურდული სამყაროს“ მიზნების მისაღწევად აქტიური მოქმედება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ თანხის გამოძალვისას მსჯავრდებულები მიმართავდნენ დაზარალებულს შემდეგი სიტყვებით: „არ იცოდი ძმაკაცი, არ იცოდი ქურდები“, ასევე, „ფული თუ არ გაქვს, მიადგები იმფერ კაცს, რომ მოგცემს და დანარჩენს დაგაკისრებთ ქურდულ ფულს, მოიტან, ამ ფულიდან ქურდებსაც შეხვდება“, მსჯავრდებულების ქმედებები მაინც შემოიფარგლა მხოლოდ „ქურდული სამყაროს“ ზეპირსიტყვიერი აღია-

რებით და მათ „ქურდული სამყაროს“ მხარდასაჭერი აქტიური მოქმედება არ ჩაუდენიათ, რაც, საკასაციო პალატის შეფასებით, აშკარად ეწინააღმდეგება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტებს, კერძოდ:

23. დაზარალებულ კ. კ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებით, დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერით (რომლებიც არც სააპელაციო სასამართლოს მიუჩნევია საეჭვოდ და სწორედ ეს მტკიცებულებები დაუდო საფუძვლად ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს მსჯავრდებას) უპირობოდ დადასტურებულია, რომ ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს მოქმედებები ცალსახად გასცდა „ქურდული სამყაროს“ მხოლოდ ზეპირსიტყვიერ აღიარებას და დაზარალებულისათვის „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ ფულის გამოძალვით (აქტიური მოქმედებით), „ქურდული სამყაროს“ აღიარებასთან ერთად, აშკარად გამოიკვეთა დანაშაულის შემადგენლობისათვის სავალდებულო მეორე ნიშანიც – „ქურდული სამყაროს“ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

24. საკასაციო პალატისათვის გაუგებარია შემთხვევის დღეს ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს ქმედებები, რომლებმაც სცემეს კ. კ-ს, იარაღის დემონსტრირებით ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით, იღებდნენ დაზარალებულის დამამცირებელ და სახელის გამტეხ ვიდეოჩანაწერს და აშინებდნენ მისი გავრცელებით, სძალავდნენ დიდი ოდენობით თანხას და, რაც მთავარია, არ დაუმალავთ, რომ მიღებული თანხის ნაწილი სწორედ „ქურდულ სამყაროს“ უნდა მოხმარებოდა, როგორ შეიძლება შეფასდეს, როგორც მსჯავრდებულების მხრიდან „ქურდული სამყაროს“ მხოლოდ ზეპირსიტყვიერი აღიარება, რომელიც მოკლებულია მსჯავრდებულების მხრიდან კრიმინალური სამყაროს მხარდასაჭერ აქტიურ მოქმედებას? საკასაციო პალატას ცალსახად დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ კ. კ-ზე ძალადობა, მუქარა, დაშინება, ფულის გამოძალვა არის სწორედ ის აქტიური მოქმედებები, რომლებიც მსჯავრდებულებმა შეასრულეს „ქურდული სამყაროს“ სასარგებლოდ, მის ფინანსურად მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად.

25. საკასაციო პალატა შენიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გამორიცხა მსჯავრდებულების „ქურდული სამყაროს“ მხარდასაჭერად აქტიური მოქმედება და „ქურდული სამყაროს“ წევრებთან მათი შესაძლო კავშირები, რომ გარდა დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერისა, საერთოდ არ შეუფასებია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული სხვა მასალები, რომლებსაც ამ კატეგორიის დანაშაულების საქმეებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული პირები გამოირჩევიან კრიმინალური უნარ-ჩვევებით, სიფრთხილით

და, როგორც წესი, თავს იკავებენ კომუნიკაციისას ღია ტექსტებით საუბრისაგან. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალების ერთობლივად შეფასება, მთლიანი სურათის უკეთ დასანახად და სათანადოდ შესაფასებლად.

26. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულების კავშირს „ქურდულ სამყაროსთან“, მათ შორის ამ სამყაროში აღიარებულ „ავტორიტეტებთან“, საქმეების მოგვარებას კანონიერი გზების გვერდის ავლითა და კრიმინალურ წრეებში დამკვიდრებული წესების შესაბამისად, გარდა დანაშაულის ამსახველი ვიდეოჩანაწერისა, ასევე ცხადყოფს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული სხვა მასალებიც, რომელთა დიდი მოცულობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას შეაჩერებს მხოლოდ რამდენიმე ძირითად მომენტზე, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ საუბრების ძირითადი ნაწილი შეეხება სწორედ სხვადასხვა საკითხის „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად გადაწყვეტასა და დავების ამავე გზით მოგვარებას.

27. საკასაციო პალატისთვის გაუგებარია, რატომ აუარა გვერდი სააპელაციო პალატამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ. ქ-ს ტელეფონიდან მოპოვებულ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიც იყო „კანონიერ ქურდ“ მ. გ-სთან (ლ-სთან) ბ. ქ-ს უშუალო და პირდაპირი კავშირი. ამავე მასალით დადგენილია, რომ მ. გ. (ლ.) ბ. ქ-ს უკავშირდებოდა როგორც პირადად კონკრეტული საქმის გასარჩევად და პასუხის მოსათხოვად, ასევე შუამავლების მეშვეობით გადასცემდა დანაბარებს. ამდენად, ბ. ქ. არა მარტო აღიარებდა „ქურდულ სამყაროს“ და ემორჩილებოდა დადგენილ იერარქიას, არამედ პირადად იღებდა მითითებებს „კანონიერი ქურდის“ – მ. გ-საგან (ლ-საგან), რომელიც გააბრაზა ბ. ქ-ს მოქმედებებმა კონკრეტული საქმის მოგვარებისას და ხმოვანი შეტყობინებით დაიბარა „ქურდებთან“ საქმის გასარჩევად, კერძოდ:

28. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბ. ქ-ს მობილური ტელეფონიდან მოპოვებულია შემდეგი შინაარსის ხმოვანი შეტყობინებები:

29. ... აუდიოჩანაწერში ისმის მ... გ-ს (ლ-ს) საუბარი:

– ბიჭო, ვიღაცა ყ-ს შვილი ხარ, შენ მ-ვ დედის მ-ს, მე მ. ვარ ლ., ქურდი ვარ! შენ დედას მ-ვ, მაგი არის ჩემი ძმაკაცი, შე ბ-ო, ჩამოეთრიე აქ, გელოდები, თორემ შენ მ-ვ დედის მ-ს, ვისი ფულიცაა იმას მ-ვ დედის მ-ს და კიდო დანარჩენებს „კრუგში“, აქ ჩამოეთრიე, შენ კაცს როგორ შეაგინე ჩემს ძმაკაცს, შენი ბ-ი დედა მ-ნ, აქ ჩამოდი გელოდები, ტრაპიზონში ვარ, შენ ბ-ი დედა მ-ნ. ახლა მე მოგცემ ნომერს, მაგი გადმოგიგდებს გაიგე ლასტი ჩემს ნომერს

და შე ბ-ო გადმორეკე. შენ მ-ვ დედის მ-ს და შენს მოაზროვნეებს კიდევ. შე ბ-ს გაზრდილო შენ. შენ დედას მ-ვ ვიღაცა ხარ, შე ყ-ო, რას იმალები, გამოდი აგერ შენი ბ-ი დედა მ-ნ. მიდი შენი ბ-ი დედა მ-ნ, მოისმინე ახლა გიგზავნი ხმოვანს. დამირეკე შენი დედას შ-ი პირში და შენ ვინც გამოგიგზავნა იმას შ-ი კიდე პირში, შენც ვინც გამოგაგზავნა შე ნ-ო შენა, შენ ამოგთხრი მიწიდან, მ-ვ დედის მ-ს, შენ უნდა გატარო ბ-ს იარლიყით, შენი დედა მ-ნ მე. ჩამოეთრიე აქ შე ბ-ო, შენ, ქურდებთან, შენი დედა მ-ნ.

30. ჰაბიტოსკოპიური და ვიდეოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად ბ... ქ-ს სარგებლობაში არსებული ... იმეიკოდის მქონე მობილური აპარატიდან ამოღებული ინტერნეტკომუნ–-ციის შედეგად აუდიოჩანაწერში, №... – აუდიოფაილში (...) მოსაუბრე მამაკაცის ხმა იდენტურია სასამართლო სხდომის ოქმში მოსაუბრე მ. გ-ს (ლ.) ხმისა.

31. ... აუდიოჩანაწერში ისმის მამაკაცის საუბარი:

– თან ბიჭო იგი რა ქვია იმას, ლ-მ დამირეკა ახლა, გადმომირეკოსო ბ-ამო მთხოვა გამიგე? თან მაგაზე გირეკავდი სიმონ და ძმობას გაფიცებ სიმონ ბ-ი რა, გთხოვ „პროსტა“ ყ-ბა არ გააკეთო, გემუდარები ძმაო რა, ჩემი დედას შ-ი თუ რამე, პროსტა გთხოვ, ყ-ბა არ გააკეთო რა, გეხვეწები ბიჭო, ჩემი დედას შ-ი რა, ყ-ბა არ გააკეთო ბ-ი, თავი არ დაიღუპო მაგ ბ-ის გამო.

32. ... აუდიოჩანაწერში ისმის მამაკაცის საუბარი:

– მინდო, გავაკეთებ ზუსტად მასეო, დიდი სიამოვნებით, რასაც მ... მეუბნებაო, პროსტა დაველაპარაკებიო რა, ამ ორსო სიმონ, ახლა მახლდნენო და უბრალოდ დაველაპარაკებიო და ეგრევე დავრეკავთქო ძმა.

33. სასამართლოში წარმოდგენილია ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს მობილური ტელეფონების ფარული მიყურადება-ჩაწერის შედეგად მოპოვებული ვრცელი მასალა, რომელიც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად ნათელს ჰფენს მსჯავრდებულების ცხოვრების წესს, იდეოლოგიას, კავშირებს კრიმინალურ სამყაროსთან, საქმეების მოგვარების ალტერნატიულ გზებს, რომელსაც ისინი მიმართავენ კანონის გვერდის ავლითა და „ქურდულ სამყაროში“ დამკვიდრებული წესების კვალდაკვალ. ასე, მაგალითად, ირკვევა, როგორ გასცემს ბ. ქ. მანქანის სადავო საკითხის მოგვარების პირობას, როგორ ითხოვს გარკვეული თანხის გადახდას, რომელსაც „სახელი აქვს დარქმეული და ზოგი იმასთან მიდის, ზოგი ამასთან“, როგორ არჩევს რ. კ. ფულის გადახდის საკითხებს, რომელიც „მასთან უნდა მისულიყო“ და იმუქრება და ა.შ.

34. სააპელაციო პალატას ყურადღების მიღმა დარჩა ასევე ბ. ქ-

ს მობილური ტელეფონიდან მოპოვებული ინფორმაცია ფოტოსურათების სახით, სადაც არაერთ ფოტოზე არის ბ. ქ. აღბეჭდილი „კანონიერ ქურდ“ მ. გ-სთან (ლ-სთან) ერთად, კერძოდ:

35. 2018 წლის 22 მაისის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბ. ქ-ს მობილურ ტელეფონში ნანახია ფაილი – „...“, რომელშიც შექმნილია 5 საქაღალდე სახელწოდებებით: ... მათში არის არაერთი ფოტოსურათი ბ. ქ-ს გამოსახულებით, მათ შორის: ... საქაღალდეში „...“, რომელშიც მარცხნივ მდგომი პირი, რომელსაც ხელში უჭირავს პისტოლეტისმაგვარი საგანი, არის – ბ. ქ.; ... საქაღალდეში „...“, რომელშიც მარჯვნივ მდგომი პირი, რომელსაც ხელში უჭირავს პისტოლეტისმაგვარი საგანი, არის – ბ. ქ.; „...“, რომელშიც მდგომი პირი, რომელსაც ხელში უჭირავს პისტოლეტისა და დანისმაგვარი საგანი, არის – ბ. ქ.; „...“, რომელშიც ზურგით მდგომი პირი, რომელსაც ხელში უჭირავს პისტოლეტისმაგვარი საგანი, არის – ბ... ქ...; „...“, რომელშიც მარცხნიდან პირველი პირი არის – ბ. ქ., ხოლო მარჯვნიდან პირველი – „კანონიერი ქურდი“ მ. ლ.; „...“, რომელშიც მარცხნიდან პირველი პირი არის – ბ. ქ-., ხოლო მარჯვნიდან პირველი – „კანონიერი ქურდი“ მ. ლ.;

36. მ. გ. (ლ.) არაერთხელ არის წარსულში ნასამართლევი, მათ შორის „კანონიერი ქურდობისათვის“.

37. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობა არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვიერი ფორმით მის აღიარებას. მეტიც, პირის „ქურდული სამყაროს“ წევრად მიჩნევისათვის საერთოდ არ არის აუცილებელი, პირი ზეპირსიტყვიერად აცხადებდეს, რომ იგი აღიარებს „ქურდულ სამყაროს“. ჩადამწყვეტი, პირის ქურდული სამყაროს წევრად მიჩნევისათვის, არის ის ფაქტი, რომ პირი თავისი ქმედებებით გამოხატავდეს პატივისცემას ქურდული ტრადიციების მიმართ და ხელს უწყობდეს ამ სამყაროს ფუნქციონირებასა და გაძლიერებას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №324აპ-15, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 9).

37. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია: საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია, რომ ბ. ქ., რ. კ. და გ. შ. აღიარებენ „ქურდულ სამყაროს“, მოქმედებენ „ქურდული სამყაროს“ წესების შესაბამისად და 2018 წლის 29 იანვარს კ. კ-ს ძალადობით, მუქარითა და სახელის გამტეხი ცნობის გახმაურებით სძალავდნენ დიდი ოდენობით თანხას – 20000 ლარს, რომლის ნაწილი უნდა მოხმარებოდა სწორედ „ქურდულ სამყაროს“.

38. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს უდანაშაულობის ვერსია დააფუძნა შემდეგ ძირითად არგუმენტებზე: კ. კ-მ მსჯავრდებულები დანაშაულის ჩადენაში ამხილა სამართალდამცავების ზეწოლის შედეგად და მათივე უშუალო მითითებით; მტკიცებულებები, რასაც ეფუძნება მსჯავრდება, დაუშვებელია, რადგან სასამართლო სხდომის ოქმები, რომელთა საფუძველზეც ჩატარდა ფონოსკოპიური ექსპერტიზა, გამოთხოვილ იქნა მსჯავრდებულების ნებართვის გარეშე, რაც არღვევს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას; მიუხედავად დაცვის მხარის არაერთი მოთხოვნისა, ბრალდების მხარემ დაუყოვნებლივ არ გადასცა მათ რიგი მტკიცებულებებისა, რაც წარმოადგენს ამ მტკიცებულებების დაუშვებლობის საფუძველს; დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ალტერნატიული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით გამოირიცხა ბ. ქ-ს ბრალეულობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს: თუკი გამოძიების მსვლელობას მივყვებით თანმიმდევრულად, ცალსახაა, რომ კ. კ. მხოლოდ მას შემდეგ გამოიკითხა, რაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბ. ქ-ს მობილურ ტელეფონში აღმოაჩინეს დანაშაულის ამსახველი ვიდეომტკიცებულება, რომელშიც მოგვიანებით ამოიცნეს დაზარალებული. გამოძიების დაწყების საფუძველი არ გამხდარა კ. კ-ს განცხადება ან საჩივარი დანაშაულის შესახებ. ისმის შეკითხვა: როგორ შეიძლება კ. კ-ს სამართალდამცავების მითითებითა და ზეწოლით გამოეგონა ფაქტები, რომლებიც მის გამოკითხვამდე იყო აღმოჩენილი მსჯავრდებულის მობილურ ტელეფონში არსებულ ვიდეოჩანაწერში? პასუხი ცალსახაა და მისი საპირწონე არგუმენტი ძნელად წარმოსადგენია; სასამართლოდან განჩინებების საფუძველზე გამოთხოვილ სხდომის ოქმების აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც ჩატარდა ფონოსკოპიური ექსპერტიზები, საკასაციო პალატა განმარტავს: თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, არ ჰქონდეს მოლოდინი, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი თავად შექმნის თავის საწინააღმდეგო მტკიცებულებას, მაგრამ ეს პრივილეგია არ ზღუდავს გამოძიებას, მოიპოვოს სამხილები ბრალდებულისაგან/მსჯავრდებულისგან თავისუფალ გარემოში. ზემოაღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის დანაწესიდან, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცე-

ბულებად გამოყენება დაუშვებელია, მაშინ როდესაც ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად – ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე; დაცვის მხარისათვის მტკიცებულებების ნაწილის დაუყოვნებლივ გადაცემასთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების დასაშვებობაზე და რელევანტურობაზე იმსჯელა წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ და სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მტკიცებულებების დაუშვებლობის საფუძველი, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს და ეთანხმება; საკასაციო პალატამ შეაფასა დაცვის მხარის მიერ ჩატარებული ალტერნატიული ფონოსკოპიური ექსპერტიზა, მოუსმინა ექსპერტ მ.ტ-ის განმარტებებს და მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა კრიტიკას ვერ უძლებს და მინიმალური თვალსაზრისითაც კი ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს.

39. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, ცალსახა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ბ. ქ-ს, რ. კ-სა და გ. შ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), ამავე კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამავე კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 23 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რისთვისაც ისინი ცნობილ უნდა იქნენ დამნაშავედ.

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

41. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული ისჯება – თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ, ამავე კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო ამავე კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2018 წლის 23 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაული – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან

ორას ორმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

42. საკასაციო პალატა სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულების პიროვნულ მახასიათებლებს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ: ჩადენილია ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის, სხვადასხვა სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების ერთობლიობა, მსჯავრდებულების პიროვნულ მახასიათებლებს, ბ. ქ-ს წარსულ ნასამართობას და მიაჩნია, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, ბ. ქ-ს სასჯელად უნდა განესაზღვროს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; რ. კ-სა და გ. შ-ს სასჯელებად უნდა განესაზღვროთ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეთა რესოციალიზაციას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გამოკვეთილია დანაშაულთა ერთობლიობა და მსჯავრდებულებს საბოლოო სასჯელები უნდა განესაზღვროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე, სასჯელთა შთანთქმისა და ნაწილობრივი შეკრების პრინციპების გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ:

1. მსჯავრდებულების – ბ. ქ-სა და გ. შ-ს ადვოკატ ზ. პ-სა და მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატ ბ. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის უფროსი პროკურორის – რ. შ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. ბ. ქ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულმა სასჯელმა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დაემატოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელიდან 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და დანაშაულთა ერთობლიობით ბ. ქ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ბ. ქ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს 2018 წლის 17 ივლისიდან;

4. რ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვე-

თა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით რ. კ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. კ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს 2018 წლის 17 ივლისიდან;

5. გ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1-ე მუხლის პირველი ნაწილით (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით გ. შ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. შ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს 2018 წლის 17 ივლისიდან;

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში, დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№643აპ-18 15 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ.-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენით რ. მ., – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

რ. მ. 2002 წლიდან ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწევა ლ. ბ-თან. 2018 წლის 5 აპრილს, დილის საათებში, ქ. რ-ში, თ-ის ქუჩის მე-1- კორპუსის №3- საცხოვრებელ ბინაში, რ. მ-მ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, იმის გამო, რომ ცუდ ხასიათზე იყო და არ სურდა, მისი მეუღლე ლ. ბ. სამსახურში წასულიყო, მასზე ფიზიკურად იძალადა, კერძოდ, მან ლ. ბ-ს სამჯერ ჩაარტყა სკამი თავში, ასევე მოქაჩა თმა და გააგდო სახლიდან. ლ. ბ-მ რ. მ-ს ქმედებებით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

2. აღნიშნული ქმედებისათვის რ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2018 წლის 5 აპრილიდან.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-მ. მან მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენის გაუქმება და რ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 სექტემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 14 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და რ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ არ არსებობს მისი ბრალეულობის დამადასტურებელი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. მ-ს მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი რ. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი.

4. მოწმე ა. ჩ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ მუშაობს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად შსს რ. საქალაქო სამმართველოს პოლიციის მ. განყოფილებაში, სადაც დაიწყო გამოძიება საპატრულო პოლიციიდან შესული შეტყობინების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო, რომ ლ. ბ-ს განცხადებით, მეუღლე მას აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. მოწმე პირადად ესაუბრებოდა ლ. ბ-ს, რომელსაც განუმარტა უფლებები. ლ. ბ. იყო აღელვებული და განუცხადა, რომ მეუღლემ მას სკამი მოარტყა თავში. გამოკითხვა გრძელდებოდა დაახლოებით საათ-ნახევარს, რის შემდეგაც

მოწმემ თავად წაიკითხა ჩვენება და ისე, რომ შენიშვნა არ გამოუთქვამს, მოაწერა ხელი. ამის შემდეგ დააკავეს რ. მ. მოგვიანებით ნათესავებთან ერთად განყოფილებაში მივიდა განმცხადებელი ლ. ბ., რომელიც ანერვიულებული იყო და განუცხადა, რომ არ სურდა ქმრის დაკავება და იქნებ, როგორმე ეპატიებინათ მისთვის ჩადენილი დანაშაული. მას ჩააბარეს უწყება პოლიციის განყოფილებაში შვილების გამოსაკითხად წარმოდგენის შესახებ, მაგრამ იმ მიზეზით, რომ მის მეუღლეს დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი, ბავშვები განყოფილებაში არ მიიყვანა.

5. მოწმე ნ. ტ-ის გამოკითხვის ოქმით დადგენილია, რომ შეტყობინების საფუძველზე, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, სადაც ასევე იმყოფებოდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელმაც გამოწერა შემაკავებელი ორდერი. ამის შემდეგ ლ. ბ. და რ. მ. გადაიყვანეს პოლიციის მ. განყოფილებაში. რ. მ-მ გამოკითხვაზე განაცხადა უარი იმ მოტივით, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, დილით მხოლოდ სიტყვიერი კონფლიქტი მოუხდა მეუღლესთან, რის შემდეგაც ცოლი ძალით გამოაგდო სახლიდან.

6. მოწმე გ. ჯ-ის გამოკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ მუშაობს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლად. შეტყობინების საფუძველზე გავიდა გამოძახების ადგილას, სადაც დახვდა ლ. ბ., რომელიც იყო ანერვიულებული, ტიროდა და განუცხადა, რომ მეუღლემ – რ. მ-მ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ითხოვდა დახმარებას. ლ. ბ-მ დაწერა ახსნა-განმარტება და ითხოვა შემაკავებელი ორდერის გამოწერა. გ. ჯ-მ გამოსცა შემაკავებელი ორდერი 30 დღით, რომლის თანახმად, რ. მ-ს აეკრძალა ცოლთან მიახლოება.

7. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის 2018 წლის 6 აპრილის №. დასკვნით, „ლ. ბ. უჩივის ტკივილს თავისა და კისრის არეში...; გარეგანი დათვალიერებით ... სხეულზე ფიზიკური დაზიანების ნიშნები არ აღენიშნება“.

8. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ლ. ბ-მ ისარგებლა საქართველოს სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლებით და თავისი მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე განაცხადა უარი. ასეთი მოცემულობის არსებობის დროს, როდესაც დაზარალებულმა სასამართლოს არ მიაწოდა ინფორმაცია მეუღლის მხრიდან მასზე ძალადობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, ხოლო ექსპერტიზის დასკვნით, მას სხეულზე ფიზიკური დაზიანება არ აღენიშნება, პალატა აღნიშნული დანაშაულის დასადასტურებლად ვერ გაი-

ზიარებს სხვა მოწმეთა ირიბ ჩვენებებს, რომლებიც ეხება ლ. ბ-ს გამოკითხვისას ჩამოყალიბებულ გარემოებებს.

9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოწმეები – ა. ჩ., ნ. ტ. და გ. ჯ. არიან პოლიციის თანამშრომლები, არცერთი მათგანი არ შესწრებია რ. მ-ს მხრიდან ლ. ბ-ს მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი ძალადობის ფაქტს და აღნიშნული ფაქტის თვითმხილველნი არ არან. მათ მიერ მიცემული ჩვენებები ლ. ბ-ზე ძალადობის ჩამდენი პირის დადგენის თვალსაზრისით, ირიბია. საქართველოს სსსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არაკონსტიტუციურია.

10. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. მოცემული საკანონმდებლო დანაწესის მიზანს წარმოადგენს პირის მსჯავრდების გამორიცხვა ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებებით გაუმყარებლობის შემთხვევაში.

11. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდე-

ბის მტკიცების ტვირთი აკისრია თავად ბრალმდებელს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას, ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა." საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი." ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განაჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაბუთებულად, როდესაც იგი სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას ემყარება. ამავდროულად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყოველი დასკვნა თუ გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებას მოითხოვს.

12. ამდენად, ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა რ. მ-ს მიერ ლ. ბ-ზე ძალადობის ფაქტს.

13. შესაბამისად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და რ. მ. უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ რ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 14 სექტემბრის განაჩენი გაუქმდეს;

3. რ. მ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 126[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალ-

დებაში;

4. გამართლებულ რ. მ-ს აქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება;

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 11[1],151-ე მუხლით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№97ა3-20 14 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბერის განაჩენზე

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბერის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ოლღა მერებაშვილმა.

2. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბერის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და თ. გ-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილ ქმედებაში. პროკურორის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა ა-მ არ მისცა სასამართლოს მეუღლის მამხილებელი ჩვენება, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისია თ. გ-ს წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნობისათვის. მოწმეე-

ბის: ა. ქ-ს, ლ. ც-ს, ვ. თ-ს, პ. წ-სა და ა-ს ჩვენებებით, შსს „112-ის“ ოპერატიული მართვის ცენტრიდან გამოთხოვილი აუდიოჩანაწერითა და მისი დათვალიერების ოქმით უტყუარად დადასტურებულია თ. გ-ს მიერ ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ფაქტი.

3. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, თ. გ-ს (დაბადებულს ...) ბრალი დაედო ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2... საათზე, თ. გ. . მდებარე №... ბინაში ყოფნისას, ეჭვიანობის ნიადაგზე, სატელეფონო საუბრისას, სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – ა-ს, რა დროსაც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

4. თ. გ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის განაჩენით თ. გ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ოლღა მერებაშვილმა, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და თ. გ-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებაში.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არ-

სებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. ამდენად, უნდა შეფასდეს სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი მხარე, რათა დადგინდეს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებით სტანდარტს, კერძოდ:

4. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ა-მ სასამართლოს არ მისცა თავისი ახლო ნათესავის – თ. გ-ს მამხილებელი ჩვენება და გამოკვეთილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა. ამდენად, შეუძლებელია დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს.

5. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია დაზარალებულის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელიც იყო მოტივირებული, რათა ხელი შეეწყო ობიექტური გამოძიებისთვის – თავად შეატყობინა სამართალდამცავებს დანაშაულის შესახებ, ნებაყოფლობით გამოიკითხა, მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის „112-ში“ მისი ზარის აუდიოჩანაწერის დათვალიერებაში, რაც სრულიად განსხვავდება მისი შემდგომი ქცევისაგან, როდესაც უარი განაცხადა გამომძიებლის დადგენილებით დანიშნული სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაზე, უარი განაცხადა არასრულწლოვანი შვილების: თ. და ა. გ-ს გამოკითხვაზე და არ მისცა ჩვენება სასამართლოს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, უკიდურესად შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას), მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების – ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის –

რადიკალურად შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

6. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“). კონვენციის მიზნებისთვის, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენცია მიზნად ისახავს ქალების და ოჯახის წევრების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან, მათ შორის, კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით. კონვენციის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

7. ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, დაზარალებულმა ა-მ ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და არ მისცა თ. გ-ს მამხილებელი ჩვენება სასამართლოს, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაული, დაიცვას მსხვერპლი და პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, მიუხედავად იმისა, გაიხმო თუ არა საჩივარი უკან დაზარალებულმა ან შეურიგდა თუ არა მოძალადეს.

8. საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები ცალ-ცალკე და გადაწყვიტოს, საკმარისია თუ არა მათი ერთობლიობა თ. გ-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების გონივრულ ეჭვს მიღმა დასადასტურებლად.

9. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო ... №... შეტყობინება გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“, რომლის თანახმად, სახლში დაბრუნების შემთხვევაში ა-ს მეუღლე ემუქ-

რება დანის დარტყმით.

10. ..., 01:35 საათზე, გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ს“ შემდეგი შინაარსის შეტყობინებით მიმართა ა-მ:

„ოპერატორი: 112 გისმენთ.

ინიციატორი: გამარჯობა.

ოპერატორი: გამარჯობა, გისმენთ.

ინიციატორი: დაახლოებით ორი საათია ვარ სახლიდან გამოსული და მეუღლე მემუქრება, სახლში რომ მივიდე, დანას დამარტყამს და რა ვიცი, ასეთ რაღაცეებს და ვერ მივდივარ სახლში, ორი ბავშვი მყავს.

ოპერატორი: დიახ, სად იმყოფებით?

ინიციატორი: და სახლში ვერ ავდივარ და მჭირდება დახმარება, რომ საპატრულო პოლიციის დახმარებით ავიდე სახლში და ეს ადამიანი გამოაძევონ. უკვე სამჯერ მყავს პატრული გამოძახებული, ჰქონდა ერთთვიანი შემაკავებელი ორდერი სამივეჯერ და მაინც თავი დავხარე და შემოვუშვი ოჯახის ხათრით, რომ ბავშვებთან ყოფილიყო და ეს ადამიანი ჩემზე ზეწოლას მაინც არ ანებებს თავს. ძალიან მინდა დახმარება, ვერ ავდივარ სახლში, უკვე მეშინია და ბავშვებიც იქ მყავს.

ოპერატორი: მითხარით...

ინიციატორი: ხელსაც არ მიწერს, იძულებით ვარ ამ ადამიანთან და მე გამოვიძახებ ეხლა, მისამართს გეტყვით, დამხვდნენ ქვემოთ, რომ ერთად ავიდეთ, თან ისეც არ მინდა, რომ ზემოდან თვითონ დაინახოს, რომ პატრულთან ერთად ავდივარ, რომ ბავშვებს რამე არ დაუზიანოს...

ოპერატორი: ბავშვები არიან სახლში მეუღლესთან?

ინიციატორი: სახლში ორი ბავშვი არის, კი.

...

ოპერატორი: ქალბატონო, მომისმინეთ, თქვენ უნდა მითხრათ, სად იმყოფებით ეხლა და პატრული მოვა იქ, სადაც თქვენ იმყოფებით და შემდგომ მისი თანხლებით მოხდება რეაგირება.

ინიციატორი: მე ეხლა ვარ ... და აქედან მინდა წასვლა, რომ თან არ დამინახოს, რომ მე პატრულთან ერთად მივდივარ, თორემ ბავშვებს არ დაუზიანოს რამე, მეშინია.

...

ოპერატორი: ქუჩაში ხართ უშუალოდ ქალაქ ....?

ინიციატორი: არა, სტუმრად ვარ ჩემს ახლობელთან და სახლში ვერ მივდივარ.

...

ოპერატორი: თქვენი გვარი და სახელი, თქვენი გვარი და სახელი ქალბატონო.

ინიციატორი: ა.

...“

11. 2019 წლის 8 ივნისს დაზარალებულ ა-ს მონაწილეობით დათვალიერდა გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“ ..., 01:35 საათზე, ა-ს (სატელეფონო ნომრიდან: ...) შეტყობინების აუდიოჩანაწერი. დაზარალებულმა მოუსმინა აუდიოჩანაწერს და დაადასტურა, რომ მითითებული შეტყობინების ინიციატორი არის თვითონ. ასევე დაადასტურა, რომ ქალის ხმა, რომელიც ესაუბრება „112-ის“ ოპერატორს და აწვდის ინფორმაციას მეუღლის მხრიდან მუქარის თაობაზე, ეკუთვნის მას, ხოლო მეორე ხმა – „112-ის“ ოპერატორს და დათვალიერების დროს „ინიციატორის“ სახელით მოხსენიებული პირის მიერ წარმოთქმული სიტყვები ეკუთვნის მას. აუდიოჩანაწერში გაჟღერებული შეტყობინება ..., 01:35 საათზე, მან მიაწოდა „112-ის“ ოპერატორს სატელეფონო ნომრიდან ... განხორციელებული ზარით. საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს და მის შინაარსს ადასტურებს დაზარალებული ა., რომელსაც რაიმე შენიშვნა არ გამოუთქვამს.

12. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზედაპირულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულის მიერ გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინების აუდიოჩანაწერი ვერ მიიჩნევა თ. გ-ს ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან თავად შეტყობინების ავტორმა ა-მ უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და იგი სასამართლოში არ დაკითხულა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოწმის (დაზარალებულის) მიერ ჩვენების მიცემაზე უარი აპრიორი არ ნიშნავს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების შედეგების უგულებელყოფას და ავტომატურად არ აბათილებს ამ მოქმედებებით დადგენილ ფაქტებს, თუ გამოკვეთილი არ არის ისეთი მტკიცებულება, რომელიც ფაქტობრივად (შინაარსობრივად) არის მოწმის (დაზარალებულის) ჩვენების ან მიწოდებული ინფორმაციის შემოწმება, რომელიც ასახულია გამოკითხვის ოქმში. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვექნებოდა რაოდენობრივად სხვადასხვა სამხილი, ისინი დამოუკიდებელ და საკმარის მტკიცებულებებად ვერ განიხილებოდა. არსებითად საწინააღმდეგო მოცემულობა გვაქვს განსახილველ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პირდაპირი მტკიცებულება – დაზარალებულის მიერ გადაუდებელი დახმარების ცენტრ „112-ში“ განხორციელებული ზარის აუდიოჩანაწერის სახით, რომელიც მტკიცების ხარისხის თვალსაზრისით, შესაძლებელია, უფრო მეტად წონადი და დამაჯერებელი სამხილიც იყოს, ვიდრე თავად მოწ-

მის (დაზარალებულის) სასამართლო ჩვენება, ხოლო, მეორე მხრივ, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმი, რომელშიც ნებაყოფლობით მონაწილეობდა ა., რომელმაც ცალსახად დაადასტურა აუდიოჩანაწერის შინაარსი და ავთენტურობა და განმარტა, რომ „112-ში“ ზარის ინიციატორი ქალის ხმა, რომელიც მეუღლის მუქარის გამო არის შეშინებული და სამართალდამცავებისაგან ითხოვს შველას, ეკუთვნის მას.

13. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი აუდიოჩანაწერი ვერ დაედება საფუძვლად თ. გ-ს მსჯავრდებას, ვინაიდან იგი არ დაუდასტურებია შეტყობინების ავტორს, არ არის მართებული და არ გამომდინარეობს მტკიცებულებების რაციონალური ანალიზიდან.

14. მოწმე ა-ს გამოკითხვის ოქმით, რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ... ა., რომელთანაც მეგობრობს, იყო მასთან სახლში – ..... გვიან ღამით, დაახლოებით 01:00 საათის შემდეგ, ა-მ უთხრა, რომ შინ უნდა წასულიყო, რადგან სახლიდან მეუღლე ურეკავდა და ასეც მოიქცა.

15. ... გამოცემულ №... შემაკავებელ ორდერსა და ორდერზე თანდართულ ოქმში ასახულია ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლის – ა-ს, მოძალადის – თ. გ-სა და ინციდენტის შესახებ (ინციდენტის ფაბულა: ა-ს მეუღლე თ. გ. სატელეფონო საუბრისას დაემუქრა დანის დარტმით, რაც დაზარალებულმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების შიში), ასევე ასახულია მსხვერპლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. კითხვებზე: №... „ფიქრობთ, რომ მოძალადე ჯანმრთელობის დაზიანებას მოგაყენებთ ან მოგკლავთ თქვენ ან/და თქვენს შვილებს ან/და თქვენს ახლობელს?“, პასუხად მითითებულია „კი“, ხოლო ველში „დადებით შემთხვევაში მიუთითეთ, რატომ ფიქრობს მსხვერპლი ამგვარად“, მითითებულია: „მოძალადე დაემუქრა დანის დარტყმით, რაც მსხვერპლმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა შიში“; კითხვებზე: №8. „მოძალადემ მუქარისას ან ფიზიკური შეურაცხყოფისას გამოიყენა დანა, სხვა ბასრი საგანი ან/და სხვა ნივთი (მაგ: დაგიმიზნათ, მოახდინა დემონსტრირება და ა.შ)?“ პასუხად მითითებულია „კი“, ხოლო ველში „რა იარაღი ან/და საგანი გამოიყენა“, მითითებულია: „სატელეფონო საუბრისას დაემუქრა, რომ დაარტყამს დანას, თუ სახლში მივა“; კითხვებზე: №10. „მოძალადე დაგემუქრათ ჯანმრთელობის დაზიანებით ან მოკვლით?“ პასუხად მითითებულია „კი“, ხოლო ველში „მიუთითეთ, როდის დაგემუქრათ და რაში გამოიხატა“ პასუხად მითითებულია „დაემუქრა დანის დარტყმით“. შემაკავებელი ორდერისა

და ორდერზე თანდართული ოქმის სისწორე ხელმოწერით დადასტურებული აქვს დაზარალებულ ა-ს.

16. საკასაციო პალატას მიაჩნია: სააპელაციო სასამართლოს მტკიცება, რომ დაზარალებულ ა-ს ჩვენების გარდა, რომელმაც უარი განაცხადა დაკითხვაზე, სხვა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა თ. გ.ს მიერ ... ა-ს მიმართ მუქარის ფაქტს, ბრალდების მხარეს სასამართლოში არ წარმოუდგენია, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და საქმის მასალების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასებიდან არ გამომდინარეობს. საკასაციო პალატას გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში" ა-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერის, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმის, შემაკავებელი ორდერის, მასზე თანდართული ოქმისა და მოწმე ა-ს ჩვენების ერთობლივად შეფასების საფუძველზე ცალსახად დადასტურებულად მიაჩნია, რომ .... საათზე, თ. გ. სატელეფონო საუბრისას დანის დარტყმით დაემუქრა მეუღლეს – ა-ს.

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს: სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ მოწმეების: ვ. თ-ს, ა. ქ-სა და პ. წ-ს ჩვენებები არის ირიბი და შეუძლებელია მათ საფუძველზე სასამართლომ უტყუარად დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს, არასწორია, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამიჯნოს, რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენს ირიბს და შემდეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

19. საკასაციო პალატა კვლავაც იმეორებს, რომ შესაძლებელია, პირდაპირი მტკიცებულება, მათ შორის პირდაპირი ჩვენებაც, ასახავდეს მომხდარ ფაქტს, მაგრამ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ მის ერთ, თუმცა მნიშვნელოვან მონაკვეთს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება №626აპ-17 საქმეზე, პუნქტი 34). ამდენად, მოცემულ შემთხვევა-

ში, როდესაც თ. გ-ისათვის ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის აუცილებელია დაზარალებულის მიერ განცდილი შიშის რეალურობის დადგენა, სწორედ პირდაპირი მტკიცებულებების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მოწმეების: ა. ქ-ს, ვ. თ-სა და პ. წ-ს ჩვენებები, რომლებმაც შემთხვევიდან მალევე პირადად ნახეს, რა მდგომარეობაში იყო დაზარალებული და რას განმარტავდა იგი მომხდართან დაკავშირებით, კერძოდ:

20. მოწმეების: ა. ქ-ს, ვ. თ-სა და პ. წ-ს (უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები) ჩვენებებით უტყუარად დადგენილია, რომ ... ა-ს მიერ გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“ შეტყობინების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პოლიციის განყოფილებაში მალევე ნახეს დაზარალებული, რომელიც იყო აღელვებული, ტიროდა და პოლიციის თანხლების გარეშე ეშინოდა სახლში დაბრუნება, ვინაიდან მეუღლე ემუქრებოდა დანის დარტყმით.

21. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმე ლ. ც-მ (გამომძიებელი), რომელმაც დამატებით აღნიშნა, რომ არა მარტო დაზარალებულს, არამედ მასაც გაუჩნდა თ. გ-ს მხრიდან მუქარის განხორციელების რეალური შიში, ვინაიდან ეს არ ყოფილა მისი მხრიდან მეუღლეზე ძალადობის პირველი შემთხვევა და მის მიმართ წარსულში სამჯერ იყო გამოცემული შემაკავებელი ორდერი.

22. საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. გ-ს მხრიდან მეუღლე – ა-ზე ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, 2017 წლის 8 მარტს, 2017 წლის 3 ივლისსა და 2018 წლის 20 დეკემბერს გამოცემულია შემაკავებელი ორდერები ოჯახური ძალადობის ფაქტებზე.

23. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ცალმხრივ მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოწმეების: ვ. თ-ს, ა. ქ-სა და პ. წ-ს ჩვენებები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, არის ირიბი, ვინაიდან მოწმეთა ჩვენებების ნაწილი მართლაც შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რაც მათთვის დაზარალებულისაგან გახდა ცნობილი, თუმცა მათი მონათხრობი ასევე ეხება ისეთ ფაქტებსა და გარემოებებს, რაც მათ საკუთარი თვალით იხილეს. ასე, მაგალითად, რას განიცდიდა დაზარალებული მეუღლის მუქარის შემდეგ, რა მდგომარეობაში მიმართა მან პოლიციის განყოფილებას და რატომ ვერ ბედავდა იგი სამართალდამცავების გარეშე სახლში დაბრუნებას. ზემოაღნიშნული ჩვენებები, ერთი მხრივ, ავსებს საქმეზე არსებულ სხვა პირდაპირ მტკიცებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს მათ გაგრძელებას, რაც არათუ უმნიშვნელოა, არამედ ბრალად წარდგენილი ქმედების (მუქარის) სამართლებრივი შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და არაფრით შეიძლება შეფასდეს ირიბ ჩვენებებად. სასამართლოს, ამ მტკიცე-

ბულებების ბუნებიდან გამომდინარე, არც უნდა ჰქონოდა იმაზე მეტის დადგენის მოლოდინი, ვიდრე ეს თავად ამ მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარეობს. სასამართლო ზემოაღნიშნულ ჩვენებებს მიიჩნევს საქმისთვის მნიშვნელოვან სამხილებად, რომელთა ერთობლივი ანალიზი, გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“ ა-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერთან, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმთან, შემაკავებელ ორდერსა და მასზე თანდართულ ოქმთან ერთად, იძლევა ... განვითარებული მოვლენების მთლიანად აღქმისა და საქმეზე ობიექტური რეალობის დადგენის შესაძლებლობას.

24. საკასაციო პალატა აქვე დასძენს, რომ ზემოაღნიშნული მოწმეები ვერ იქნებოდნენ ა-ზე მეუღლის მხრიდან მუქარის უშუალოდ შემსწრე პირები და არც განუცხადებიათ რაიმე ფაქტზე წასწრების შემთხვევაზე, ვინაიდან დადგენილია, რომ თ. გ. მეუღლეს სატელეფონო საუბრისას დაემუქრა, რა დროსაც მოძალადე იმყოფებოდა თავის სახლში, ხოლო ა. – მეგობარ ა-სთან, რომელმაც, ბუნებრივია, სიტყვა-სიტყვით ვერ მოისმინა სატელეფონო საუბარი, თუმცა ცალსახად დაადასტურა, რომ ა. გვიან ღამით სწორედ იმიტომ წავიდა მისგან, რომ მეუღლემ დაურეკა. გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრ „112-ში“ ა-ს შეტყობინების აუდიოჩანაწერით, დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული აუდიოჩანაწერის დათვალიერების ოქმით, შემაკავებელი ორდერითა და მასზე თანდართული ოქმით უტყუარად დადგენილია თ. გ-ს მხრიდან ა-ზე მუქარის კონკრეტული შინაარსი, კერძოდ, სახლში თუ დაბრუნდებოდა დანას დაარტყამდა, ხოლო ა. ქ-ს, ვ. თ-ს, პ. წ-სა და ლ. ც-ს ჩვენებებით თვალნათლივ იკვეთება დაზარალებულის მიერ განცდილი შიშის რეალურობა, ვინაიდან დადგენილია, რომ ა. იყო აღელვებული, ტიროდა და პოლიციელების თანხლების გარეშე ეშინოდა სახლში დაბრუნების.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებეული, საკმარისი, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ ... თ. გ. ა-ს დაემუქრა დანის დარტყმით, რაც დაზარალებულმა რეალურად აღიქვა და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რომლის კვალიფიკაციაზე სასამართლო ქმედების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

26. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბა დაწესებულია მუქარისათვის, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ მუქარა მიმართული იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურებისაკენ. ქმედების მუქარად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია, რომ მუქარის ადრესატს გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მუქარა რეალურად განხორციელდება.

27. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133[1]-ე, 133[2]-ე, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144[3]-ე, 149-ე-151[1]-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255[1]-ე, 381[1]-ე და 381[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლება, მათ შორის – მეუღლე.

28. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება თ. გ-სათვის ბრალად შერაცხული ქმედების – ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში – ჩადენა და იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილით (2019 წლის 5 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) უნდა იქნეს ცნობილი დამნაშავედ.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. გ-ს მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

30. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილი (2019 წლის 5 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

31. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

32. საკასაციო პალატა სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს ქმედების ჩადენის მოტივსა და მიზანს (ეჭვიანობის ნიადაგზე, ოჯახის წევრის დაშინება), ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას (ჩადენილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული ნაკლებად მძიმე დანაშაული), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (თ. გ. სატელეფონო საუბრისას ცივი იარაღის გამოყენებით დაემუქრა ა-ს), ასევე მის პიროვნებას (მსჯავრდებული ადმინისტრაციულსახდელდადებულია წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელების შეურაცხყოფისათვის, ასევე ოჯახური ძალადობის ფაქტზე მის მიმართ გამოცემულია არაერთი შემაკავებელი ორდერი, რაც ცალსახად მიუთითებს მსჯავრდებულის მიდრეკილებაზე ძალადობისა და ანტისოციალური ქცევისკენ და მის პიროვნებას უარყოფითად ახასიათებს), ასევე მის ოჯახურ მდგომარეობას (ჰყავს მეუღლე, რომელთანაც ერთ ოჯახად აგრძელებს ცხოვრებას და ორი შვილი) და დაზარალებულის პოზიციას, რომელიც მსჯავრდებულთან შერიგებულია და მიიჩნევს, რომ თ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და

დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს. ამასთან, სასამართლო თ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სახისა და ხერხიდან გამომდინარე (ცივი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა), მართებულად მიიჩნევს, მისთვის დამატებითი სასჯელის სახით იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დანიშვნას.

33. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო (2019 წლის 26 მაისიდან 2019 წლის 28 მაისის ჩათვლით) თ. გ-ს უნდა ჩაეთვალოს სასჯელის ვადაში და საბოლოოდ განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 105 საათით.

34. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ თ. გ-ს მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები სისხლის სამართლის საქმის მასალებით არ დადგენილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308–ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ოლღა მერებაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბერის განაჩენი თ. გ-ს მიმართ;

3. თ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლის პირველი ნაწილით (2019 წლის 5 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 120 საათით;

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო (2019 წლის 26 მაისიდან 2019 წლის 28 მაისის ჩათვლით) თ. გ-ს ჩაეთვალოს სასჯელის ვადაში და საბოლოოდ განესაზღვროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 105 საათით;

3. თ. გ-ს დამატებითი სასჯელის სახით 3 წლით შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები, რომლის ვადა აითვალოს სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულება და კონტროლი დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

5. თ. გ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს თანხა, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდეს მის შემტანს;

6. ნივთმტკიცება – ერთი DVD დისკი, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 126[1] მუხლით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№118ა3-20 28 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი მექვაბიძემ, რომელიც ითხოვს გამამართლებელი

განაჩენის გაუქმებას, თ. ნ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და მისთვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით: სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ზ. ა-ს სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერების ოქმით, მასზე თანდართული ფოტოცხრილითა და საგამოძიებო მოქმედების (ვითარების აღდგენის) ოქმით უტყუარად დასტურდება თ. ნ-ს მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა; დაზარალებულმა ზ. ა-მ არ მისცა ჩვენება სასამართლოს, თუმცა გარდა დაზარალებულის გამოკითხვის ოქმისა, ბრალდების ყველა სხვა მტკიცებულება დაცვის მხარემ უდავოდ გახადა და მათ პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, თ. ნ-ს, – დაბადებულს ... – ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

... , დაახლოებით ... საათზე, ... მდებარე ზ. ა-სა და თ. ნ-ს ოჯახის მფლობელობაში არსებულ სახლში, თ. ნ-მ მუშტის შუბლის არეში ერთჯერადი დარტყმით ფიზიკურად იძალადა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირზე – ზ. ა-ზე, რომელიც სთხოვდა, არ გასულიყო სახლიდან ნასვამი. თ. ნ-ს ქმედების შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. თ. ნ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით.

4. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 ივნისის განაჩენით თ. ნ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

5. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი მექვაბიძემ, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და თ. ნ-სათვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 19 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. მოცემულ შემთხვევაში თ. ნ-ს სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები (გარდა დაზარალებულ ზ. ა-ს ჩვენებისა) მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებებად გამოკვლევის გარეშე.

4. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თ. ნ-ს სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები (გარდა დაზარალებულ ზ. ა-ს ჩვენებისა) მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ისინი მიღებულ იქნა მტკიცებულებებად გამოკვლევის გარეშე, ქმედების სამართლებრივი შეფასება, ბრალდებულის ქმედების სწორი კვალიფიკაცია, დანაშაულის თითოეული ნიშნის არსებობა-არარსებობის შეფასება და საბოლოოდ პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობის დადგენა, სწორედ ამ (უდავო) მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტების შესაბამისად, სასამართლოს პირდაპირი ვალდებულებაა.

5. ქვემდომი ინსტანციის სასამართლოებმა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უდავო მტკიცებულებებით: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, ... ვითარების აღდგენის

ოქმით, ... ზ. ა-ს სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერების ოქმით, შემაკავებელი ორდერით, ბრალდებულის დაკავების ოქმითა და მოწმე გ. ა-ს გამოკითხვის ოქმით უტყუარად დადგენილად მიიჩნიეს შემთხვევის დღეს თ. ნ-ს მხრიდან მისი ოჯახის წევრის – ზ. ა-ს მიმართ ფიზიკური ძალადობა, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს და ეთანხმება.

6. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის მიხედვით, სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება გამოიწვია თუ არა მეუღლის მიერ მიყენებულმა დაზიანებებმა დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოწმე, რომელსაც შეეძლო ნათელი მოეფინა ამ საკითხისთვის, არის თავად დაზარალებული ზ. ა., რომელმაც არ მისცა ჩვენება სასამართლოს, ხოლო სხვა მტკიცებულებები ამ სადავო გარემოების დასადგენად არ გამოდგება.

7. საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულმა ზ. ა-მ სასამართლოს არ მისცა თავისი ახლო ნათესავის – თ. ნ-ს მამხილებელი ჩვენება და გამოკვეთილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევა. ამდენად, შეუძლებელია, დაზარალებულის მიერ გამოძიების დროს, გამოკითხვისას, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სასამართლომ დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს.

8. საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია დაზარალებულის ქცევას დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რომელიც იყო მოტივირებული, რათა ხელი შეეწყო ობიექტური გამოძიებისთვის – ნებაყოფლობით გამოიკითხა, მონაწილეობდა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებში, მათ შორის – სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერებასა და საგამოძიებო ექსპერიმენტში (ვითარების აღდგენაში), ჩაიტარა სამედიცინო ექსპერტიზა, რაც სრულიად განსხვავდება მისი შემდგომი ქცევისაგან, როდესაც დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაცნობისა და უფლებების განმარტების შემდეგ უარი განაცხადა, ხელი მოეწერა საპროცესო დოკუმენტებზე, განცხადებით მიმართა გამოძიებას, რომ შეურიგდა მეუღლეს და მის მიმართ პრეტენზია აღარ ჰქონდა და ბოლოს, არ მისცა ჩვენება სასამართლოს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. ა-ს ქმედებები ნამდვილად ჰგავს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რომლებიც ძალადობის შემდგომ მუდმივ შიშსა და დაძაბულობაში განაგრძობენ ცხოვრებას და ფაქტად იღებს იმ გარემოებას, რომ დაზარალებული, რომელიც არის ძალა-

დობის მსხვერპლი, შეშინებულია და მოძალადისგან მომავალი საფრთხის განეიტრალებას (თვითგადარჩენას) მის მიმართ ლმობიერი პოზიციის დაკავებაში ხედავს, რამაც განაპირობა სწორედ მისი პირვანდელი მტკიცე ნების – ხელი შეეწყო მართლმსაჯულების განხორციელებისთვის – რადიკალურად შეცვლა და სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

9. საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 5 აპრილის დადგენილებით რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (ე.წ. „სტამბოლის კონვენცია“). კონვენციის მიზნებისთვის, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენციის თანახმად, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამ კონვენციის შესაბამისად დადგენილი დანაშაულის გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებაზე ან საჩივარზე, თუ დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ მხარის ტერიტორიაზე იყო ჩადენილი და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გამოიტანს განცხადებას ან საჩივარს.

10. ამდენად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მოცემულობას, როდესაც, ერთი მხრივ, დაზარალებულმა ზ. ა-მ ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და არ მისცა თ. ნ-ს მამხილებელი ჩვენება სასამართლოს, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაული, დაიცვას მსხვერპლი და პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, მიუხედავად იმისა, გაიხმო თუ არა საჩივარი უკან დაზარალებულმა ან შეურიგდა თუ არა მოძალადეს.

11. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომელმაც თ. ნ-ს მხრიდან მეუღლეზე ფიზიკური ძალადობა და დაზარალებულის სხეულზე დაზიანებების არსებობა არ მიიჩნია საკმარისად ძალადობის შედეგად დაზარალებულის მიერ განცდილი ფიზიკური ტკივილის დასადგენად, ურომლისოდაც გამოკვეთილი არ არის თ. ნ-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების შემადგენლობისათვის სავალდებულო ყველა ნიშანი, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, უტყუარად დასტურდება, რომ თ. ნ-ს ქმედების შედეგად ზ. ა-მ განიცადა ფიზიკური ტკი-

ვილი. საკასაციო პალატას მიაჩნია: მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის მიერ განცდილი ტკივილის დადგენა შეუძლებელია თავად დაზარალებულის სასამართლო ჩვენებით, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები დანაშაულის ამ სავალდებულო ნიშნის ფაქტობრივად (ობიექტურად) დასადასტურებლად, კერძოდ:

12. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადასტურებულია, რომ 2019 წლის 17 აპრილს, პირადი გასინჯვისას, ზ. ა. უჩიოდა შუბლის მიდამოში ტკივილს, სადაც ცენტრალურად და ოდნავ მარცხნივ აღენიშნებოდა ოვალური ფორმის, შესიებული, მკრთალი მოლურჯო-მოწითალო სისხლჩაქცევა, ზომით 4,6X2,7 სმ, რომელიც განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. საექსპერტო კვლევისას, დაზარალებულის გადმოცემით, დაზიანება .... მიაყენა მეუღლემ, რომელმაც გაარტყა სილა სახეში და შუბლში ჩაარტყა მუშტი. ამდენად, ცალსახად დადგენილია, რომ ძალადობიდან მეორე დღესაც კი დაზარალებული უჩიოდა ტკივილს სხეულის დაზიანებულ მიდამოში, რაც უპირობოდ გამორიცხავს იმ დაშვებას, რომ ზ. ა-ს შესაძლოა, ტკივილი არ განეცადა ფიზიკური ძალადობის დროს.

13. .... ვითარების აღდგენის მიზნით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობისას დაზარალებულმა ზედმიწევნით აღიდგინა, სად და რა ვითარებაში იძალადა მასზე თ. ნ-მ და ცალსახად დაადასტურა, რომ მეუღლის მხრიდან ჯერ გაშლილი ხელის, ხოლო შემდეგ მუშტის დარტყმით განიცადა ტკივილი და მიიღო დაზიანება.

14. ... დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერების ოქმზე თანდართულ ფოტოებში ნათლად ჩანს დაზიანება, რომელიც შესიებული, ე.წ. „კოპის“ სახით აღენიშნებოდა შუბლზე ზ. ა-ს თ. ნ-ს ძალადობის შედეგად.

15. საკასაციო პალატას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის, საგამოძიებო ექსპერიმენტის (ვითარების აღდგენის) ოქმისა და დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების დათვალიერების ოქმის საფუძველზე უტყუარად დადგენილად მიაჩნია, რომ თ. ნ-ს ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანება ნორმალური ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ადამიანში უდავოდ გამოიწვევდა ტკივილს და, ამდენად, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელთა შინაარსობრივი მხარე სადავო არ გამხდარა და პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად მიიჩნევს, რომ ... თ. ნ-ს ფიზიკური ძალადობის შედეგად ზ. ა-მ

განიცადა ფიზიკური ტკივილი, რომლის კვალიფიკაციაზე საკასაციო პალატა გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

16. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დანაშაული გამოიხატება: ა) ძალადობაში; ბ) სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ამასთან, ამ ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული მძიმე შედეგი.

17. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, თ. ნ-ს მიერ ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი და იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

18. საკასაციო პალატა დასძენს, რომ მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

19. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

20. საკასაციო სასამართლო სასჯელის შეფარდებისას მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებს, მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, მის მიერ ჩადენილი და-

ნაშაულის სიმძიმესა და ხასიათს, კერძოდ – ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის, ძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რომელიც მისი გავრცელების მასშტაბის შესაბამისად მომეტებული საფრთხის მატარებელია, მსჯავრდებულის პიროვნებას – ოჯახში ძალადობა აზარალებს არა მარტო დაზარალებულს, არამედ – ნეგატიურად მოქმედებს მცირეწლოვანი ბავშვის ფსიქიკაზე, რომელიც მათ ოჯახში იზრდება და ხელს უშლის მის ჰარმონიულ გარემოში ნორმალურ განვითარებას, ასევე მსჯავრდებულმა დანაშაული ჩაიდინა მთვრალმა, რაც მას უარყოფითად ახასიათებს და დაზარალებულის პოზიციას, რომელსაც პრეტენზია არ გააჩნია, რისი გათვალისწინებითაც, თ. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი თ. ნ-ს მიმართ;

3. თ. ნ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულ თ. ნ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2019 წლის 16 აპრილიდან 2019 წლის 19 ივნისის ჩათვლით;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა სსკ-ის 126[1] მუხლით

განაჩენი
საქართველოს სახელით

№268ა3-20 2 სექტემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ანა კალანდაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა ანა კალანდაძემ.

2. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით პროკურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და თ. ა-ს დამნაშავედ ცნობას ბრალად წარდგენილ ქმედებებში. პროკურორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, არასწორად განმარტა კანონი და თ. ა. წარდგენილ ბრალდებებში უსაფუძვლოდ გაამართლა. საქმეში არსებობდა ურთიერთშეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა – დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, ნივთმტკიცების (დანის) ამოღების ოქმი, შემაკავებელი ორდერი და სხვა მტკიცებულებები – რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებდა თ. ა-

ს ბრალეულობას.

3. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, თ. ა-ს (დაბადებულს 19.. წლის 19 ივნისს) ბრალი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი და რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი, ორი ან მეტი პირის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარაში, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

– 2017 წლის 3 აპრილს თ. ა. მივიდა .... მდებარე, ყოფილი მეუღლის – ი. ბ-სა და შვილების – გ. და ა. ა-ების №.. ბინაში, იძალადა ყოფილ მეუღლესა და შვილებზე, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მათ, კერძოდ: ი. ბ-ს დანით მიაყენა დაზიანება მარცხენა მკლავის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი; გ. ა-ს დანით მიაყენა დაზიანება მარჯვენა მკლავზე, მხრის არეში და რამდენჯერმე დაარტყა მუშტი სახის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება; ა. ა-ს ფეხი დაარტყა მარჯვენა ხელის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.

– 2017 წლის 3 აპრილს თ. ა. მივიდა ... მდებარე, ყოფილი მეუღლის – ი. ბ-სა და შვილების – გ. და ა. ა-ების №.. ბინაში და ოჯახური კონფლიქტის დროს სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა თავისი ოჯახის წევრებს: ყოფილ მეუღლეს – ი. ბ-ს და შვილებს – გ. და ა. ა-ებს, რომლებსაც გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

4. თ. ა-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 11^1,151-ე მუხლით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 17 მაისის განაჩენით თ. ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 11^1,151-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 17 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკუ-

რორმა ანა კალანდაძემ, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და თ. ა-ს დამნაშავედ ცნობას წარდგენილ ბრალდებებში.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 17 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა პროკურორ ანა კალანდაძის საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

3. ამდენად, უნდა შეფასდეს სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი მხარე, რათა დადგინდეს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადასტურების შესაძლებლობას იძლევა თითოეული მტკიცებულება და აკმაყოფილებს თუ არა მათი ერთობლიობა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულებით სტანდარტს თითოეულ ბრალდებასთან მიმართებით, კერძოდ:

4. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დადასტურდა 2017 წლის 3 აპრილს თ. ა-ს მიერ ოჯახის წევრების მიმართ მუქარის ფაქტი. საკასაციო პალატა მიუთითებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მუქარისათვის, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების

მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ მუქარა მიმართული იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურებისაკენ. ქმედების მუქარად დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია, რომ მუქარის ადრესატს გაუჩნდეს საფუძვლიანი შიში, რომ მუქარა რეალურად განხორციელდება. საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ თ. ა. ნამდვილად დაემუქრა თავისი ოჯახის წევრებს სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით, მაგრამ დაზარალებულთა ქმედებები თ. ა-ს მიერ გაცხადებული მუქარის შემდგომ, როდესაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელს, განაიარაღეს იგი, აღკვეთეს მისი დანაშაულებრივი ქმედება, გამოიძახეს პოლიცია და თავად გადასცეს იგი სამართალდამცავებს, ობიექტურად არ ჰგავს მუქარის რეალურად აღქმისას მსხვერპლთა კლასიკურ ქცევას, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ცალსახად ვერ დგინდება თ. ა. მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლით (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან მის ქმედებაში არ არის გამოკვეთილი დანაშაულის შემადგენლობისათვის სავალდებულო ყველა სამართლებრივი ნიშანი.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს: გარდა ოჯახის წევრებზე მუქარისა, თ. ა-ს ასევე ბრალად წარდგენილი ჰქონდა ყოფილ მეუღლესა და ორ შვილზე ოჯახური ძალადობა და, ამდენად, სასამართლო ამ ბრალდების ფარგლებში შეაფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და გადაწყვეტს, საკმარისია თუ არა მათი ერთობლიობა თ. ა-სათვის ბრალად წარდგენილი ქმედების – ოჯახის სამი წევრის მიმართ ძალადობის – გონივრულ ეჭვს მიღმა დასადასტურებლად.

6. პალატა აცნობიერებს რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, აღკვეთოს დანაშაული, დაიცვას ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი და სათანადო პასუხისმგებლობა დააკისროს მოძალადეს, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს პირის ბრალეულობის დასადასტურებელი გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით მოცემულობის დადგენის აუცილებლობას. ცალკეული მტკიცებულების შეფასებისას საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით: აქვს თუ არა სამხილს შეხება მტკიცების საგანთან, რამდენად სწორად ასახავს იგი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივ გარემოებებს, არის თუ არა სანდო ინფორმაციის წყარო და, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, რამდენად რელევანტურია მტკიცე-

ბულება მისი უტყუარობის თვალსაზრისით.

7. პირის მსჯავრდებისას იმ პრინციპის დაცვა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა (31-ე მუხლის მე-7 პუნქტი) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (82-ე მუხლის პირველი ნაწილი). თავის მხრივ, მტკიცებულების უტყუარობასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დასადგენად აუცილებელია შეფასდეს თითოეული მტკიცებულების უტყუარობა, დამაჯერებლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა განაჩენის გამოტანის დროს. მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით: 1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინაარსობრივად ხომ არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას; 2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის არის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხარისხის შეფასება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში სასამართლოს კომპეტენციაა; 3. რამდენად გულწრფელი და მიუკერძოებელია მოწმე, ხომ არ აქვს ფიზიკური ნაკლი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების ადეკვატურ აღქმაზე; 4. როგორ პირობებში მოხდა მტკიცებულებების ფორმირება, მაგ: გარემო პირობები – ცუდი ხილვადობა (ნისლი), ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის და სხვა. მტკიცებულებების ამ კრიტერიუმებით შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გარეშე მტკიცებულებათა უტყუარობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აპრილის №397ა3-14 განაჩენი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 4.)

8. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. ა-ს მიერ ოჯახის წევრებზე ძალადობის დასადასტურებლად ბრალდების მხარემ წარმოადგინა დაზარალებულების – ი. ბ-ს, გ. და ა. ა-ების პირდაპირი ჩვენებები, სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, შემაკავებელი ორდერი, ამოღების ოქმი და აგრეთვე მოწმეების – მ. შ-ს, მ. ბ-ს, ს. გ-ს, ლ. ხ-სა და ა. ხ-ს ჩვენებები, რომლებიც, მართალია, არ ყოფილან ბრალად წარდგენილი ქმედების თვითმხილველები, მაგრამ საქმეში წარმოდგენილ პირდაპირ მტკიცებულებებთან ერთობლივად იძლევიან დანაშაულის სურათის სრულყოფილად აღდგენის შესაძლებლობას.

9. დაზარალებულ ი. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ დაქორწი-

ნებული იყო თ. ა-ზე, რომელიც თანაცხოვრების პერიოდში სისტემატურად ძალადობდა მასზე და მათ საერთო შვილებზე. განქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, თუმცა თ. ა. სისტემატურად ხვდებოდა მას და აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2017 წლის 3 აპრილს აპირებდა სამსახურში წასვლას, რა დროსაც კარის გაღებისთანავე ბინაში შეუვარდა დანით შეიარაღებული თ. ა., წააქცია იგი და მარცხენა მკლავზე მიაყენა ჭრილობა, რის გამოც განიცადა ტკივილი და წამოუვიდა სისხლი. თავდასხმა მოიგერიეს მისმა შვილებმა. თ. ა-მ გ ა-ს დანით მიაყენა ორი ჭრილობა მარჯვენა მხარში, უქნევდა ფეხებსა და ხელებს და გაუხეთქა ტუჩი, ხოლო ა. ა-ს – მოსტეხა მარჯვენა ხელი. თ. ა-ს დანა წაართვა გ. ა-მ, რომელიც მოგვიანებით გადასცეს პოლიციას.

10. დაზარალებულ ი. ბ-ს ჩვენება თანხვდენილია და დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის თანახმად, ი. ბ-ს სამედიცინო დახმარება გაეწია 2017 წლის 3 აპრილს. მას პირადი გასინჯვისას სხეულზე აღენიშნებოდა სწორკიდეებიანი ჭრილობა (მარცხენა წინამხრის ქვედა მესამედის უკანა ზედაპირზე), ნაჭდევები (მარცხენა მუხლის სახსრის წინა ზედაპირზე) და სისხლნაჟღენთები (მაცხენა იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე, მარჯვენა სხივ-მაჯის სახსრის უკანა ზედაპირზე, მარჯვენა წვივის ზედა მესამედის გარეთა ზედაპირზე). სწორკიდეებიანი ჭრილობა განვითარებულია რაიმე მჭრელი საგნის, ხოლო ყველა სხვა დაზიანება – რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით. დაზიანებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ყველა სხვა დაზიანება, გარდა მარჯვენა წვივზე არსებულისა, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს – 2017 წლის 3 აპრილს.

11. დაზარალებულ გ. ა-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ი. ბ-თან თანაცხოვრების პერიოდში თ. ა. სისტემატურად ძალადობდა მეუღლეზე. მშობლების განქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ მამისგან განცალკევებით, თუმცა თ. ა. მაინც ხვდებოდა ი. ბ-ს და აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2017 წლის 3 აპრილს შემოესმა დედის კივილი. დერეფანში ნახა იატაკზე დაგდებულ ი. ბ., რომელსაც თავზე ედგა დანით შეიარაღებული თ. ა. და ემუქრებოდა. იგი შეეცადა მამისათვის დანა წაერთმია, რა დროსაც თ. ა-მ ორჯერ გაჰკრა იგი მხარში და მიაყენა დაზიანება, ასევე სახეში დაარტყა მუშტი და გაუხეთქა ტუჩი. თ. ა. იქნევდა ხელებსა და ფეხებს და მის ძმას – ა. ა-ს დაუზიანა ხელი. მისი ვარაუდით, მამა ა. ა-ს ამ დაზიანებას ფეხით ვერ მიაყენებდა. მან წაართვა და-

ნა თ. ა-ს, რომელიც მოგვიანებით გადასცეს პოლიციას.

12. დაზარალებულ გ. ა-ს ჩვენება თანხვდენილია და დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის თანახმად, გ. ა-ს სამედიცინო დახმარება გაეწია 2017 წლის 3 აპრილს. მას პირადი გასინჯვისას სხეულზე აღენიშნებოდა ორი სწორკიდეებიანი ჭრილობა (მარჯვენა მხრის ზედა მესამედის წინა შიგნითა ზედაპირზე), უსწოროკიდეებიანი ჭრილობა (მარჯვენა წინამხრის ზედა მესამედის უკანა ზედაპირზე), ნაჭდევები (მარჯვენა მხრის ზედა მესამედის წინა შიგნითა ზედაპირზე, მარჯვენა ლავიწის ძვლის საპროექციო მიდამოზე, მარჯვენა ლავიწქვედა მიდამოში, მარჯვენა მხრის ზედა მესამედის უკანა ზედაპირზე, მარჯვენა წინამხრის ზედა მესამედში უკანა და შიგნითა ზედაპირებზე, ამავე იდაყვისა და მხრის უკანა და შიგნითა ზედაპირებზე გადასვლით) და სისხლნაჟღენთები (მარჯვენა მხრის ზედა მესამედის უკანა ზედაპირსა და მარცხენა წინამხრის ზედა მესამედის გარეთა ზედაპირზე). სწორკიდეებიანი ჭრილობები განვითარებულია რაიმე მჭრელი საგნის მოქმედებით, ხაზოვანი ნაჭდევები – რაიმე მახვილი საგნის წვეტის, ლესილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი, ბლაგვი საგნის შემხები ზემოქმედების შედეგად, ხოლო ყველა სხვა დაზიანება – რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით. დაზიანებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს – 2017 წლის 3 აპრილს.

13. დაზარალებულ ა. ა-ს ჩვენებით ირკვევა, რომ თანაცხოვრების პერიოდში თ. ა. სისტემატურად ძალადობდა მეუღლესა და შვილებზე. მშობლების განქორწინების შემდეგ ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, თუმცა თ. ა. მაინც ხვდებოდა ი. ბ-ს და აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. 2017 წლის 3 აპრილს შემოესმა დედის კივილი და დერეფანში ნახა იატაკზე დაგდებული ი. ბ. და თავისი ძმა – გ. ა., რომელსაც მხარში ჰქონდა ორი ჭრილობა, სდიოდა სისხლი და ცდილობდა თ. ა-სათვის წაერთმია დანა. იგი შეეცადა ძმის დახმარებას, რა დროსაც თ. ა-მ ფეხებისა და ხელების ქნევისას ფეხსაცმლიანი ფეხით მიაყენა დაზიანება მარჯვენა ხელში, რაც ძალიან ეტკინა და გაუსივდა, აღმოჩნდა, რომ ჰქონდა მოტეხილი. თ. ა-ს დანა წაართვა გ. ა-მ და ის მოგვიანებით გადასცეს პოლიციას.

14. დაზარალებულ ა. ა-ს ჩვენება თანხვდენილია და დასტურდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის №... და №... დასკვნებით,

რომელთა თანახმად, ა. ა-ს 2017 წლის 3 აპრილს, პირადი გასინჯვისას, აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთი (მარჯვენა წინამხრის ქვედა მესამედის უკანა ზედაპირზე) და ნაჭდევი (მარჯვენა მტევნის უკანა ზედაპირზე). დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ა. ა-მ მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით 2017 წლის 6 აპრილს მიმართა კლინიკას, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა მტევნის მე-5 თითის დაჟეჟილობა. რენტგენოფირები შეისწავლა რადიოლოგმა, რომლის დასკვნით, აღინიშნება მოტეხილობა მე-5 მეტაკარპალური ძვლის ფუძის მიდამოში. რენტგენოგრამაზე ასახული ცვლილება ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დაზიანების მიღების თარიღს – 2017 წლის 3 აპრილს. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და ერთობლივად მიეკუთვნება დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით.

15. დაზარალებულებმა – ი. ბ-მ, გ. და ა. ა-ებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ თ. ა-ს ნარკოტიკების მოხმარების გამო ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა იღებდა მედიკამენტებს, რაც მკვეთრად აუმჯობესებდა მის ფიზიკურ მდგომარეობას და ერთმნიშვნელოვნად აღნიშნეს, რომ შემთხვევის დღეს თ. ა-ს გადაადგილებისა და მეტყველების უნარები შეზღუდული არ ჰქონია.

16. ამოღების ოქმით ირკვევა, რომ 2017 წლის 3 აპრილს ... მდებარე №... ბინაში, პატრულ-ინსპექტორ ს. გ-სგან ამოღებულ იქნა სამზარეულოს დანა, რომელიც საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის №.. დასკვნით დამზადებულია ქარხნული წესით, არის მჩხვლეტავ-მჭრელი და მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით დამტკიცდა №.. შემაკავებელი ორდერი მოძალადე – თ. ა-ს მიმართ, რომელსაც აეკრძალა მსხვერპლ – ი. ბ-სა და გ. და ა. ა-ებთან მიახლოება. შემაკავებელ ორდერზე თანდართული ახსნა-განმარტებები ზედმიწევნით თანხვდენილია დაზარალებულების მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებთან.

18. დაზარალებულების მეზობლად მცხოვრები, მოწმე მ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ი. ბ-ს სახლიდან ხშირად ესმოდა ოჯახური კონფლიქტისათვის დამახასიათებელი ხმაური. 2017 წლის 3 აპრილსაც გაიგონა მსგავსი ხმა, თვალი შეავლო პოლიციასა და სასწრაფოს და ი. ბ-ს ბინაში დანამდვილებით დაინახა იატაკზე დაგდებული ნაჭერი და სისხლის წვეთები. მოწმე მ. შ-ს ჩვენებით ირკვევა, რომ თ. ა. იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და თანაცხოვ-

რების პერიოდში და შემდგომაც სისტემატურად აყენებდა სიტ-ყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ი. ბ-ს, რომელიც არაერთხელ შეუფარებია თავისთან მეუღლის ძალადობისაგან დასაცავად. მოწ-მეებმა – ს. გ-მ, ლ. ხ-მ და ხ. ხ-მა, რომლებსაც უშუალო შეხება ჰქონ-დათ 2017 წლის 3 აპრილს და მომდევნო დღეებში თ. ა-სთან ცალსა-ხად და ერთმნიშვნელოვნად დაადასტურეს, რომ ბრალდებულს დაკავებისას და პირველადი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარე-ბისას ჯანმრთელობის გამოხატული პრობლემები არ აღენიშნებო-და, გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად და მეტყველებდა თავი-სუფლად. ბრალდებულისათვის სამედიცინო დახმარების შეთავა-ზების შესახებ 2017 წლის 3 აპრილის ოქმით ირკვევა, რომ დაკავე-ბულ თ. ა-ს შესთავაზეს სამედიცინო დახმარება, რაზეც განაცხა-და უარი.

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს: ცალსახაა, რომ დაზარალე-ბულების – ი. ბ-ს, გ. და ა. ა-ების ჩვენებებს აქვთ პირდაპირი შეხება მტკიცების საგანთან, თუმცა დავის საგნად არის ქცეული დაზარა-ლებულთა ჩვენებების სანდოობა, ის, თუ რამდენად სწორად და დამაჯერებლად ასახავენ ისინი ბრალად წარდგენილი ქმედების არ-სებით გარემოებებს, რომელთა უტყუარად დადგენას გადამწყვე-ტი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად.

20. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართო ვალდებულია, უპირველესად განიხილოს სისხლის სამართლის საქმე კონკრეტუ-ლი ბრალდების ფარგლებში, უტყუარად დაადგინოს ფაქტები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. სააპელაციო სასა-მართლომ საეჭვოდ და არასარწმუნოდ მიიჩნია დაზარალებულე-ბის ჩვენებები და მათ მიმართ კრიტიკული პოზიცია გაამყარა რამ-დენიმე არგუმენტით, რომლებსაც დაწვრილებით ქვემოთ მიმოვი-ხილავთ და რომლებიც, საკასაციო პალატის შეფასებით, მოკლე-ბულია გონივრულ საფუძველს და არ გამომდინარეობს მტკიცებუ-ლებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

21. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაზა-რალებულების ჩვენებების იმ ნაწილზე, სადაც მათ მიუთითეს, რომ 2017 წლის 3 აპრილს თ. ა. იყო განსაკუთრებულად ჯანმრთელი და ძლიერი იმ პირობებში, როდესაც მას გადაადგილებისა და მეტყვე-ლების უნარიც კი შეზღუდული ჰქონდა და ამასთან, საქმეში არსე-ბული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით ირკვეო-და, რომ 2018 წლის 21 სექტემბერს თ. ა-ს დაუდგინდა დიაგნოზი: მარგანეციით გამოწვეული ქრონიკული ენცეფალოპათია, პალიდუ-რი დეგენერაცია.

22. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანაშაულის

ჩადენიდან – 2017 წლის 3 აპრილიდან, ხანგრძლივი დროის შემდეგ, კერძოდ, 2018 წლის 21 სექტემბერს ჩატარებული სამედიცინო კვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ თ. ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო რთული, ვერაფრით გამორიცხავს მისი მხრიდან 2017 წლის 3 აპრილს ოჯახის წევრებზე ძალადობის ფაქტს. მეტიც, თ. ა-ს ბრალეულობას ვერც ის გააბათილებს, რომ ბრალდებულს სასამართლო განხილვების დროს შეზღუდული ჰქონდა გადაადგილებისა და მეტყველების უნარები, ვინაიდან სასამართლოში დაკითხულმა უკლებლივ ყველა მოწმემ თუ დაზარალებულმა – ი. ბ-მ, გ. და ა. ა-ებმა, ს. გ-მ, ლ. ხ-მ და ლ. ხ-მა, რომლებმაც პირადად ნახეს თ. ა. დანაშაულის ჩადენის დღეს და მომდევნო პერიოდშიც, ცალსახად დაადასტურეს, რომ ბრალდებულს ჯანმრთელობის გამოხატული პრობლემები არ აღენიშნებოდა, გადაადგილებისა და მეტყველების შესაძლებლობა წართმეული არ ჰქონია და ნამდვილად შესწევდა უნარი, ჩაედინა ბრალად წარდგენილი ქმედებები. საკასაციო პალატა აღნიშნავს: სააპელაციო სასამართლომ თ. ა-ს უდანაშაულოდ ცნობას საფუძვლად დაუდო შპს „პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის“ მიერ 2018 წლის 21 სექტემბერს გაცემული ცნობა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ყურადღების მიღმა დატოვა ამავე ცნობაში მითითებული გარემოება, რომლის მიხედვითაც, თ. ა-ს ჰქონდა რემისიის პერიოდი (პრეპარატ ვენლაქსინის ფონზე), რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს დაზარალებულების ჩვენებების სისწორეს და ადასტურებს მათ მონათხრობს, რომ თ. ა-ს ნარკოტიკული საშუალებების სისტემატურად მოხმარების გამო ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, თუმცა იღებდა გარკვეულ მედიკამენტებს, რომელთა მოქმედების ფონზე გამოიყურებოდა მხნედ და მკვეთრად უუმჯობესდებოდა ფიზიკური მდგომარეობა. ამავე ცნობით, რომელიც გაცემულია 2018 წლის 21 სექტემბერს, ირკვევა, რომ პაციენტის მდგომარეობა ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგრესირებდა, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თ. ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ ყოფილა სტაბილურად მძიმე, არამედ დანაშაულის ჩადენიდან კვლევის ჩატარებამდე გაუარესდა. ამდენად, საკასაციო პალატისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლება დანაშაულის ჩადენიდან თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ ჩატარებული სამედიცინო კვლევითა და დადგენილი დიაგნოზით გამოირიცხოს თ. ა-ს მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი და მით უფრო, გაუმართლებელია ამ საფუძვლით დაზარალებულების ჩვენებების არასანდოდ მიჩნევა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება შესაძლოა, გახდეს მისთვის და-

ნიშნული სასჯელის გადავადების წინაპირობა, თუმცა ვერაფრით გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას.

23. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ურთიერთგამომრიცხველია პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიციაც, რომელმაც, ერთი მხრივ, გამორიცხა თ. ა-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ოჯახის წევრებზე ძალადობის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, დაუშვა, რომ ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენის დროს თ. ა. შესაძლოა, ყოფილიყო აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, რაც იმთავითვე საფუძველს მოკლებული მტკიცებაა, ვინაიდან დადგენილია, რომ დაზარალებულები იყვნენ თავიანთ სახლში, სადაც მივიდა დანით შეიარაღებული თ. ა., დაესხათ მათ თავს და მიაყენა დაზიანებები. ასევე, საყურადღებოა თ. ა-სა და დაზარალებულების დაზიანებების ხასიათი და მათი ერთმანეთთან თანაფარდობა, როდესაც თავდასხმის შედეგად ი. ბ-ს – ერთი, ხოლო გ. ა-ს დანით ორი ჭრილობა აქვს მიყენებული, ხოლო ა. ა-ს მოტეხილი აქვს ხელი, თ. ა-ს კი დაკავებისას მარცხენა საფეთქელთან აღენიშნებოდა მცირე დაზიანება, რაც ცალსახად გამორიცხავს თ. ა-ს მიერ ოჯახის წევრების მხრიდან თავდასხმის მოგერიებასა და, შესაბამისად, უკიდურესი თავდაცვის მდგომარეობაში ყოფნას.

24. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულების – ი. ბ-ს, გ. და ა. ა-ების ჩვენებები იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, ალოგიკური და სხვა მტკიცებულებებთან შეუსაბამო. სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, დაზარალებულთა მონათხრობში შეინიშნება მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები, რაც უკარგავს მათ ჩვენებებს სანდოობას, მაგალითად:

– დაზარალებულმა ი. ბ-მ აღნიშნა, რომ თ. ა-მ „გაიმეტა“ გ. ა. და ორჯერ დაარტყა მას დანა, გ. ა-მ კი მიუთითა, რომ თ. ა-მ დანის წართმევისას მხარზე გაჰკრა და მიაყენა დაზიანება;

– ა. ა-მ დაადასტურა, რომ თ. ა. უქნევდა ხელებსა და ფეხებს და ფეხით მიაყენა დაზიანება ხელზე. ი. ბ-მ განმარტა, რომ თ. ა. ხელებსა და ფეხებს უქნევდა ა. ა-ს და დაუზიანა ხელი, ხოლო გ. ა-მ ივარაუდა, რომ თ. ა-მ ხელით მიაყენა ა. ა-ს დაზიანება, რადგან ფეხით ვერ მიაყენებდა;

– ი. ბ-მ განმარტა, რომ დერეფანი იყო არეული და სისხლით მოსვრილი, რაც არ დადასტურებულა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით;

– გ. ა-მ მიუთითა, რომ დანა თავად წაართვა თ. ა-ს, რომელიც ა. ა-მ გაიტანა სამზარეულოში, ხოლო ი. ბ-მ და ა. ა-მ აღნიშნეს, რომ დანა თავდამსხმელს გ. ა-მ წაართვა და თავადვე წაიღო სამზარეულოში;

– დაზარალებულებმა აღნიშნეს, რომ კონფლიქტის შედეგად ჭრილობა მიიღო ორმა დაზარალებულმა, თუმცა ამოღებულ დანაზე სისხლის კვალი არ დაფიქსირებულა.

25. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ დაზარალებულების ჩვენებებს შორის რაიმე არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რომლებიც საეჭვოს გახდიდა მათ სანდოობას, მტკიცებულებების გამოკვლევით არ დადგენილა, კერძოდ:

– დაზარალებულებმა – ი. ბ-მ და გ. ა-მ ცალსახად დაადასტურეს თ. ა-ს მხრიდან გ. ა-სთვის დანით ორი დაზიანების მიყენების ფაქტი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დაზარალებულებმა სუბიექტურად სხვადასხვაგვარად აღიქვეს თავდამსხმელის განზრახვა, რაც თავისთავად არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ გ. ა-ს დანით ჭრილობები სწორედ თ. ა-მ მიაყენა, რაშიც ორივე დაზარალებულის ჩვენება არის თანხვდენილი და თ. ა-ს ქმედებაში, სააპელაციო პალატის მიერ გაზიარებული მოცემულობითაც კი, გამოკვეთილია, როგორც მინიმუმ, არაპირდაპირი განზრახვის ელემენტი. ამასთან, საყურადღებოა, რომ სააპელაციო პალატამ შეფასების გარეშე დატოვა ის ფაქტი, რომ დანით ჭრილობების მიყენების გარდა, თ. ა-მ გ. ა-ს მუშტი ჩაარტყა სახეში და გაუხეთქა ტუჩი, რაც დამოუკიდებლადაც საკმარისია ქმედების ძალადობად კვალიფიკაციისათვის;

– სააპელაციო პალატამ დაზარალებულ გ. ა-ს ვარაუდი, რომ თ. ა. ფეხით ხელზე ვერ მიაყენებდა დაზიანებას ა. ა-ს, მიიღო ფაქტად, მაშინ, როდესაც სამივე დაზარალებული ცალსახად მიუთითებდა, რომ თ. ა. იქნევდა ხელებსა და ფეხებს, რის შედეგადაც დაუზიანა ხელი ა. ა-ს, ხოლო თავად ა. ა-მ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა, რომ თ. ა-მ ფეხსაცმლიანი ფეხით მიაყენა მას დაზიანება ხელზე, რაშიც, დაზიანების ბუნებიდან გამომდინარე (მე-5 მეტაკარპალური ძვლის ფუძის მოტეხილობა), არც საკასაციო პალატას ეპარება ეჭვი;

– სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულ ი. ბ-ს ჩვენება ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, რადგან დაზარალებულმა აღნიშნა, რომ დერეფანი იყო არეული და სისხლით მოსვრილი, რაც არ ასახულა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში, მაგრამ სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ დაზარალებულ ი. ბ-ს ჩვენება თანხვდენილია შემთხვევის ადგილზე მყისიერად მისული ს. გ-ს (პატრულ-ინსპექტორის) ჩვენებასთან, რომლებმაც აღნიშნა, რომ სახლის დერეფანი იყო არეული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნეიტრალური მოწმის – მ. ბ-ს ჩვენებასთან, რომელმაც

დაადასტურა, რომ ი. ბ-ს ბინაში დაინახა სისხლის წვეთები;

– ბუნდოვანი და გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომელმაც არადამაჯერებლად მიიჩნია დაზარალებულების განმარტებები მხოლოდ იმ არგუმენტით, რომ ამოღებულ დანაზე სისხლის კვალი არ დაფიქსირებულა, რის შესახებაც საკასაციო პალატა, ერთი მხრივ აღნიშნავს, რომ 2017 წლის 3 აპრილს დაზარალებულებისათვის დანით ნაკვეთი ჭრილობების მიყენების ფაქტი უტყუარად არის დადგენილი სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, რაშიც დაეჭვების გონივრული საფუძველი არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული ფოტოცხრილი, კერძოდ, ფოტოსურათი №2, ნამდვილად არ იძლევა იმის უპირობოდ მტკიცების შესაძლებლობას, რომ ამოღებულ დანაზე სისხლის კვალი არ ყოფილა. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა ტრასოლოგიური ექსპერტის განმარტება, რომელმაც ვერ გაიხსენა საკვლევ ობიექტზე (დანაზე) სისხლის კვალის არსებობა, რადგან ამ საკითხის გამორკვევა სცდებოდა მისი კვლევის საგანს.

26. საკასაციო პალატას მიაჩნია: დანაშაულის ჩადენიდან დაზარალებულების სასამართლოში დაკითხვამდე გასულია გარკვეული დრო და არ არის გამორიცხული, რომ მათ ობიექტურად არ ახსოვდეთ საქმისთვის უმნიშვნელო დეტალები და იმის განურჩევლად, მნიშვნელოვანია ეს დეტალები თუ არა (ასე, მაგალითად, ვინ გაიტანა თავდამსხმელისათვის წართმეული დანა სამზარეულოში), არ უნდა გახდეს იმის მტკიცების უპირობო საფუძველი, რომ ისინი უეჭველად ცრუობენ. მითუმეტეს, როდესაც სხვა, საქმისთვის მნიშვნელოვან დეტალებთან მიმართებით (ასე, მაგალითად, სად და როდის დაესხა თავს ი. ბ-ს თ. ა, რითი იყო იგი შეიარაღებული, ვის მიაყენა ჭრილობები, ვინ წაართვა დანა თავდამსხმელს და ვის გადასცეს იგი მოგვიანებით) დაზარალებულები იძლევიან თანმიმდევრულ და ამომწურავ ჩვენებებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უმნიშვნელო განსხვავებები, რაც შესაძლოა, შეინიშნებოდეს დაზარალებულთა მონათხრობში, მთლიანობაში ვერ დაუკარგავს მათ სანდოობას.

27. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასევე არ არსებობს იმ ეჭვის გაზიარების ობიექტური საფუძველი, რომ თითქოსდა, დაზარალებულებსა და თ. ა-ს შორის არსებობდა ქონებრივი დავა, რის გამოც შესაძლოა, ამხილეს იგი ოჯახის წევრებმა არჩადენილ დანაშაულში, ვინაიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არის დადასტურებული, რომ არც ამ სამოქალაქო დავაში ყოფილა თ. ა. სიმართლის მხარეს და დაზარალებულებს არაფერში სჭირდებოდათ უკანონო გზებით მისი ჩამოშორება და

მეტიც, უფრო სარწმუნოა, რომ ასეთი ინტერესი თ. ა-ს უნდა ჰქონოდა დაზარალებულების მიმართ, რომლის სამოქალაქო სარჩელი არ დააკმაყოფილა სასამართლომ და არა – პირიქით. საყურადღებოა, რომ 2017 წლის 25 აპრილს, დანაშაულის ჩადენიდან თითქმის სამი კვირის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმე განიხილა თ. ა-ს მონაწილეობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულების – ი. ბ-ს, გ. და ა. ა-ების ჩვენებები აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, ვინაიდან არ არის გამოკვეთილი მათი არასანდოდ მიჩნევის ობიექტური და დამაჯერებელი საფუძველი.

28. საკასაციო პალატას კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, საკმარისი, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით უტყუარად დადასტურებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ 2017 წლის 3 აპრილს თ. ა-მ დანის გამოყენებით, ფიზიკურად იძალადა ყოფილ მეუღლესა და შვილებზე, რის გამოც დაზარალებულებმა განიცადეს ფიზიკური ტკივილი, რომლის კვალიფიკაციაზე სასამართლო ქმედების სამართლებრივი შეფასებისას იმსჯელებს.

29. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლით კრიმინალიზებულია ოჯახში ძალადობა – ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის (ოჯახის წევრის) ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა. დანაშაული გამოიხატება: ა) ძალადობაში; ბ) სისტემატურ შეურაცხყოფაში, შანტაჟსა და დამცირებაში. ოჯახში ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ამასთან, ამ ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული მძიმე შედეგი. სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება – ქმედება ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ. ამავე მუხლის შენიშვნის თანახმად, მუხლის მიზნებისათვის ოჯახის წევრად ითვლებიან მათ შორის – შვილები და ყოფილი მეუღლე.

30. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ

წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა, უტყუარად დასტურდება თ. ა-ს მიერ ოჯახის სამი წევრის მიმართ ძალადობა და იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. ა-ს მართლწინააღმდეგობის ან/და ბრალის გამომრიცხველი რაიმე გარემოება სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადგენილა.

31. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

32. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

33. საკასაციო პალატა სასჯელის განსაზღვრისას ითვალისწინებს თ. ა-ს ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას – დამნაშავის ურყევ სურვილს, თავიანთ სახლში დასხმოდა თავს დაზარალებულებს და ფიზიკურად ეძალადა მათზე; ქმედების გან-

ხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს – დანაშაული ჩადენილია დანის გამოყენებით და ძალადობის შედეგად სამ დაზარალებულს მიადგა სხვადასხვა ხასიათის დაზიანებები; ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას – ჩადენილია განზრახ, ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც, მისი გავრცელების მასშტაბების გათვალისწინებით, მომეტებული საშიშროების მატარებელია; თ. ა-ს პიროვნებას – არის ნარკოტიკების მომხმარებელი და ხასიათდება უარყოფითად; დაზარალებულების პოზიციას – არ შერიგებიან თ. ა-ს; განსაკუთრებით კი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას – დაუდგინდა ქრონიკული ენცეფალოპათია, პალიდური დეგენერაცია და მიიჩნევს, რომ სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და თ. ა-ს პიროვნების გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ინტერესს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ანა კალანდაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. თ. ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1,151-ე მუხლით (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. თ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2017 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. თ. ა-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებაში ყოფნის დრო – 2017

წლის 3 აპრილიდან 2017 წლის 4 აპრილის ჩათვლით;

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 27 იანვრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და საქმის ხელმეორედ განსახილველად გაგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის

განჩინება
საქართველოს სახელით

№59ა3-20 2 ივლისი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
ლ. ფაფიაშვილი,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით ხიზანაიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დავით ხიზანაიძემ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ საქმეში მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები ი. კ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად; დაზარალებული ვ. ბ. გარდაცვლილია. სასამართლოში გამოქვეყნდა დაზარალებულის ჩვენება, რომელიც თავის მხრივ დასტურდება მოწმეების: ვ. ც-ს, მ. ფ-ს, მ. და ქ. გ-ების, ლ. თ-სა და მ. მ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სამედიცი-

ნო, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებიც საკმარისია ი. კ-ს მსჯავრდებისათვის.

2. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ი. კ-ს (დაბადებულს 19.. წლის .. იანვარს) ბრალი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 29 იანვარს ი. კ., მეტსახელად „კ.“, დაახლოებით 19:00 საათზე, მივიდა ... დასახლებაში მდებარე საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ, ა-დან დევნილ ნათესავ მ. გ-სთან, რომელთანაც ბინაში იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელის დედა – მ. ფ., თავად მ. გ., მისი მეზობელი ვ. ც. და ვ. ბ.. მათ ივახშმეს და მ. ფ-მ, ვ. ბ-მ და ი. კ-მ მიიღეს ერთი ბოთლი ალკოჰოლური სასმელი – არაყი „პარლამენტი“. დაახლოებით 21:00 საათზე ი. კ-მ გადაწყვიტა სახლში წასვლა და მ. გ-ს ბინიდან იგი გამოაცილეს ვ. ც-მ და ვ. ბ-მ. გზაში ვ. ბ. და ი. კ. შელაპარაკდნენ და ვ. ბ-მ ი. კ-ს ორჯერ დაარტყა თავი სახის არეში. ვ. ც-მ ისინი გააშველა, რის შემდეგაც ი. კ. წავიდა, ხოლო ვ. ც. და ვ. ბ. დაბრუნდნენ მ. გ-სთან სახლში, სადაც გვიანობამდე უყურებდნენ ტელევიზორს. დაახლოებით 01:30 საათზე ვ. ბ. ნავიდა თავის ბინაში და დაიძინა. ზემოაღნიშნული ჩხუბით განაწყენებული ი. კ. დაახლოებით 03:00 საათზე დაბრუნდა უკან, შეიპარა ვ. ბ-ს ბინაში და შურისძიების მოტივითა და მკვლელობის განზრახვით, გულმკერდის მარცხენა არეში სამჯერ დაარტყა ვ. ბ-ს ე.წ „სპიცი“ – ლითონის წვრილი ღერო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ვ. ბ. მეზობელმა გადაიყვანა ქალაქ თბილისის №.. კლინიკურ საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებით შეუნარჩუნეს სიცოცხლე.

3. ი. კ-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 18 ივნისის განაჩენით ი. კ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 18 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დავით ხიზანაიძემ, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით თბილისის

საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 18 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 132-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეული მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი დამოკიდებულების, დასაშვებობის, უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო საქმეზე შეკრებილი ყველა მტკიცებულება მათი ერთობლიობით – დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნისათვის საკმარისობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. კ-სთვის წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად ბრალდების მხარემ სასამართლოს წარუდგინა შემდეგი მტკიცებულებები: დაზარალებულ ვ. ბ-ს, მოწმეების: მ. გ-ს, მ. ფ-ს, ვ. ც-ს, ქ. გ-ს, ლ. თ-ს, მ. მ-სა და მ. ფ-ს ჩვენებები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, დაზარალებულის ტანსაცმლის წარმოდგენისა და დათვალიერების ოქმი, სამედიცინო, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულფასოვნად შეაფასა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და არასწორად იმსჯელა, რამდენად საკმარისი იყო მათი ერთობლიობა ი. კ-სათვის წარდგენილი ბრალდების დასადასტურებლად.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს სათანადო ყურადღება არ გაუმახვილებია იმ ფაქტზე, რომ დაზარალებულ ვ. ბ-ს ჩვენება შეესაბამებოდა და საქმის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით ზედმიწევნით თანხვდენილი იყო სხვა პირდაპირ მტკიცებულებებთან: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან, სამედიცინო, ფიზიკო-ტექნიკურ და ბიოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებთან.

6. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა ზემოაღნიშნული მტკიცე-

ულებები ერთობლივად და სათანადოდ არ იმსჯელა მასზედ, რომ დაზარალებულ ვ. ბ-ს ჩვენება, რომლის მიხედვით, ი. კ-მ ლითონის წვრილი ღეროთი (ე.წ. „სპიცით“) მიაყენა დაზიანებები, თვალნათლივ დასტურდებოდა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმად, ვ. ბ-ს დაუდგინდა ნაჩხვლეტი ჭრილობები გულმკერდის მარცხენა არეში, მარცხენა მხრისა და წინამხრის არეში, რომლებიც მიყენებული იყო მჩხვლეტავი საგნის მოქმედებით და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, რომლითაც დაზარალებულის ჯემპრზე გამოკვეთილია მრავლობითი დაზიანებები, რომელთა ნაწილი განვითარებული იყო სწორედ მჩხვლეტავი საგნის (საგნების) მოქმედებით; დაზარალებულის ჩვენება, რომ მან თავდაცვის მიზნით მოუქნია ხელი ი. კ-ს, რომელიც თავდამსხმელმა აიცილა და ფანჯრის მინა ჩაამსხვრია და ასევე, ი. კ-ს გაქცევამდე მან ესროლა „დიქტის“ ნაჭერი, დასტურდებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგებით, რომლის მიხედვით ვ. ბ-ს ბინაში ნანახი იქნა ჩამტვრეული ფანჯარა და აღმოჩენილი იქნა „დიქტის“ ნაჭერი, მოწითალო ფერის სისხლის ლაქებით.

7. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებიდან ერთადერთი, რომელიც მიუთითებს დანაშაულებრივ ქმედებასთან ი. კ-ს სავარაუდო კავშირზე, არის თავად დაზარალებული ვ. ბ., რომლის დაკითხვა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით არ მომხდარა და მის მიერ გამოძიების დროს მიცემული ჩვენება დაზარალებულის გარდაცვალების გამო საჯაროდ იქნა წაკითხული. სხვა მტკიცებულებებიდან ნაწილი არის ირიბი (მაგ: მოწმეები, რომლებიც მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას ფლობენ ვ. ბ-საგან), ხოლო ნაწილი – არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად (მაგ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად დაზიანების მიმყენებელი პირის იდენტიფიცირების კონტექსტში, ვინაიდან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შესაძლებელია დაზიანების არსებობის, რაოდენობის, მისი სიმძიმისა და ლოკალიზაციის, თუმცა არა მისი მიმყენებელი პირის განსაზღვრა). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იგი შორს არის იმ აზრისგან, რომ სასამართლოში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება, ცალკე აღებული, უნდა ადასტურებდეს პირის ბრალეულობას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მტკიცებულებითი წონა მცირდება, ვინაიდან მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი,

ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზეც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

8. სასამართლოში წარმოდგენილ თითოეულ მტკიცებულებასთან მიმართებით არსებობს გონივრული მოლოდინი, მტკიცების საგანთან (რომელშიც მოიაზრება: მომხდარი ფაქტის ნამდვილობა, დრო და ადგილი, ინციდენტში მონაწილე პირები, მათი მოქმედებანი და დამდგარი შედეგი, ქმედების ობიექტური (მიზეზობრივი) და სუბიექტური (მოტივი, განზრახვა) კავშირი ამ შედეგთან,) მიმართებით, რომელი გარემოება შეიძლება დაადასტუროს, უარყოს, საეჭვო გახადოს ან გამორიცხოს ამ მტკიცებულებამ. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას, რომ მოცემულ საქმეში სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არანაირ ინფორმაციას არ შეიცავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად და მიაჩნია, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა მკვლელობის მცდელობის საქმეში არა თუ შეიცავს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას საქმის ძირითად და არსებით გარემოებებთან მიმართებით, არამედ მსხვერპლისათვის მიყენებული დაზიანებების ლოკალიზაციის, რაოდენობის, ხასიათის, ხარისხისა და ხანდაზმულობის დადგენით დიდწილად განაპირობებს დანაშაულის კვალიფიკაციასა და ქმედების სწორ სამართლებრივ შეფასებას. ამასთან, ცალსახად გადაჭარბებულია სააპელაციო სასამართლოს მოლოდინი, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ამ მტკიცებულებაზე დაყრდნობით უნდა ყოფილიყო შესაძლებელი დამნაშავის იდენტიფიცირება, ვინაიდან სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დგინდება დაზარალებულისათვის მიყენებული სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები, ხოლო თავად ვ. ბ.ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებით, ერთობლივად – ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და მისი შესაძლო ჩამდენი პირის ვინაობა.

9. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადო ყურადღება არ გაამახვილა მოწმეების: ვ. ც-ს, მ. გ-ს, მ. ფ-ს, ქ. გ-ს, ლ. თ-სა და მ. მ-ს ჩვენებებზე და აღნიშნავს, რომ ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას იმის თაობაზე,

რომ გარდა დაზარალებულ ვ. ბ-ს გამოქვეყნებული ჩვენებისა, ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებები საბრალდებო დასკვნაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად ან უარსაყოფად ვერ გამოდგება, რადგან არის ირიბი, ვინაიდან, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ვ. ბ-სა და ი. კ-ს შორის ორჯერ მოხდა დაპირისპირება: პირველად, როდესაც ქუჩაში შელაპარაკებისას ვ. ბ. ხელით შეეხო ი. კ-ს, რომელიც დაემუქრა ამ უკანასკნელს, რომ „დაშტირავდა“ (Øòûðü (რუს) – წვრილი ლითონის ღერო) და მეორედ – როდესაც იმავე ღამეს ვ. ბ-ს სახლში შეპარვით მუქარა ზედმიწევნით შესრულდა. ამდენად, წარმოუდგენელია საქმის გარემოებების ობიექტურად დადგენა და განვითარებული მოვლენების მთლიანი სურათის სრულყოფილად აღქმა დაპირისპირების ამ ორივე ეპიზოდის ერთობლივად შეფასების გარეშე, ვინაიდან მოცემულ საქმეზე ერთი შემთხვევა მეორის წინაპირობაა, ხოლო მეორე – პირველის გაგრძელება. ი. კ-სა და ვ. ბ-ს პირველი კონფლიქტის თვითმხილველი მოწმეა ვ. ც., რომლის ძალზედ მნიშვნელოვანი ჩვენებით დგინდებოდა დანაშაულის შესაძლო მოტივი (შურისძიება), დამნაშავის შესაძლო მიზანი (მუქარისამებრ, სწორედ ლითონის ღეროთი (ე.წ. „სპიცით“) მიეყენებინა ჭრილობები დაზარალებულისათვის) და დანაშაულის წინაპირობები, ხოლო მოწმეების: მ. გ-ს, მ. ფ-ს, ქ. გ-ს, ლ. თ-სა და მ. მ-ს ჩვენებებით დგინდებოდა ის გარემოება, თუ რა ზიანი მიადგა ვ. ბ-ს დანაშაულის შედეგად, რა მდგომარეობაში იყო იგი შემთხვევის ღამეს და რას განმარტავდა იგი მომხდარის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ პირველად მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ი. კ. შურისძიების საკმაოდ სპეციფიკური ფორმით დაემუქრა ვ. ბ-ს, უთხრა, რომ ამას ასე არ დატოვებდა და აუცილებლად „დაშტირავდა“, რაც იმავე ღამეს ზედმიწევნით აღსრულდა კიდეც და ვ. ბ-ს ლითონის ღეროთი (ე.წ. „სპიცით“) მიაყენეს სიცოცხლისათვის საზიფათო არაერთი ჭრილობა.

10. სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ ყველა ზემოაღნიშნული მოწმის ჩვენება არის ირიბი და შუძლებელია მათ საფუძველზე სასამართლომ უტყუარად დაადგინოს ფაქტები და მით უფრო – საფუძვლად დაუდოს გამამტყუნებელ განაჩენს, არასწორია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინა ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გაემიჯნა, რომელი ჩვენება ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენდა ირიბს და შემდეგ გადაეწყვიტა, რამდენად იყო შესაძლებელი ამ ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ცალმხრივ მსჯე-

ლობას იმის თაობაზე, რომ მოწმეების: ვ. ც-ს, მ. გ-ს, მ. ფ-ს, ქ. გ-ს, ლ. თ-სა და მ. მ-ს ჩვენებები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, არის ირიბი, ვინაიდან მოწმეთა ჩვენებების ნაწილი მართლაც შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რაც მათთვის სხვა წყაროებიდან გახდა ცნობილი, თუმცა მათი მონათხრობი ასევე ეხება ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რაც მათ საკუთარი თვალით იხილეს. ზემოაღნიშნული ჩვენებები, ერთი მხრივ, ავსებს საქმეზე არსებულ სხვა პირდაპირ მტკიცებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს მათ გაგრძელებას. ასე, მაგალითად: მოწმე ვ. ც. ვ. ბ-სა და ი. კ-ს პირველი დაპირისპირების მოწმეა, რომელსაც თავად შეესწრო; ამავე კონფლიქტს ადასტურებს მოწმე მ. მ., რომელმაც მოკამათეთა შორის შეიცნო თავისი მეზობელი ვ. ბ.; მოწმეების მ. გ-ს, მ. ფ-სა და ქ. გ-ს ჩვენებებით დგინდება შემთხვევის დღეს მათ ოჯახში ვ. ბ-სა და ი. კ-ს შეხვედრის ფაქტი და ასევე, ირკვევა დაჭრილი დაზარალებულის მდგომარეობა, რომელიც თავდასხმის შემდეგ მეზობლებისგან ითხოვდა შველას და მის მიმართ ჩადენილ დანაშაულში ამხელდა ი. კ-ს; დაჭრილი ვ. ბ-ს ჰოსპიტალიზაციის დეტალები აღწერა თავის ჩვენებაში მოწმე ლ. თ-მ, რომლის შემსწრეც იგი გახდა შემთხვევის ღამეს. ამდენად, ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები ვ. ბ-სა და ი. კ-ს შორის კონფლიქტის წინაპირობებზე, მათ ფიზიკურ დაპირისპირებასა და ი. კ-ს კონკრეტულ მუქარაზე, რაც მალევე ზედმიწევნით აღსრულდა, აგრეთვე იმ ზიანთან მიმართებით, რაც დაზარალებულს მიადგა თავდასხმის შედეგად, არაფრით შეიძლება შეფასდეს როგორც ირიბი ჩვენებები.

11. საკასაციო პალატა აქვე დასძენს, რომ ზემოაღნიშნული მოწმეები ვერ იქნებოდნენ ვ. ბ-ზე უშუალოდ თავდასხმის შემსწრე პირები, ვინაიდან დადგენილია, რომ დანაშაული ჩადენილია გვიან ღამით, დაზარალებულის სახლში შეპარვით, რისი თვითმხილველებიც იყვნენ მხოლოდ თავდამსხმელი და დაზარალებული და ამდენად, სასამართლოს, ამ მტკიცებულებების ბუნებიდან გამომდინარე არც უნდა ჰქონოდა იმაზე მეტის დადგენის მოლოდინი, ვიდრე ეს თავად ამ მტკიცებულებების შინაარსიდან გამომდინარეობს. სასამართლო ზემოაღნიშნულ ჩვენებებს მიიჩნევს საქმისთვის მნიშვნელოვან სამხილებად, რომელთა ერთობლივი ანალიზი, დაზარალებულ ვ. ბ.ს ჩვენებასთან, ექსპერტიზის დასკვნებსა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმთან ერთად, იძლეოდა შემთხვევის დღეს განვითარებული მოვლენების მთლიანობაში აღქმისა და საქმეზე ობიექტური რეალობის დადგენის შესაძლებლობას.

12. საკასაციო პალატა ასევე არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მოტივაციას, რომლის საფუძველზეც არ იქ-

ნა გაზიარებული ბრალდების მხარის საჩივარი, იქიდან გამომდინარეც, რომ დაზარალებულის ჩვენება არ იყო გამყარებული საქმეში არსებული სხვა არცერთი მტკიცებულებით და სწორედ ამ ერთადერთ მტკიცებულებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ი. კ-ს მსჯავრდებისათვის, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საკასაციო პალატა დაზარალებულ ვ. ბ-ს გამოქვეყნებულ ჩვენებასთან მიმართებით იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებას საქმეზე „ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ", რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ შემუშავებული პრინციპების მიხედვით, აუცილებელია სამ ეტაპად იქნეს შესწავლილი სამართალწარმოების შესაბამისობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 (დ) პუნქტებთან, როდესაც სასამართლო პროცესზე მტკიცებულებების სახით გამოყენებულ იქნა იმ მოწმის ჩვენება, რომელიც არ ესწრებოდა სასამართლო პროცესს და არ დაუკითხავთ. სასამართლომ უნდა შეისწავლოს:

(i) არსებობს თუ არა მოწმის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზი და შედეგად შესაძლებელია თუ არა დაუსწრებელი მოწმის გადაუმოწმებელი ჩვენებების გამოყენება;

(ii) არის თუ არა დაუსწრებელი მოწმის ჩვენება ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი, ან გადამწყვეტი საფუძველი;

(iii) არსებობს თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები, მათ შორის – ქმედითი პროცესუალური გარანტიები, რათა დაცვისთვის გადაუმოწმებელი მტკიცებულებების დაშვებით მიყენებული ზიანი დაბალანსდეს და უზრუნველყოფილი იყოს მთლიანი სასამართლო განხილვის სამართლიანობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №9154/10 საქმეზე Schatschaschwili v. Germany, [GC], §105-107).

14. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა დაზარალებულის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი – ვ. ბ. გარდაიცვალა და საკმარისი ქმედითი პროცესუალური გარანტიები, რათა დაცვისთვის გადაუმოწმებელი მტკიცებულების დაშვებით მიყენებული ზიანი დაბალანსებულიყო – სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით, რა დროსაც როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ თავიანთი მტკიცებულებები, მონაწილეობა მიეღოთ მოწინააღმდეგე მხარის სამხილების გამოკვლევაში და ჯეროვნად დაეცვათ თავიანთი პოზიციები; იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაზარალებული გარდაიცვალა და ობი-

ექტურად ვერ მოხერხდებოდა მისი ჯვარედინი დაკითხვა, დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილისა და თვითმხილველების გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც თანხვდენილი იყო დაზარალებულის ჩვენებასთან და რომელიც დაცვის მხარემ უშუალოდ და ზეპირად გამოიკვლია; ყველა დანარჩენმა მოწმემ ჩვენება მისცა სასამართლო განხილვისას და მათი სარწმუნოობა ჯვარედინი დაკითხვით შემოწმდა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულ ვ. ბ.ს ჩვენება არ ყოფილა არც ერთადერთი და არც გადამწყვეტი მტკიცებულება, ვინაიდან ი. კ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად, გარდა დაზარალებულის გამოქვეყნებული ჩვენებისა, სასამართლოს წარედგინა: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, სამედიცინო, ფიზიკო-ტექნიკური და ბიოლოგიური ექსპერტიზების დასკვნები, მოწმეების: ვ. ც-ს, მ. გ-ს, მ. ფ-ს, ქ. გ-ს, ლ. თ-სა და მ. მ-ს ჩვენებები, რომელთა ერთობლიობა სათანადო გულისხმიერებით არ შეუფასებია სააპელაციო სასამართლოს.

15. რაც შეეხება ბრალად წარდგენილ ქმედებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს:

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლი:

ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი:

ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი....

16. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, თავი შეიკავონ სიცოცხლის განზრახ და უკანონო ხელყოფისგან (ნეგატიური ვალდებულება) და ასევე გაატარონ შესაბამისი ზომები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფთა სიცოცხლის დასაცავად (პოზიტიური ვალდებულება). ამდენად, უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული არცერთი დანაშაული არ დარჩეს დაუსჯელი და ყველა საქმეზე აღსრულდეს მართლმსაჯულება, მიუხედავად იმისა, გასულია თუ არა ხანგრძლივი დრო ქმედების ჩადენიდან, ცოცხალია თუ არა დაზარალებული და აცხადებს თუ არა იგი პრეტენზიას.

17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გან-

მარტებულია: როდესაც საკითხი ეხება ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების განხორციელებას, მთლიანი სამართალწარმოება, მათ შორის სასამართლო განხილვა, უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს, კანონის ძალით იქნეს დაცული ადამიანთა სიცოცხლე. მაშინ, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება ყოველი ბრალდების საქმე დამთავრდეს პირის მსჯავრდებით ან კონკრეტული სასჯელის დანიშვნით, ეროვნული სასამართლოები არ უნდა იყვნენ განწყობილი იმისთვის, რომ დაუშვან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაუსჯელად დატოვება. სასამართლოს ამოცანა შესაბამისად შემოიფარგლება იმის განხილვით, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სათანადო ყურადღება გამოიჩინეს და რომ სასამართლოს, როგორც შემაკავებლის როლი და ამ როლის ის მნიშვნელობა, რაც მას ეკისრება სიცოცხლის უფლების დარღვევების პრევენციაში, არ შერყეულა (იხ. მაგალითად, Giuliani and Gaggio v. Italy [GC], no. 23458/02, § 306, ECHR 2011, Enukidze and Girgvliani v. Georgia, no. 25091/07, § 242, Vazagashvili and Shanava v. Georgia, no. 50375/07, § 84).

18. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე და სასამართლო ვალდებულნი არიან, უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით; ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით – არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო მტკიცებულებებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით; მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით.

19. ამდენად, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ ი. კ.ს ბრალდების საქმის განხილვისას სათანადოდ არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მე-18, მე-19 მუხლებით დად-

გენილი მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის განხილვის შედეგზე კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით, რაც ამავე კოდექსის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ი. კ-ს მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც ჯეროვნად უნდა გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება. ამისთვის სააპელაციო სასამართლომ საჭიროების შემთხვევაში ხელახლა უნდა დაკითხოს მოწმეები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა საპროცესო მოქმედებებიც, რის შედეგადაც მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით ხიზანაიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ი. კ.ს მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განაჩენში ცვლილების შეტანა და პირის უდანაშაულოდ ცნობა ქურდობის ბრალდების ნაწილში

განაჩენი
საქართველოს სახელით

№338ა3-20 6 აგვისტო, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 11 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 აგვისტოს განაჩენით ნ. შ. დაბადებული 2.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ნ. შ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2019 წლის 10 მარტიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2019 წლის 9 იანვარს, ღამის საათებში, ქურდობისათვის ნასამართლევმა ნ. შ-მ უკანონოდ შეაღწია წ-ს რ-ს ს. გ-ში მდებარე წყლის გამწმენდი ნაგებობის საოპერატორო შენობაში, საიდანაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა შპს „ჯ-ს“ კუთვნილ, 124 მეტრ ოთხწვერიან სადენს და 88 მეტრ რვაწვერიან სადენს, ტ. გ-ს კუთვნილ „A“-ის ფირმის ელექტრობურღს; „R.“-ის ელექტრო-

ბურღს და „F.“-ის ფირმის ელექტრობურღს. ქურდობის შედეგად შპს „ჯ-ს“ მიადგა 187 ლარისა და 20 თეთრის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი, ხოლო ტ. გ-ს – 160 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2019 წლის 10 მარტს, დაახლოებით 22:45 საათზე, წ-ში, 9-ს ქუჩების გადაკვეთაზე, ნ. შ-მ დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა წ-ს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ზ-ს. ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის მისი დაკავებისას არ დაემორჩილა პოლიციის მუშაკის, ნ. ზ-ის და ადგილზე მისული წ-ს რაიონული სამმართველოს მუშაკების კანონიერ მოთხოვნას, რა დროსაც პოლიციის მუშაკებს ძალადობის გამოყენებით არ მისცა შესაძლებლობა, განეხორციელებინათ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბ. გ-ს, ნ. ზ-ს, დ. ნ-სა და მ. უ-ს. ბ. გ-ს, დ. ნ-სა და მ. უ-ს დაუზიანა სამსახურებრივი ფორმის სვიტერი.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 თებერვლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 26 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული ნ.შ. საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მსჯავრდებულ ნ. შ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება ნ. შ-ისათვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

3. მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის, წ-ს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის – ნ. ზ-ის ჩვენებით დადგე-

ნილია, რომ 2019 წლის 10 მარტს, დაახლოებით ღამის 11:00 საათზე, სამსახურებრივი ავტომობილით მოძრაობდა წ-ს ტერიტორიაზე, კერძოდ, ... ქუჩების კვეთაზე, შეჩერდა შუქნიშანთან, წითელ შუქზე. ამ დროს დაინახა, რომ სამი პირი, რომელთაგან ორი მისთვის უცნობი იყო, ხოლო ერთ-ერთი იყო ნ. შ., გადმოდიოდნენ გადასასვლელზე, ნ. შ-მაც, რომელიც რამდენჯერმე ჰყავდა დაკავებული, შეიცნო იგი, მიტრიალდა მისი ავტომანქანისკენ და ხმამაღლა შეაგინა. გადმოვიდა ავტომანქანიდან და ჰკითხა, თუ რატომ აგინებდა, რაზედაც ნ. შ-მ ისევ შეაგინა, ხოლო მისთვის უცნობი შ-ის თანმხლები ორი პირი გაიქცა. აღნიშნულის გამო, ნ. ზ-მა მას განუმარტა, რომ იყო პოლიციის თანამშრომელი და მისი საქციელი იყო კანონსაწინააღმდეგო, რაზეც ნ. შ. განაგრძობდა მის გინებას. ამიტომ მოწმემ გადასცა ჯერ რაციაზე, ხოლო შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა პოლიციის სამორიგეოს, რომ გამოეშვათ დამხმარე ჯგუფი და თვითონ დაიწყო მისი დაკავება, თან შეეცადა განემარტა მისთვის, რომ ადმინისტრაციული წესით აკავებდა პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფისთვის. ამასობაში ადგილზე მივიდა ოპერატიული ჯგუფიც მ. უ-ს, ბ. გ-ის და დ. ნ-ს შემადგენლობით, სამივე თანამშრომელს ეცვა სამსახურებრივი ფორმა. თავად უთხრა ბ. გ-ს დაეწყო ვიდეოგადაღება, რა დროსაც აღნიშნულზე გაღიზიანებულმა ნ. შ-მ მიმართა აგრესია ბ. გ-ისკენ და დაუწყო ცემა. ბ. გ-მ ველარ შეძლო გაეგრძელებინა გადაღება, რადგან ნ. შ-ს იგერიებდა, თავადაც შეეცადა დახმარებოდა ბ. გ-ს, ჩაერთო მის დაკავებაში, რა დროსაც ნ. შ-მ მას სახეში ჩაარტყა თავი, რითაც მიაყენა ტკივილი. აგრეთვე, ნ. შ-მ ჯიბიდან ამოიღო წვრილწვერიანი, დაახლოებით 20 სმ სიგრძის სადგისის მაგვარი ე.წ. „შტირი“ და სურდა დაერტყა მისთვის, თან ყვიროდა „დაგჩეხავო“. თავად წაართვა აღნიშნული საგანი. ნ. შ. როგორც მას, ასევე დანარჩენ პოლიციის სამ თანამშრომელს უწევდა წინააღმდეგობას, ურტყამდა, ახევდა სამსახურებრივ ფორმას, აყენებდა მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. დაზარალებულის განმარტებით, ნ. შ-ის დაკავება გაუჭირდათ მისი მხრიდან განხორციელებული აგრესიული და ძალადობრივი ქმედებების გამო. ამ მიზეზით შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის ადგილზე შედგენა. დაკავების ოქმი შედგა პოლიციის განყოფილებაში.

4. მოწმის სახით დაკითხულ, დაზარალებულ, წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – დ. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 10 მარტს, ღამის საათებში, დაახლოებით 11 საათისთვის, სამსახურებრივი ავტომანქანით, თანამშრომლებთან – ბ. გ-სა და მ. უ-სთან ერთად გადაადგილდებოდა ქ. წ-ს ტერიტორიაზე, როდესაც რაციით მიიღეს წ-ს რაიონული სამმარ-

თველოს უფროსის მოადგილე ნ. ზ-ის შეტყობინება, რომ სჭირდებოდა დახმარება. გამოცხადდნენ ადგილზე, სადაც ნ. შ. აგინებდა და წინააღმდეგობას უწევდა ნ. ზ-ს. ბ. გ-მა დაიწყო ვიდეოგადაღება, ხოლო თავად ცდილობდა დაეკავებინა ნ. შ., რომელმაც დაარტყა სახის არეში და შემოახია სამსახურებრივი ფორმა (სვიტერი). მოწმის განმარტებით, ნ. შ. იყო ძალიან აგრესიული, წინააღმდეგობას უწევდა თითქმის ყველა პოლიციელს და საცემად იწევდა მათკენ.

5. მოწმის სახით დაკითხულ, დაზარალებულ, წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – მ. უ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 10 მარტს, ღამის საათებში, დაახლოებით 11 საათისთვის, სამსახურებრივი ავტომანქანით, ოპერატიულ თანამშრომლებთან ბ. გ-თან და დ. ნ-სთან ერთად გადაადგილდებოდა ქ. წ-ს ტერიტორიაზე, როდესაც რაციით მიიღეს წ-ს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის – ნ. ზ-ის შეტყობინება, რომ სჭირდებოდა დახმარება. როცა მითითებულ მისამართზე მივიდნენ ნახეს, რომ ნ. ზ. ცდილობდა დაეკავებინა ნ. შ. , რომელიც იყო ძალიან აგრესიული, იგინებოდა, ნ. ზ-ს აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას და დაარტყა თავი სახის არეში. ნ. შ. მათ დანახვაზე კიდევ უფრო აგრესიული გახდა, ყველა იქ მყოფი პოლიციელის მიმართ ახორციელებდა, როგორც სიტყვიერ, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას, ჰქონდა ე.წ. „შტირი“, რომლის დარტყმაც უნდოდა ნ. ზ-ისთვის, თუმცა ამის საშუალება არ მისცეს და ეს საგანი წაართვეს. ნ. შ-მ პირადად მას შემოახია პოლიციის უნიფორმა, დაარტყა რამდენჯერმე, თუმცა მას არ მიუღია რაიმე სახის შესამჩნევი დაზიანება. მართალია, გაუჭირდათ ნ. შ-ის დაკავება, თუმცა საბოლოოდ მაინც დააკავეს და გადაიყვანეს წ-ს რაიონულ სამმართველოში.

6. მოწმის სახით დაკითხულ, დაზარალებულ, წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – ბ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 10 მარტს, ღამის საათებში, დაახლოებით 11 საათისთვის, სამსახურებრივი ავტომანქანით, ოპერატიულ თანამშრომლებთან მ. უ-სთან და დ.ნ-სთან ერთად გადაადგილდებოდა ქ. წ-ს ტერიტორიაზე, როდესაც რაციით მიიღეს წ-ს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის ნ. ზ-ის შეტყობინება, რომ სჭირდებოდა დახმარება. მისამართზე მისვლისას ნ. ზ. ცდილობდა დაეკავებინა ნ. შ. და ჩაესვა მანქანაში, თუმცა ის აგრესიულ წინააღმდეგობას უწევდა, ურტყამდა და აგინებდა. ნ. ზ-მა მას უთხრა, რომ დაეწყო ვიდეოგადაღება, ხოლო როცა ნ. შ-მ დაინახა, რომ მას ვიდეოზე აფიქსირებდა, მთელი აგრესია მიმართა მისკენ, დაუწყო ცემა და გინება, დაარტყა სახის არეში, ჩამოახია პოლიცი-

ელის ფორმის სამხრე, რის გამოც მან ველარ მოახერხა ვიდეოგადაღების გაგრძელება. შემდეგ დ. ნ-სა და მ. უ-ს დახმარებით მოხდა ნ. შ-ის ქმედების აღკვეთა და მოწმემ გააგრძელა ვიდეოგადაღება. ნ. შ. შეეცადა ე.წ. „შტირი“ დაერტყა ნ. ზ-ისთვის, რაც წაართვა ნ. ზ-მა. ბრალდებულმა ნ. ზ-ს თავი ჩაარტყა სახის მიდამოში, რა დროსაც თავად ნ. შ-ს წამოუვიდა სისხლი. მოწმის განმარტებით ნ. შ. იყო ზედმეტად აგრესიული, ამიტომ გაჭირდა მისი დაკავება და პოლიციის ავტომანქანაში ჩასმა. ბრალდებულის დაკავების ოქმი შედგა წ-ს რაიონულ სამმართველოში მიყვანის შემდეგ, რაზეც ნ. შ-მ ხელი არ მოაწერა.

7. მოწმის სახით დაკითხულ, წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის – ო. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მან პოლიციის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული წინააღმდეგობის ფაქტზე დაკავებული ნ. შ. გამოკითხა, მისივე ნებართვით ამოიღო ტანსაცმელი, რომელიც მას ეცვა შემთხვევის დროს და ასევე მისი თანხმობით აიღო ნერწყვის ნიმუში.

8. მოწმის სახით დაკითხულ, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის – ა. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 11 მარტს იყო მორიგე გამომძიებელი წ-ს რაიონულ სამმართველოში. მან დაიწყო გამოძიება ნ. შ-ს მიერ პოლიციის მუშაკების მიმართ განხორციელებული წინააღმდეგობის ფაქტთან დაკავშირებით და გამოკითხა მოწმეები: ნ. ზ., დ. ნ., ბ. გ. და მ. უ.. მათგან გადაუდებელი აუცილებლობის წესითა და მათივე თანხმობით ამოიღო ე.წ. „შტირი“ და ბ. გ-ს მიერ გადაღებული ნ. შ-ს დაკავების ამსახველი დისკი და სამსახურებრივი ფორმის ქურთუკები, რომლებიც დაილუქა სათანადო წესით და დაინიშნა ექსპერტიზები. აღნიშნულის შემდეგ მითითებული პირები ცნობილ იქნენ დაზარალებულებად, გამოიტანეს დაზარალებულად ცნობის დადგენილება, რასაც გაეცნენ დაზარალებული პირები.

9. დაკავების ოქმის თანახმად, 2019 წლის 10 მარტს 23:20 საათზე წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ბ. გ-მ ქ. წ-ში, 9-ს ქუჩის გადაკვეთაზე ბრალდებულის სახით დააკავა ნ. კ-ს ძე შ.

10. ბრალდებულის დაკავების თაობაზე ოჯახის წევრისათვის შეტყობინების შესახებ ოქმით დადგენილია, რომ დაკავებული ბრალდებულის, ნ. შ-ს დედას – ნ. შ-ს, 2019 წლის 11 მარტს, 01:30 საათზე, შს წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ – გამომძიებელმა ბ. გ-მა აცნობა მისი შვილის – ნ. შ-ს დაკავების თაობაზე საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით (პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობის ფაქტზე) გათვალის-

წინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი ბ. გ. და ბრალდებულის დედა-ნ. შ..

2019 წლის 11 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა ა. ქ-მ 02:10 საათიდან 02:25 საათამდე დროის პერიოდში, ნ. ზ-საგან ამოიღო მის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი ლითონის წკირი ე.წ. „შტირი“ საშუალო ზომის მრგვალი ფორმის წამახვილებული ლითონის წვერით, რომელსაც სახელურზე დახვეული აქვს მოცისფრო-მოწითალო ფერის ძაფი.

11. 2019 წლის 11 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ ა. ქ-მ 03:00 საათიდან 03:15 საათამდე დროის პერიოდში ბ. გ-საგან ამოიღო მის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი, მისი კუთვნილი, პოლიციელის მოლურჯო ფერის უნიფორმის სვიტერი, რომელსაც დაზიანებული აქვს მარჯვენა სამხრე ერთი ცალი CD-R დისკი, რომელზეც განთავსებულია ნ. შ-ს დაკავების ამსახველი ვიდეოჩანაწერი ორ ფაილად.

2019 წლის 11 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელმა ა. ქ-მ 04:00 საათიდან 04:15 საათამდე დროის პერიოდში მ. უ-საგან ამოიღო მის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი მისი კუთვნილი პოლიციელის მოლურჯო ფერის უნიფორმის სვიტერი, რომელსაც დაზიანებული აქვს მარცხენა სამხრე.

12. 2019 წლის 11 მარტის ამოღების ოქმის თანახმად, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ ა. ქ-მ 04:50 საათიდან 05:05 საათამდე დროის პერიოდში დ. ნ-საგან ამოიღო მის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი მისი კუთვნილი პოლიციელის მოლურჯო ფერის უნიფორმის სვიტერი, რომელსაც დაზიანებული აქვს მარჯვენა სამხრე.

13. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2019 წლის 11 მარტს, 07:00-07:08 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმებისას, მოქ. ნ. ზ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანება ნაჭდევის სახით. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

14. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2019 წლის 11 მარტს 21:15-21:45 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმე-

ბისას, მოქ. ნ. შ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები დამწვრობის, სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით. დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და ნაჭდევების სახით განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად; დაზიანება (II ხარისხის) დამწვრობის სახით განვითარებულია რაიმე მაღალი ტემპერატურის ადგილობრივი ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით; დაზიანებები ნაჭდევების სახით ხანდაზმულობით არ შეესაბამება დადგენილებაში მითითებულ თარიღს (10.03.2019წ); ხოლო დანარჩენი დაზიანებები სისხლნაჟღენთების, დამწვრობისა და გულმკერდის უკანა ზედაპირზე, ზედა მესამედში, მარცხნივ მოწითალო ფერის ნაჭდევის სახით ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს (10.03.2019წ).

15. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა შ. თ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნების სისწორე.

16. 2019 წლის 12 მარტის დათვალიერების ოქმის თანახმად, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივების განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ ა. ქ-მ 12:40 საათიდან 13:10 საათამდე დროის პერიოდში დაათვალიერა CD-R დისკი. ფაილი №1 წარწერით: „v...“, რომლის ჩანაწერის ხანგრძლივობაა 30 წამი, ფაილის გახსნისას ვიდეოჩანაწერში ჩანს შსს წ-ს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ზ., რომელსაც აცვია მოლურჯო ფერის ჯინსის შარვალი და მოშავო ფერის ტყავის ქურთუკი. იგი ცდილობს ავტომანქანაში ჩასვას ნ. შ. რომელსაც აცვია მოლურჯო ფერის ჯინსის შარვალი, მოშავო ფერის ქურთუკი, ხოლო ქურთუკის შიგნით მოყვითალო ფერის სვიტერი. იგი უწევს წინააღმდეგობას ნ. ზ-ს, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და სახის არეში მარცხენა მხარეს ურტყამს თავს და ხელს. ასევე აგინებს დედას ვიდეო ჩანაწერის გადამღებს, რომელიც ბ. გ-ს განმარტებით არის თვითონ და იფურთხება მისი მისამართით, ნ. ზ. მას მოუწოდებს, რომ დაწყნარდეს. ფაილი №2 წარწერით: „v..“, რომლის ჩანაწერის ხანგრძლივობაა 81 წამი, ფაილის გახსნისას ვიდეო ჩანაწერში ჩანს ნ. შ., რომელსაც იგივე ტანსაცმელი აცვია, იგი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს და აგინებს დედას შსს წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის-ინსპექტორ გამომძიებელ დ. ნ-ს, რომელსაც აცვია პოლიციის უნიფორმის მოლურჯო ფერის სვიტერი. დ. ნ. ცდილობს შებოჭოს ნ. შ. კადრში მთელი ჩანაწერის განმავლობაში ისმის ბ. გ-ს ხმა, რომელიც აწარმოებს ვიდეო გადაღებას, იგი მოუწოდებს ნ. შ-

ს დაწყნარდეს, აფრთხილებს, რომ არ შეაგინოს და ხელი არ დაარტყას პოლიციის თანამშრომლებს. ნ. შ. წინააღმდეგობას უწევს დ.ნ-ს, აგინებს, უყვირის, რომ „თუ არ ჩამოგაგლიჯო მაგ პაგონები, ჩემი დედაო“ სახის არეში ურტყამს ხელს და უზიანებს მარჯვენა სამხრეს. ჩანაწერში 70 წამზე ჩნდება ნ. ზ., რომლის დახმარებით დ. ნ-მ ნ. შ. ჩასვა ავტომანქანაში. ამით ჩანაწერი სრულდება.

17. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა CD დისკზე არსებული ვიდეოჩანაწერი. უდავოდ მიჩნეული ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №.. დასკვნის თანახმად, პაკეტში წარწერით „მ. უ-საგან ამოღებული პოლიციელის უნიფორმის დაზიანებული სვიტერი“ მოთავსებულ მოლურჯო ფერის სვიტერზე არსებული ბიომასალის (ობ. №4,5) გენეტიკური პროფილები შერეულია, ობ. №4-ის (სამხრეები და მიმდებარე ზედაპირი) გენეტიკური პროფილი იდენტიფიკაციისათვის არაინფორმატიულია, ობ. N5-ის (წინა ზედაპირი) გენეტიკური პროფილის მინორული წილი ეკუთვნის ნ. შ-ს (ობ. №17, პაკეტი წარწერით „ბრალდებულ ნ. შ-საგან აღებული ნერწყვის ნიმუში“), ხოლო მაჟორული წილი მამრობითი სქესის სხვა პირს. პაკეტში წარწერით „ბ. გ-საგან ამოღებული პოლიციელის უნიფორმა დაზიანებული“ მოთავსებულ მოლურჯო ფერის სვიტერზე არსებული ბიომასალის (ობ. №6,7) გენეტიკური პროფილები შერეულია, ობ. №6-ის (სამხრეები და მიმდებარე ზედაპირი) გენეტიკური პროფილი იდენტიფიკაციისათვის არაინფორმაციულია, ობ. №7-ის (წინა ზედაპირი) გენეტიკური პროფილის ერთი წილი ეკუთვნის ნ. შ-ს (ობ. №17); პაკეტში წარწერით „ქ-ის დროებითი მოთავსების იზოლატორში ნ. შ-საგან ამოღებული ტანსაცმელი“ მოთავსებულ მოშავო ფერის კაპიუშონიან ქურთუკზე (ობ. №8,10) მოყვითალო ფერის კაპიუშონიან გრძელსახელოებიან მაისურზე (ობ. №11,13) და მოლურჯო ფერის ჯინსის შარვალზე (ობ. №14,16) არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის ნ. შ-ს (ობ. №17).

18. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი დოკუმენტების მიხედვით დადგენილია, რომ დაზარალებულებისაგან ამოღებულია დაზიანებული სამსახურებრივი ფორმები, ნ. ზ-საგან ასევე ამოღებულა ე.წ. „შტირი“, ბ. გ-საგან ამოღებული იქნა ერთი ცალი CD დისკი. სხდომაზე გამოკვლეული ბ. გ-საგან ამოღებული ვიდეო ჩანაწერი სრულ შესაბამისობაშია ნ. ზ-ის, ბ. გ-ს, დ. ნ-სა და მ. უ-ს ჩვენებებთან, სადაც დაფიქსირებულია თუ როგორ აყენებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ნ. შ. პოლიციის თანამშრომლებს. ასევე სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2019 წლის 11 მარტს 07:00-07:08 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმებისას, მოქ.

ნ. ზ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანება ნაჭდევის სახით. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. დაზარალებულები – ნ. ზ., ბ. გ., დ. ნ. და მ. უ. დამაჯერებლად განმარტავენ, რომ ნ. ზ-ს შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე, რომელიც მდებარეობს ქ. წ-ში ... ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც მათ დახვდათ ნ. შ., რომლის ადმინისტრაციული წესით დაკავებას და მანქანაში ჩასმასაც ცდილობდა ნ. ზ. სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო. მათ დანახვაზე ნ. შ. გახდა მეტად აგრესიული, რა დროსაც ნ. ზ-ს თავი დაარტყა, ასევე ამოიღო თანნაქონი ე.წ. „შტირი“, რომლის გამოყენებითაც ცდილობდა ნ. ზ-ისათვის დაზიანების მიყენებას. ნ. ზ-მ ნ. შ-ს წაართვა საგანი და თავის მანქანაში ჩააგდო. დაზარალებულებმა დაადასტურეს, რომ ნ. შ-მ მათ დაუზიანა სამსახურებრივი ფორმის სამხრეები და ყვიროდა „მაგ პაგონებს დაგახევთო“.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო სასამართლოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა ნ. შ-მ ჩაიდინა პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობა, მათი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, შესაბამისად, მისი ქმედება სწორად არის დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

20. ამასთან, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის – მსჯავრდებულ ნ. შ-ს არგუმენტებს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით შერაცხულ ბრალდებაში მისი უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ნ. შ-ს მიერ ქურდობის ჩადენას შემდეგ გარემოებათა გამო:

21. მოწმის სახით დაკითხული, სამშენებლო კომპანია – შპს „ჯ-ს“ მუშა მოსამსახურის – დაზარალებულ ტ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 9 იანვარს აწარმოებდა წ-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდი შენობა-ნაგებობისა და წყლის გამწმენდი ბეტონის აუზების მშენებლობას. 2019 წლის 9 იანვარს ის და მისი თანამშრომლები სამსახურში მივიდნენ დაახლოებით 09:00 საათზე, მუშაობის დროს დასჭირდა მისი კუთვნილი ელექტრობურღები, რისთვისაც შევიდა საოპერატოროს შენობის ლაბორატორიის ოთახში, სადაც აქვს სამუშაო იარაღები და სამშენებლო მასალები, რა დრო-

საც აღმოაჩინა, რომ მისი კუთვნილი ორი ელექტრობურღი და ერთი ელემენტიანი ბურღი ე.წ. „შურუპავიორტი“ აღარ იყო და ივარაუდა, რომ იყო ვიღაც უცხო პირის მიერ მოპარული. აღნიშნული მან აცნობა კომპანიის მომარაგების მენეჯერს – გ. დ-ს, რის შემდეგაც დაათვალიერეს საოპერატორო ოთახი, საიდანაც ასევე მოპარული იყო ნაცრისფერი, იზოლირებულგარსიანი ბოჭკოვანი ტელევიზიის სადენი, რომელსაც ჰქონდა რვა წვერი, მთლიანად მათი სიგრძე იყო 100 მეტრი. აღნიშნული ოთახიდან მოპარული იყო ასევე 100 მეტრი წითელი ფერის იზოლირებულ გარსიანი ინტერნეტის ბოჭკოვანი სადენი, რომელსაც ჰქონდა ოთხი წვერი. აღნიშნულის შესახებ მათ შეატყობინეს წ-ს პოლიციას. ტ. გ-მ მონაწილეობა მიიღო შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში გ. დ-თან ერთად, რა დროსაც მათ მიუთითეს ადგილი შენობის ფანჯარასთან, საიდანაც სავარაუდოდ შენობაში შესული იყო ის პირი, ვინც აღნიშნული ნივთები მოიპარა. მათ ასევე შენობაში მიუთითეს ადგილები, სადაც ეწყო ელექტრობურღები და ელექტროსადენები.

22. მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის წარმომადგენლის კომპანიის „ჯ-ს“ მენეჯერის – გ. დ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 9 იანვარს სამსახურში მისულს, ხელოსანმა ტ. გ-მ უთხრა, რომ მისი სამუშაო ნივთები იყო წაღებული, როცა შენობა დაათვალიერეს დაადგინეს, რომ ასევე წაღებული იყო კაბელის რულონები. დაზარალებულმა განმარტა, რომ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 187 ლარი. დაზარალებულმა დაადასტურა, რომ მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში, სადაც მონაწილეობას იღებდა ბრალდებული ნ. შ., მისი მამა და რამდენიმე პოლიციის თანამშრომელი.

23. მოწმის სახით დაკითხული ვ. ჩ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატარა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ: წ-ს რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, მიღებული იქნა პატაკი კ. მ-ს მიერ, რომელმაც გამოკითხვისას დაადასტურა მიღებული ინფორმაცია. ამის შემდეგ მოწმის სახით იქნა გამოკითხული ნ. შ., რის შემდგომაც ვ. ჩ-ს მიერ ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი ნ. შ-ს მონაწილეობით, მისი თანხმობით, მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით. საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ნ. შ-ს მითითებით მივიდნენ წ-ს რ-ს ს. გ-ში ჩამდინარე წყლების მშენებლობის ტერიტორიაზე, სადაც ნ. შ. ნებაყოფლობით უთითებდა იმ ადგილებს თუ როგორ შეაღწია შენობაში და კონკრეტულად შენობაში არსებულ ოთახებში, საიდანაც ფარულად დაეუფლა შპს „ჯ-ს“ კუთვნილ ელექტრო სადენებს და ტ. გ-ს ელექტრო ხელსაწყოებს. აღნიშნულის შემდეგ ნ. შ-მ ისინი მიიყვანა იმ

არხის პირას, სადაც დადებული ჰქონდა მის მიერ ფარულად დაუფლებული ხელსაწყოები და სადენები, რომლებიც შენახული ჰქონდა წყლის არხიდან დაახლოებით 500-600 მეტრის მოშორებით ბუჩქთან, საიდანაც მისი მონაწილეობით მოხდა ფარულად დაუფლებული ნივთების ამოღება. აგრეთვე დაინიშნა ექსპერტიზები, კერძოდ: სასაქონლო ექსპერტიზა, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ასევე ბიოლოგიური ექსპერტიზა, რის შემდგომაც უშუალოდ ვ. ჩ-ს მიერ გაცნობილ იქნა ბრალი ნ. შ-სათვის. მოწმის განმარტებით ნ. შ-ს განემარტა კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება და მისი თანხმობით, კანონიერ წარმომადგენელთან და ექსპერტებთან ერთად ნებაყოფლობით ჩატარდა ყველანაირი საგამოძიებო მოქმედება.

24. მოწმის სახით დაკითხული წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის რ. ო-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 10 იანვარს პოლიციის თანამშრომლებთან ბ. გ-თან ერთად მონაწილეობას იღებდა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაში ექსპერტების, გამომძიებლების და ბრალდებულ ნ. შ-ის მონაწილეობით, სადაც აგრეთვე მონაწილეობდა ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი. აღნიშნული ექსპერიმენტის ჩატარება საჭირო იყო ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით წ-ს რ-ს ს. გ-ში მდებარე წ-ს წყლის გამწმენდი ნაგებობის მიმდებარედ არსებული მშენებარე შენობიდან ელექტროსადენების, ელექტრობურღისა და ე.წ. დრელის ფარულად დაუფლების ფაქტზე. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული იყო ნ. შ., რომელმაც საგამოძიებო ექსპერიმენტისას ნებაყოფილებით მიუთითა ადგილები, საიდანაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა მითითებულ ნივთებს. ნ. შ-მ ასევე მიუთითა ის ადგილი, სადაც მოათავსა წაღებული ნივთები.

25. მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა ი-მ და გ. გ-მ ანალოგიურად გადმოსცეს ფაქტობრივი გარემოებები, დაადასტურეს მათი მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებაში და შედგენილი ოქმის კანონთან შესაბამისობა.

26. გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათით – წ-ს რაიონულ სამმართველოში გამოძიება დაიწყო 2019 წლის 9 იანვარს წ-ს რ-ს, ს. გ-ში მდებარე წყლის გამწმენდი ნაგებობის საცავიდან ტ. გ-ის კუთვნილი ელექტროდრელისა და ელექტროსადენების ქურდობის ფაქტზე.

27. დანაშაულის შესახებ №... შეტყობინების თანახმად – წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ გ. ა-ს დაუკავშირდა ტელეფონით ტ. გ. და განაცხადა, რომ ს. გ-ში მდებარე წყლის გამწმენდი ნაგებობიდან წაღებულია მისი კუთ-

ვნილი ელექტროდრელი და ელექტროკაბელები. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად – 2019 წლის 9 იანვარს 12:50 საათიდან 14:10 საათამდე დროის პერიოდში, წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ გ. ა-ს მიერ დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი, მდებარე წ-ს რ-ს ს. გ-ში, რომელიც წარმოადგენს წ-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდი შენობა ნაგებობისა და წყლის გამწმენდი ბეტონის აუზების მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიას. სამშენებლო კომპანია შპს „ჯ-ს“ მომარაგების მენეჯერმა გ. დ-მ მიუთითა საოპერატორო შენობის უკანა მხარეს არსებულ ფანჯარაზე, რომელიც არის ღია მდგომარეობაში და ფანჯრის რაფაზე აღინიშნება ტალახიანი ფეხსაცმლით დატოვებული კვალი, გ. დ-ს განმარტებით, სწორედ აღნიშნული ფანჯრიდან შეაღწია შენობაში პიროვნებამ და ფარულად დაეუფლა ტელევიზიის ბოჭკოვან სადენს და ინტერნეტის ბოჭკოვან სადენს, ასევე ელექტრობურღებს და ელექტროშურუპავიორტს, ამის შემდეგ გ. დ-მ მიუთითა საოპერატორო ოთახზე და განმარტა, რომ სწორედ აღნიშნულ ოთახში, სადაც განთავსებულია პლასტმასის მილების შესადუღებელი ა. შენახული ჰქონდათ ნაცრისფერი იზოლირებულ გარსიანი რვა წვერიანი ბოჭკოვანი სადენი, რომელიც იყო ტელევიზიის სადენი, ასევე იმავე ოთახიდან ფარულად დაუფლებული იყო წითელი ფერის იზოლირებულ გარსიანი ინტერნეტის ბოჭკოვანი სადენი, რომელიც იყო ოთხწვერიანი და ორივე სადენი იყო ახალი და თითოეული იყო 100 მეტრი სიგრძის, სულ ორივე 200 მეტრი სიგრძის. ამის შემდეგ გ. დ-მ მიუთითა აღნიშნულ შენობაში ლაბორატორიის ოთახი და განმარტა, რომ აღნიშნული ოთახიდან მოპარული იყო კომპანიის მუშა მოსამსახურის კუთვნილი სამი ელექტრობურღი, რის შემდეგაც ტ. გ-მ მიუთითა აღნიშნულ ოთახში ადგილი, საიდანაც ფარულად დაუფლებული იყო მისი კუთვნილი „ა-ს“ ფირმის შავი ფერის კორპუსიანი ელექტრობურღი, მწვანე ფერის კორპუსიანი „ღ-ის“ ფირმის ელექტრობურღი და შავი და ლურჯი ფერის კორპუსიანი ელექტრობურღი ე.წ შურუპავიორტი. აღნიშნული ოთახის მეტალოპლასტმასის კარის საკეტის გარე სახელურიდან აღებულ იქნა ანაწმენდები, ამავე ოთახის კარის მინის გარე ზედაპირიდან ექსპერტების მიერ აღებული იქნა ოთხი ხელის კვალი. მოწმის სახით დაკითხული წ-ს რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის გ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მის მიერ 2019 წლის 9 იანვარს დათვალიერებული იქნა შემთხვევის ადგილი, მოწმემ დაადასტურა საგამოძიებო მოქმედების სისწორე და კანონთან შესაბამისობა. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა გ. კ-მაც.

28. 2019 წლის 10 იანვრის წ-ს რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის კ. მ-ს პატაკით, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად წ-ს რ-ს ს. გ-ში მდებარე წ-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდი შენობა-ნაგებობის, მშენებლობა-ზე მომუშავე მუშის ტ. გ-ს კუთვნილი ორი ცალი ელექტრო ბურღი და ერთი ცალი სახრახნისი, ასევე შპს „ჯ-ს“ კუთვნილი ორი რულონი იზოლირებულ გარსიანი სადენი საოპერატორო შენობის ოთახებიდან ფარულად დაუფლებული უნდა იყოს ქ. წ-ში თ-ში მცხოვრები, 2.. წ. დაბადებული, არასრულწლოვანი ნ. კ-ს ძე შ-ის (პ/ნ 5.....) მიერ.

29. 2019 წლის 10 იანვარს 11:55 საათიდან 13:10 საათამდე დროის პერიოდში ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად – შემთხვევის ადგილი მდებარეობს წ-ს რ-ს ს. გ-ში და წარმოადგენს წ-ს ჩამდინარე წყლების გამწმენდ შენობა-ნაგებობას. შენობა-ნაგებობის ეზოში ნ. შ-მ მიუთითა შენობა, სადაც იგი შევიდა მარტო, შენობის გარეთა მხრიდან მიუთითა ფანჯარა, რომელიც დამუშავებულია ექსპერტების მიერ და განმარტა, რომ სწორედ აღნიშნული ფანჯრის გაღების შემდეგ იგი მარტო შევიდა შენობაში, ასევე აღნიშნული ფანჯრის საშუალებით გამოვიდა შენობიდან, შენობაში შესვლის შემდგომ ნ. შ-მ მიუთითა საოპერატორო ოთახზე და განმარტა, რომ აღნიშნული საოპერატორო ოთახიდან იგი 2019 წლის 9 იანვარს, გვიან ღამით ფარულად დაეუფლა ორ რულონ ელექტრო სადენს, ხოლო აღნიშნულის შემდგომ დერეფანში ხელმარცხნივ მიუთითა ერთ-ერთი ოთახი, რომელიც განკუთვნილია ლაბორატორიისათვის, სადაც განთავსებულია სამშენებლო მასალა და ხელსაწყოები. ნ. შ-მ მიუთითა ოთახში განთავსებულ მუყაოს ყუთზე და განმარტა, რომ ლაბორატორიის ოთახში განთავსებული ყუთიდან იგი 2019 წლის 9 იანვარს, ღამის საათებში ფარულად დაეუფლა ორ ელექტროდრელს და ერთ „შურუფავოის“, რომლებიც მან ჩაალაგა ოთახში არსებულ ხელჩანთაში. ამის შემდგომ ნ. შ-მ მიუთითა თ. ქუჩაზე ხელმარჯვნივ წყლის არხისაკენ და განმარტა, რომ აღნიშნულ ადგილზე ბუჩქის ძირში ინახავდა მის მიერ ფარულად დაუფლებულ ელექტრო ხელსაწყოებს და ორ რულონ ელექტროსადენს, რომელიც მოთავსებული ჰქონდა ხელჩანთაში. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებისას ამოღებულ იქნა ნ. შ-ის მიერ ფარულად დაუფლებული ნივთები, კერძოდ: წითელი და თეთრი ფერის იზოლირებულ გარსიანი ორი რულონი ელექტროსადენი, შავი ფერის ელექტროდრელი „A.“-ის ფირმის, მომწვანო ფერის ელექტროდრელი „R“ -ის ფირმის, „F.“-ის ფირმის „შურუფავოი“.

30. სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად – ექსპერ-

ტიზაზე წარმოდგენილი 124მ. სიგრძის ოთხ წვერიანი სადენის მარკირებით: „B.“ საბაზრო ღირებულება დღევანდელი მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 99.2 ლარს. 88მ. სიგრძის რვაწვერიანი სადენი მარკირებით: „D.“ 88 ლარს, „A.“-ის ფირმის M. ელექტრობურღი 50 ლარს, „R.“-ის ფირმის ელექტრობურღი 25 ლარს, „F.“-ის ფირმის M. ელექტრობურღი 85 ლარს.

31. ნ. შ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ სცნო და განმარტა, რომ 2019 წლის 9 იანვარს იმყოფებოდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, გამთენიისას მასთან მივიდა პოლიციის თანამშრომელი და უთხრა, რომ პოლიციის უფროსთან იყო დაბარებული, რის გამოც მას გაჰყვა. პოლიციის უფროსმა მას უთხრა, რომ ვინაიდან არასრულწლოვანი იყო, არავინ დაიჭერდა და თავის თავზე აეღო მომხდარი ქურდობის ფაქტი, რაზედაც ის დასთანხმდა. პოლიციამ იცოდა, რომ ის წარსულში ქურდობისათვის იყო ნასამართლევი. შემდეგ შემთხვევის ადგილზე მამასთან ერთად გაიყვანეს და აიძულეს მიეთითებინა კონკრეტული ადგილები. მოპარულ ნივთებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნივთები მას არასოდეს უნახავს და როდესაც პოლიციამ აჩვენა, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიუთითა ნივთებზე. პოლიციის თანამშრომლებს ყველაფერზე ემორჩილებოდა, რასაც ეტყოდნენ, რადგან პოლიციის უფროსი დაჰპირდა, რომ არ დაიჭერდნენ, ვინაიდან იყო არასრულწლოვანი. რაც შეეხება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მას დანაშაული არ ჩაუდენია, პირიქით პოლიციამ დააკავა და სცემეს, რის შედეგად მოსდიოდა სისხლი. მისი დაკავება მოხდა კანონის დარღვევთ, არ გამოიძახეს მისი მშობლები.

32. გასაჩივრებული განაჩენი ბრალდების ამ ნაწილში ეფუძნება მხოლოდ ერთ მტკიცებულებას, კერძოდ, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ნ. შ-ს ბრალეულობას, საქმეში წარმოდგენილი არ არის. საქმეში წარმოდგენილი დაზარალებულ ტ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2019 წლის 9 იანვარს, როდესაც ის და მისი თანამშრომლები სამსახურში მივიდნენ მუშაობის დროს, როდესაც დასჭირდა მისი კუთვნილი ელექტრობურღები აღმოაჩინა, რომ მისი კუთვნილი ორი ელექტრობურღი და ერთი ელემენტიანი ბურღი ე.წ „შურუპავიორტი“ აღარ იყო. ივარაუდა, რომ ვიღაც უცხო პირის მიერ იყო მოპარული. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა დაზარალებულის წარმომადგენელმა გ. დ-მა განმარტა, რომ 2019 წლის 9 იანვარს სამსახურში მისულს, ხელოსანმა ტ. გ-მა უთხრა, რომ მისი სამუშაო ნივთები იყო წაღებული, როცა შენობა დაათვალიერეს დაადგინეს, რომ ასევე წაღებული იყო კაბელის რულონები.

33. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სააპელა-

ციო ინსტანციის სასამართლოს მსჯელობაზე, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დასტურდება ნ. შ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევაში ნ. შ-ს ჩვენება არ მიუცია, არამედ მან ვითარება აღადგინა იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მის მიერ გამოყენებული იყო ბრალდების მხარის მიერ მისთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ნ. შ-ს მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისათვის. ამასთან, გარდა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმისა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაზარალებულ ტ. გ-ს, დაზარალებულის წარმომადგენლის გ. დ-ს, გამომძიებლების ვ. ჩ-სა და რ. ო-ს, ექსპერტების – ი-სა და გ. გ-ს თანხვდენილი მტკიცებულებებით, სრულად დასტურდება 2019 წლის 9 იანვარს წ-ს რ-ს ს. გ-ში მდებარე წყლის გამწმენდი ნაგებობის საოპერატორო შენობაში ნ. შ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი.

34. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებულ მსჯელობას, ვინაიდან მხოლოდ ერთი მამხილებელი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა – რომლის წყარო თავად მსჯავრდებულია და უარყოფს აღნიშნული ინფორმაციის სარწმუნოობას, ხოლო საქმეში არ მოიპოვება არც ერთი სხვა (არც პირდაპირი და არც ირიბი) მამხილებელი მტკიცებულება, არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რაც გულისხმობს ერთმანეთთან შეთანხმებულ, დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

35. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქმეში წარმოდგენილი დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით არ დასტურდება ნ. შ-ს შემხებლობა ბრალად შერაცხულ დანაშაულთან, კერძოდ: დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, სს საქმესთან დაკავშირებით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისი ხელის თითის ორი კვალი (კვალი №1, კვალი №2) იდენტურია დაქტილოსკოპიურ მონაცემთა ბაზაში აღრიცხვაზე

მყოფი – 1.. წელს დაბადებული ზ. ჯ-ს ძე შ-ს მარჯვენა ხელის დიდი და უსახელო თითის ანაბეჭდებისა; ხოლო №3 და №4 კვლების იდენტური ანაბეჭდები და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვლები მონაცემთა ერთიან ბაზაში არ მოიპოვება. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ შემთხვევის ადგილზე – ღია ფანჯრის რაფაზე არსებული ტალახიანი ფეხსაცმლის კვალის (რომელზეც მიუთითებდა მოწმე გ. დ. და რაც ასახულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმშიც. გ. დ-ს განმარტებით, სწორედ აღნიშნული ფანჯრიდან შეაღწია შენობაში პიროვნებამ) ნ. შ-სადმი კუთვნილების დამდგენი მტკიცებულება არ მოიპოვება.

36. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული in dubio pro reo საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპი ავალდებულებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). ანალოგიურ დანაწესს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილიც, რომლის თანახმად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ყოველგვარი ეჭვი რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“.

37. მტკიცებულებები რომლებიც საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენს უნდა აკმაყოფილებდეს საკმარისობის და უტყუარობის კონსტიუციურ სტანდარტს. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

38. სასამართლო ითვალისწინებს: ნ. შ-ს მიერ მიცემულ ჩვენებას, რომლის თანახმად, პოლიციის უფროსმა მას უთხრა, რომ ვინაიდან არასრულწლოვანი იყო, არავინ დაიჭერდა და თავის თავზე აეღო მომხდარი ქურდობის ფაქტი, რაზედაც ის დასთანხმდა; პო-

ლიციამ იცოდა, რომ ის წარსულში ქურდობისათვის იყო ნასამართლევი. შემთხვევის ადგილზე მამასთან ერთად გაიყვანეს და აიძულეს, მიეთითებინა კონკრეტული ადგილები; მოპარულ ნივთები მას არასოდეს უნახავს და როდესაც პოლიციამ აჩვენა, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიუთითა ნივთებზე; პოლიციის თანამშრომლებს ყველაფერზე ემორჩილებოდა, რასაც ეტყოდნენ, რადგან პოლიციის უფროსი დაჰპირდა, რომ არ დაიჭერდნენ, ვინაიდან იყო არასრულწლოვანი; ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არცერთი სხვა მტკიცებულებით არ დგინდება ნ. შ-ს კავშირი მითითებულ დანაშაულთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არ მოიპოვება უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ნ. შ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას.

39. მსჯავრდებულ ნ. შ-სათვის საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნულ სასჯელთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა სრულად გაითვალისწინეს: ჩადენილი ქმედებების სოციალური საშიშროება და ხასიათი, ქმედების განხორციელების სახე და ხერხი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, დამდგარი შედეგი, მისი პირადი და ეკონომიკური პირობები, ქცევა სასამართლო განხილვის დროს, დანაშაულის ჩადენის მოტივი/მიზანი, ასევე მისი წარსული ცხოვრება, იხელმძღვანელეს როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული პრინციპებით და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით. სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახულ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, კერძოდ:

ნ. შ. ნანობს წარსულში ჩადენილ თავის ქმედებებს და განმარტავს, რომ აღნიშნული დაკავშირებული იყო მის ასაკთან და უჭირდა ქმედების შესაძლო შედეგების გაანალიზება. მიმდინარე დელიქვენტური ქმედებების შესახებ საუბრისას გამოხატავს სინანულს იმ ფაქტის აღიარების გამო, რაც მას არ ჩაუდენია. თავს უდანაშაულოდ გრძნობს პოლიციასთან ძალადობრივ ფაქტთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ მას თანამშრომლების მიმართ ძალადობრივი ქმედება არ განუხორციელებია, მათი ტანსაცმლის დაზიანება გამოიწვია წინააღმდეგობის გაწევის, თავდაცვის მიზნით „უნებურად თანამშრომლისკენ მიმართულმა ხელმა“, განიცდის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნას, როგორც განმარტავს,

უჭირს გარემოსთან შეგუება. დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ შეინიშნება წონის ცვლილება და როგორც განმარტავს, დაიკლო ათი კილოგრამი. განიცდის ოჯახის წევრებისთვის მიყენებულ მორალურ ტრავმას და განსაკუთრებით ღელავს დედაზე, რომელსაც აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები და შვილის დაწესებულებაში ყოფნა მისთვის დამატებით ტრავმას წარმოადგენს.

ბრალდებულის დედა უარყოფითად აფასებს შვილის მხრიდან განხორციელებულ დელიქვენტურ ქმედებას. როგორც თავად აღნიშნავს, ნ-მ ეკონომიკური ხასიათის კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა აღიარა და დამატებით ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით არ ფლობს. ძალადობრივ ქმედებაზე საუბრისას განმარტავს, რომ ნ. შ. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უმიზეზოდ გახდა ძალადობის მსხვერპლი. მან შვილი მომხდარი ქმედების მეორე დღეს ნახა და უჭირს მისი მდგომარეობის აღქმა და განმარტავს, რომ ნ. იმყოფებოდა სტრესის ქვეშ, ნ. ჩ-შ-ს გადმოცემით, ნ. პოლიციის თანამშრომლებს დაკავების მომენტში უწევდა წინააღმდეგობას, რა დროსაც მათ მიაყენეს ფიზიკური ზიანი, ასევე ერთ-ერთმა პირმა მას ხელის მტევანზე მიაყენა დამწვრობა სიგარეტის მეშვეობით. დამატებით, ბრალდებულის დედა განმარტავს, რომ ნ. შ-ს დაკავების დროს ხელი მოჰყვა მანქანის კარში და ამჟამად ორ თითზე არ აქვს ფრჩხილი. დედის გადმოცემით, ნ-ს მეორე დღეს ეცვა სისხლიანი ტანსაცმელი და შეხვედრის დროს გამუდმებით ტიროდა. ქალბატონი ნ. განმარტავს, რომ მან მომხდარის შემდეგ მეორე დღესვე მოახდინა შესაბამისი რეაგირება და საქმის კურსში ჩააყენა ყველა უწყება, ასევე ინფორმაცია გადაიცა ტელევიზიით. ამჟამად, როგორც თავად განმარტავს, დაწყებულია გამოძიების პროცესი ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა რაიმე სიახლე არ არის და არ აქვს იმედი, რომ შეძლებს შვილის უდანაშაულობის დამტკიცებასა და დამნაშავე პირების ადეკვატურად დასჯას.

ქალბატონი ნ. აღნიშნავს, რომ ის ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ნ-ს და მისი თანატოლების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩართვა. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ ასაკით უფროსი პირები ავალებდნენ დანაშაულის ჩადენას და განუმარტავდნენ, რომ რაიმე სასჯელი არ შეეხებოდათ. სწორედ ისინი ახდენენ ბრალდებულის პროვოცირებასა და დაინტერესებას აღნიშნული საქმით.

ნ. შ. გამოხატავს სინანულს წარსულში ჩადენილი ქმედებების გამო და განმარტავს, რომ დაინტერესებულია მომავალში თავი აარიდოს მსგავს ქმედებას. ამჟამად მისთვის მთავარია გამოვიდეს

პენიტენციური დაწესებულებიდან, ვინაიდან უჭირს გარემოსთან შეგუება. ბრალდებული განმარტავს, რომ მან საკუთარ თავში აღმოაჩინა ახალი შესაძლებლობები და დააფიქრა თავის წარსულ გამოცდილებასა და მომავალ ცხოვრებაზე. შეუყვარდა წიგნების კითხვა და დაწესებულებაში ყოფნის დროს არაერთ ლიტერატურას გაეცნო, ამჟამად კი ელოდება ახალ წიგნს. ნ. შ-ს სურს განაგრძოს სკოლაში სიარული, ჩააბაროს გამოცდები და ისწავლოს. ფიქრობს, რომ განათლების მიღება მას დაეხმარება შეიცვალოს ცხოვრების სტილი და რესურსები მიმართოს პოზიტიური ცვლილებების განხორციელებისკენ. ასევე, აქვს ოჯახის წევრების იმედი და განმარტავს, რომ ისინი იქნებიან მხარდამჭერი ცვლილებების განხორციელების დროს.

ნ. ჩ-შ. პოზიტიურად არის განწყობილი ბრალდებულის მომავალთან დაკავშირებით. მიიჩნევს, რომ ნ-მ მიიღო გამოცდილება და აღნიშნული მას დაეხმარება მომავალში სწორად გადადგას ნაბიჯები და განსაზღვროს თითოეული ქმედების რეალური შედეგი. მისთვის დადებითი გარემოებაა ის ფაქტი, რომ ნ–მ გადაწყვიტა მიიღოს განათლება და მისი რესურსი მიმართოს აღნიშნული კუთხით. ბრალდებულის დედა გეგმავს, ნ. შ. გათავისუფლების შემდეგ დროებით განარიდოს საცხოვრებელს და წაიყვანოს თავის მშობლებთან, ს-ში, სადაც ოჯახის წევრები და თავად ის მიაქცევენ ყურადღებას და გამოიჩენენ მზურნველობას. ქალბატონი ნ. განმარტავს, რომ მიუხედავად ოჯახში არსებული ფინანსური მდგომარეობისა, შვილის გათავისუფლების შემდეგ ყველა რესურსს მიმართავს მისი მხარდაჭერის აღმოჩენისკენ. არის მოტივირებული მშობელი და სურს ნ. შ-ს გაუწიოს მხარდაჭერა როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად.

შეფასების შედეგად ვლინდება, რომ ნ. აცნობიერებს წარსულში ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და აქვს სინანულის გრძნობა მომხდართან დაკავშირებით. გამოხატავს მზაობას, მომავალში თავი აარიდოს დელიქვენტური ქმედების განხორციელებას და აქვს გარკვეული გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით. ამჟამად პენიტენციურ დაწესებულებაში რეგულარულად კითხულობს წიგნებს, მიაჩნია, რომ ლიტერატურის გაცნობით ადამიანი ვითარდება, რაც მნიშვნელოვანია მომავალი წარმატებისთვის. მზადყოფნას გამოხატავს ისწავლოს და მიიღოს უმაღლესი განათლება, თუმცა არ აქვს გადაწყვეტილი თუ რა პროფესიის ათვისება სურს. ბრალდებულის დედა მზადყოფნას გამოხატავს შვილს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება, რათა მან შეძლოს მომხდარი ქმედების შემდეგ რეაბილიტაცია. ქალბატონი ნ. განმარტავს, რომ ნ. ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო მოტივირებული მიეღო განათლება. მის მი-

ერ მოწოდებული ინფორმაციით, ნ. სარგებლობდა პროექტ „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისკენ“ და ჩართული იყო სავალი ნაწილების შემსწავლელ კურსებში, თუმცა დაკავების გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება.

შეფასების საფუძველზე ვლინდება, რომ ნ. შ. მამასთან – კ. შ-სთან, დედასთან – ნ. ჩ-სთან და დასთან – ნ. შ-სთან ერთად №... დაწესებულებაში მოხვედრამდე ცხოვრობდა წ-ში, თ. ქუჩის 1.. მდებარე ბინაში. როგორც ირკვევა საცხოვრებელი არის ოჯახის საკუთრება. ბინა შედგება ერთი ოთახისაგან. ფართი არ არის საკმარისი ოჯახის ყველა წევრისათვის. საცხოვრებელში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ოჯახში განლაგებულია საჭირო ინვენტარი. ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და იღებენ შესაბამის დახმარებას. შეფასებისას გამოვლინდა, რომ ოჯახის ფინანსური შემოსავალი არის მწირი. წარსულში დასაქმებული იყო დედა – ნ. ჩ. მაღაზიაში კონსულტანტის პოზიციაზე, ამჟამად ის აღარ მუშაობს ნ. შ-ს დაკავების შემდეგ მიღებული სტრესის ფონზე. როგორც ბრალდებულის დედა განმარტავს, ამჟამად ოჯახში დასაქმებულია კ. შ. ის მუშაობს ფიზიკური დატვირთვით მშენებლობაზე და ოჯახს უწევს ფინანსურ დახმარებას. შეფასების საფუძველზე ვლინდება, რომ მამას აქვს ეკონომიკური ხასიათის კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების გამოცდილება და იმყოფებოდა კანონთან კონფლიქტში. ამჟამად როგორც ქალბატონი ნ. განმარტავს, ბატონ კ-ს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები და გადის მედიკამენტოზურ მკურნალობას. თავად როგორც აღნიშნავს, აქვს ემოციების მართვასთან დაკავშირებული სირთულე და უჭირს ღამით დაძინება. აღნიშნული მდგომარეობა გართულდა შვილის დაკავების შემდეგ და ხშირად უჭირს საკუთარი თავის მართვა.

მიმდინარე შეფასების პერიოდში სოციალური მუშაკის ოჯახში ვიზიტის დროს არ იმყოფებოდა ბრალდებულის მამა და ვერ მოხდა მასთან კომუნიკაციის დამყარება. 2019 წლის იანვრის თვეში განხორციელებული შეფასების საფუძველზე ვლინდება, რომ კ. შ. ვერ აცნობიერებს შვილების წინაშე არსებულ საჭიროებებს. დედის გადმოცემით, მამა არ იღებს მონაწილეობას შვილების აღზრდის პროცესში. მამასთან განხორციელდა ინტერვიუ, თუმცა მისი მხრიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება ვერ იქნა შესაძლებელი, ვინაიდან მისი გადმოცემით, მან ვერ გაიგო სოციალური მუშაკის მიერ დასმული კითხვის შინაარსი. ბატონი კ-ს გადმოცემით, მას არ აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მამა თავს არიდებდა სოციალური მუშაკის მიერ დასმულ შეკითხვებს და პროცესში მონაწილეობას.

შეფასებისას ირკვევა, რომ ნ. შ. №... დაწესებულებაში მოხვედრამდე, ირიცხებოდა წ-ს №. სკოლაში და მიმდინარე წელს დაასრულა მე-11 კლასი. სკოლაში ნ-ს აკადემიური მდგომარეობა იყო საშუალო. ბრალდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რასაც ადასტურებს ქალბატონი ნ., ნ. ბოლო პერიოდში აცდენდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. ნ. შ.10 წელია დღის ცენტრის „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარია, აღნიშნულ დაწესებულებაში ნ. და მისი უფროსი და ჩაირიცხა დედის – ნ. ჩ-ს გადაწყვეტილებით. ქალბატონი ნ-ს გადმოცემით, ბავშვებისათვის აღნიშნული დაწესებულება არის უსაფრთხო, სადაც დაკმაყოფილებულია მათ წინაშე არსებული საჭიროებები. ნ. სკოლის შემდეგ დროის დიდ ნაწილს აღნიშნულ დაწესებულებაში ატარებს. დღის ცენტრში ხდება არასრულწლოვნის გამოკვება და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. ჩართულია არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებში. მონაწილეობს სპორტულ და შემოქმედებით ღონისძიებებში და თანატოლებთან ერთად დადის ექსკურსიაზე. ნ. შ. №. დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ არასრულწლოვანთა განყოფილებაში ყოფნის პერიოდში ჩართული იყო საგანმანათლებლო პროცესში, ესწრებოდა სასწავლო პროცესს და აქტიურად გადიოდა არტ თერაპიასა და ყველა არსებულ ღონისძიებებში იღებდა მონაწილეობას. დაიწყო წიგნების კითხვა და ცდილობს დრო აღნიშნული საქმიანობით გაიყვანოს. როგორც განმარტავს, აქვს სურვილი გათავისუფლების შემდეგ განაგრძოს სწავლა და მიიღოს უმაღლესი განათლება, თუმცა ამჟამად პროფესია არ აქვს არჩეული. მიიჩნევს, რომ განათლების მიღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მისი ცხოვრების პოზიტიური ცვლილებების განხორციელების თვალსაზრისით.

40. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ნებისმიერი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდეს ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას. ამავე კონვენციის 32-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, რომ სასჯელის შესაბამისი სახის გათვალისწინებისას მხედველობაში მიიღოს ბავშვის ჯანმრთელობა, განათლება, ეკონომიკური ექსპლუატაცია, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების ფაქტორები. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების („პეკინური წესები“) მე-5 მუხლის თანახმად, ზემოქმედების ზომები უნდა იყოს თანაზომადი, არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ – არას-

რულწლოვნის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან.

41. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულია ისეთი სახის ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორებიც არის: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

42. სასამართლო ითვალისწინებს, რომ: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრუწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი; სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისთვის.

43. სასამართლო ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმართ განრიდების გამოყენების ფაქტს, ნ. შ-ს მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენას ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში (საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია თუ არა განსახილველი საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის), ინდივიდუალურ ანგარიშში მითითებულ ინფორმაციას, ჩადენილი ქმედების გარემოებას და მიიჩნევს, რომ შეფარდებული სასჯელის სახე – თავისუფლების აღკვეთა შეესაბამება ნ. შ-ს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისადმი პატივისცემით განწყობისათვის და ემსახურება არასრულწლოვნის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესის დაცვას.

44. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვნების მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება წარმოადგენს ultima racio-ს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყენებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით.

45. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს ნ. შ-სთვის სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელის ხანგრძლივო-

ბის ნაწილში შემსუბუქების კუთხით და ნ. შ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციით განსაზღვრული მინიმალური ხანგრძლივობით – 2 წლის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. ნ. შ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

4. ნ. შ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯოს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს 1 (ერთი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. ნ. შ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2019 წლის 10 მარტიდან.

6. ნ. შ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 11 თებერვლის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 71 34
www.supremecourt.ge